ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 24 ოქტომბერი, 2011 №252 (5632) ფასი: 30 თეთრი

## ნოდარ ჯავახიშვილის საქმიანობა შესასწავლია

ხელისუფლებას პოლიტიკურ მაქინაციებში ვერავინ შეედრება



გვ. 6

# ნანა დევდარიანი: „ხელისუფლების რღვევის პროცესი დაწყებულია“

რატომ გაუშვა სააკაშვილმა სოდის თანამშრომლები უკრაინაში



გვ.2

## შოთა მალაშხია: „დანამდვილებით ვიცი, ივანიშვილი რუსეთის დაკვეთას ასრულებს“



გვ.4



## ნესტან კირთაძე: „ხელისუფლება რეპრესიების ახალ ტალღას იწყებს“

გვ. 3



## ცისკარიშვილის ხორბლის გამო 57 წლის კაცი დააკავეს

გვ. 2





## ილია II: „როცა ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის წინააღმდეგობა არსებობდა, ქვეყანა დაუძლურებული იყო“

გვ. 6



## ამერიკელი ექსპერტის რჩევები შეშინებულ სააკაშვილს

გვ. 7

„საქართველოს მთავრობა უფრო ჭკვიანი რომ ყოფილიყო, ივანიშვილთან ურთიერთობის გზებს მოძებნიდა“



## ელიზბარ ჯაველიძე: „ბიძინა ივანიშვილთან რამდენიმე კითხვა მაქვს“

გვ. 5

## თურქეთში მიწისძვრის შედეგად ათასამდე ადამიანი დაიღუპა

თურქეთის ქალაქ ვანში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, გავრცელებული ინფორმაციით, ათასამდე ადამიანია დაღუპული. დაშავებულთა რაოდენობა იზრდება. ადგილობრივი მედიის ცნობით, ამ დროისთვის საავადმყოფოებში 200-მეტი ადამიანია მოთავსებული. მიწისძვრის გამო დაინგრა 50 შენობა და სასკოლო საერთო საცხოვრებელი. მიწისძვრამ ვანის აეროპორტიც საგრძნობლად დააზიანა. თურქული ტელეკომპანიები იუწყებიან, რომ აღნიშნული მიზეზით ფრენები ვერ ხორციელდება.

ადგილობრივი „წითელი ჯვრის“ ოფისის წარმომადგენლის განცხადებით, აეროპორტი ვერ იღებს თვითმფრინავებს, რომლებშიც ჰუმანიტარული ტვირთი და მაშველები იმყოფებიან. ამის გამო თვითმფრინავები მახლობლად მდებარე ერზრუმის აეროპორტში ჩაფრინდებიან.

თურქეთის პროვინცია ვანში გუშინ, 14:41 საათზე 7,3 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრა საქართველოს დედაქალაქშიც იგრძნობოდა. ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა ირანსა და სომხეთშიც.

ინტერპრესნიუსი

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 კრემლმა აფხაზებსა და ოსებს დაფინანსება შეუმცირა

5 სააკაშვილი დემოკრატი არასდროს ყოფილა

4 ტრენინგი მოსამართლეებისთვის „ბავშვები მართლმსაჯულების სისტემაში“

7 რამდენი ქართველი „კანონიერი ქურდია“ რუსულ კოლონიებში

# ცისკარიშვილის ხორბლის გამო 57 წლის კაცი დააკავეს

თეა მარხვაიძე

**საპარლამენტო უმრავლესობის მოქმედი ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი წლების განმავლობაში კახეთის გუბერნატორი იყო. ბოროტი ხმების მტკიცებით, ამ პერიოდში მან საკუთარ თავს ბიზნესწილები გადაუფორმა. როგორც ამბობენ, მისი ხელი კახეთში დღემდე იგრძნობა. ეს გასაკვირი არ არის, რადგანაც ის უმრავლესობას უდგას სათავეში და თან ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატია.**



პეტრე ცისკარიშვილი

ინტერნეტ-გამოცემა „ქიზიყის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, ექს-გუბერნატორს კახეთში, კერძოდ, დედოფლისწყაროში ნაკვეთიც ჰქონია. სადაც ხორბალი მოჰყავს თურმე.

ინტერნეტ-გამოცემა „ქიზიყის“ ცნობით, პეტრე ცისკარიშვილის ნაკვეთიდან მოსავლის აღების ბრალდებით დედოფლისწყაროს პოლიციამ 57 წლის თენგიზ ღორაშვილი დააკავა.

„ქიზიყის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, მიწის ნაკვეთი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, ახმეტის მაჟორიტარ დეპუტატს პეტრე ცისკარიშვილს ეკუთვნის. ამის შესახებ ინფორმაციას სოფელ გამარჯვების მცხოვრებლები და დაკავებულის ახლობლებიც ადასტურებენ.

პოლიციის სამმართველოს ცნობით, საქმე 180-ე მუხლით აღიძრა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულს 6-დან 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება. საქმეს დედოფლისწყაროს პოლიციის დეტექტივ–გამომძიებელი დავით პოპიაშვილი იძიებს. ამ ბრალდების გარდა, მამაკაცს სხვა თაღლითობის ფაქტებიც გამოუვლინდა.

დედოფლისწყაროს სასამართლოს მოსამართლე შორენა ყაველაშვილმა დაკავებულს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა. ღორაშვილი წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი.

ნორმალური ქვეყანა რომ იყოს, ბუნებრივია, გაჩნდებოდა კითხვა, როგორ იყიდა ცისკარიშვილმა დედოფლისწყაროში ნაკვეთი. ჩვენ ამ კითხვით ახმეტის მაჟორიტარის ბიუროსაც მივმართეთ, სადაც ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

ისინი ამბობენ, რომ ცისკარიშვილს არც ნაკვეთები და არც წილები არა აქვს.

დედოფლისწყაროში კი საპირისპიროს ამტკიცებენ. ადგილობრივების თქმით, ცისკარიშვილი ნაკვეთს ფლობს.

– ჩვენ ადგილობრივებმა გვითხრეს, რომ პეტრე ცისკარიშვილს დედოფლისწყაროში ნაკვეთები აქვს და ნაკვეთი, რომლის ხორბლის მითვისებისთვის 57 წლის მამაკაცი დააკავეს, ახმეტის მაჟორიტარს ეკუთვნის, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „ქიზიყის“ რედაქტორმა ილია მარტყოფლიშვილმა.

ის პირობას იძლევა, რომ ამ ისტორიას დეტალურად შეისწავლის. მისი აზრით, ურიგო არ იქნება, თუ ამ საკითხით სხვა მედია-საშუალებებიც დაინტერესდებიან.

# ნანა დევდარიანი: „ხელისუფლების რღვევის პროცესი დაწყებულია“

## რატომ გაუშვა სააკაშვილმა სოდის თანამშრომლები უკრაინაში

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ ნანა დევდარიანთან

***– ქალბატონო ნანა, ალბათ, ყურადღებით ადევნებთ თვალს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ის პროცესები, რომელიც დღეს მიმდინარეობს, შეიძლება გახდეს სააკაშვილის ხელისუფლების დასრულების საწინდარი?***

– რა თქმა უნდა. ჩვენს ოპოზიციას გამარჯვებისთვის რაც არ ჰყოფნიდა, ეს მკვეთრად გამოკვეთლი ლიდერისა და კონსოლიდაციის უქონლობა იყო. ამ შემთხვევაში ეს არის. ამას ემატება გარკვეული ქარიზმა. კარგია თუ ცუდი, ჩვენი მოსახლეობა, პოლიტიკური სპექტრი მიჩვეულია ქარიზმატულ ლიდერებს. სააკაშვილის ფონზე ოპოზიციონერი ლიდერები ქარიზმატულობით არ გამოირჩეოდნენ.

***– ბიძინა ივანიშვილი ქარიზმატული ფიგურაა და ამ მხრივაც შეუძლია სააკაშვილს მეტოქეობა გაუწიოს?***

– რა თქმა უნდა. გარდა ამისა, სააკაშვილისაგან განსხვავებით, ბიძინა ივანიშვილი არის ძალიან გაწონასწორებული, გონებადამჯდარი ადამიანი, რომელმაც ყოველი სიტყვის ფასი იცის. აქ ივანიშვილის ქარიზმა სააკაშვილის ქარიზმას კი არ უტოლდება, არამედ ბევრად აჭარბებს თავისი პოზიტიურობით. არ ვლაპარაკობ იმაზე, სააკაშვილისაგან განსხვავებით, მას 10 და მეტი წლის განმავლობაში რამდენი სიკეთე აქვს ნაკეთები. დღეიდან სააკაშვილმა სიკეთის კეთებას თავი რომ შესწიროს და ამისთვის საქართველოს მთელი ბიუჯეტი გამოიყენოს, ვერ გადაწონის.

***– ისე, ხელისუფლების მხრიდან ბიძინა ივანიშვილის ფულზე და გამდიდრებაზე ლაპარაკი და ამ კუთხით მისი შეფასებები ცოტა უხერხული ხომ არ არის მაშინ, როდესაც თვითონ ნაცმოძრაობა და სააკაშვილის ახლობლები კონკრეტულად საქართველოში გამდიდრდნენ, ხალხის ფულით აიშენეს სასახლეები, გაგანია ომის დროს გაიფორმეს მიწები და სახელმწიფოს კუთვნილი მთელი კორპუსები, სადაც კერძო უნივერსიტეტები გახსნეს?***

– რასაც ეგენი აკეთებენ, უხერხული კი არა, სამარცხვინოა. მეორე მხრივ, სასაცილოც არის, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა და ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთზე. ყველამ იცის, სააკაშვილი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები ცალ-ცალი კალოშით რომ მოვიდნენ და მილიონები იშოვეს. ეს ყველაფერი მათ არც პატიოსანი ბიზნესით მოუპოვებიათ და არც იმით, რომ, ვთქვათ, ქვეყანა აშენდა და ყველა მათგანის შემოსავლები გაიზარდა. ძალიან მალე ყველაფერი გამჟღავნდება – ისიც კი, რაც მათ ჰგონიათ, დამალული დარჩება. რა თქმა უნდა, ხელისუფლების განცხადებები სამარცხვინოა.

***– ის, რაც დღეს ხდება, პროცესის დასაწყისია. მოვლენების როგორ განვითარებას ხედავთ?***

– ვფიქრობ, ყველაფერი სწრაფად განვითარდება, რადგან ახლა არც 2007 წელია და არც ის შემთხვევა, რაც მოხდა ბადრი პატარკაციშვილთან დაკავშირებით. ამას ბადრის მიმართ კნინობითად არ ვამბობ. უბრალოდ, მაშინ ქვეყანაშიც სხვა ვითარება იყო, ბადრისაც სხვა პოზიციები და სხვა მდგომარეობა ჰქონდა. ყველამ ვიცით, რომ ბადრის ბანაკში შიგნით მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ახლა განვლილი წლების განმავლობაში ხელისუფლებამ საერთოდ დაკარგა რეპუტაცია და ავტორიტეტი ქვეყნის გარეთ. შიგნით ავტორიტეტი კიდევ უფრო ადრე დაკარგა, გარეთ კი ამ წლების განმავლობაში ამ ხელისუფლების ავტორიტეტი საერთოდ ნულამდე დავიდა. ამდენად, მოვლენები საკმაოდ სწრაფად განვითარდება. ხელისუფლება რაც უფრო გაძალიანდება, მით უფრო საშინელი იქნება მათი დასასრული.

***– ცხადია, ხელისუფლება გაძალიანებულია, ყველა ხერხს მიმართავს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. გეგონება, დუღეში ჰყავს გამოწვეულიო პიროვნება, რომელმაც პოლიტიკაში თავისი შესაძლებლობების დახარჯვის სურვილი გამოთქვა. სააკაშვილი და მისი ჯგუფი ოდესმე მივა იმ აზრამდე, სისხლის ღვრის გარეშე დათმობასა და მშვიდობიანად წასვლაზე იფიქროს?***

– საქმე ისაა, რომ დღევანდელი ხელისუფლება სავსეა იმ ადამიანებით, ვინც ზვიად გამსახურდიას დმხობის შემდეგ ამა თუ იმ ფორმით სულ არის ხელისუფლებაში. ამ ადამიანებს შეექმნათ ილუზია, რომ იქნებიან და იქნებიან მუდამ. ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა. მმართველ გუნდში თუ გამოჩნდნენ ადამიანები, ვისაც ეყოფათ გონიერება მიხვდნენ, რომ აქ ელემენტარულად თავის გადარჩენაზეა ლაპარაკი. თუ უნდათ, დაედგომებოდეთ საერთოდ დედამიწაზე, ალბათ რაღაც ზომები უნდა მიიღონ და ხელისუფლებას ან გაემიჯნონ, ან უნდა დაარწმუნონ ხელისუფლების უმაღლესი პირები, რომ წასვლა სჯობს. არწასვლა ბევრად უარესი იქნება.



ნანა დევდარიანი

***– სავარაუდოდ, არჩევნები ჩატარდება. ბიძინა ივანიშვილიც ამბობს, რომ ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით აპირებს.***

– რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად არ არის პუტჩისტი, რომ გადატრიალების გზით უნდოდეს ხელისუფლებაში მოსვლა...

***– ამ ხელისუფლების პირობებში რამდენად შეიქმნება ნორმალური საარჩევნო ვითარება? მოგეხსენებათ, დღემდე პარტიებს ხან როგორ ატყუებდა, ხან როგორ.***

– როგორც კი პარტიები ნაციონალებთან მათი წესებით თამაშს იწყებენ, განწირული არიან. ამის შესახებ ვლაპარაკობდი ჯერ კიდევ ივნისში, როდესაც „რვიანი“ დაიშალა. ქრისტიან-დემოკრატებმა და ახალმა მემარჯვენეებმა, რომლებმაც ჩათვალეს, რომ თავი ქუდში აქვთ, საერთოდ დაიღუპეს თავი, იმიტომ რომ ეს ხელისუფლება აღარ იქნება და მისი დაპირებები ვიღამ უნდა შეასრულოს. არავინ იცის, ხელისუფლება უფრო ადრე წავა და არჩევნები შემდეგ დაინიშნება თუ უფრო ადრე დაინიშნება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არჩევნებისთვის მზად უნდა იყოს ის ხალხი, ვინც ახლა იკრიბება ბიძინა ივანიშვილის გარშემო. მზადყოფნაში ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი ოპოზიციის ყველაზე სუსტი წერტილია საარჩევნო უბნებზე ვითარების გაკონტროლებაში. ოპოზიცია საარჩევნო უბნებზე ხელისუფლებას ვერ სჯობნის ვერც ხმების დაცვაში, ვერც პროცედურებისა და დარღვევების დაფიქსირებაში, ვერც პროცესის ბოლომდე მიყვანაში. ახლა იმ შესაძლებლობებით ბიძინა ივანიშვილს და პლუს თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრის გაერთიანებითა და კონსოლიდირებით ამ ამოცანის დაძლევა ხდება სრულიად რეალური. ხომ იცით, არც ერთ ქართულ პარტიას ცალკე თითქმის 3 ათასზე მეტი უბნის დაკომპლექტება თავისი წევრებითა და დამკვირვებლებით არ შეუძლია. ან ადგილზე ოპოზიციის წევრები და დამკვირვებლები იყიდებიან, ან მათ დაშინებას ახერხებენ და ა.შ. ახლა, ამ ვითარებაში, როცა გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, მთელი საარჩევნო უბნების დაკომპლექტება სრულიად ადვილად მისაღწევია. არ ველოდებოდი, რომ ბიძინა ივანიშვილი ასე კარგად არის ჩახედული საარჩევნო ტექნოლოგიებში. იმ შემთხვევაში, როცა აქეთ არის უზარმაზარი კონსოლიდირებული ოპოზიცია, ხელისუფლებამ რამდენიც არ უნდა ეცადოს და როგორც არ უნდა გააყალბოს, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოიგებს. 2008 წელსაც კი სააკაშვილმა 53% ძლივს დაიწერა. ეს მოხდა იმიტომ, რომ ოპოზიციიდან უამრავი კანდიდატი იყო და ერთმანეთს ხმები წაართვეს.

***– ალბათ ახლა სხვაგვარად იქნება.***

– როგორც არ უნდა გააყალბოს ხელისუფლებამ, ვერ მოიგებს. ამბობენ ხოლმე, რომ 30% ხელისუფლებას ყოველთვის ჯიბეში აქვს იმიტომ, რომ მას აქვს ადმინისტრაციული რესურსი. გაიხსენეთ 2003 წელი. თუ გახსოვთ, რამდენი პროცენტი აიღო შევარდნაძის მმართველმა სახელისუფლებო ბლოკმა?

***– მგონი, 20 თუ 25%.***

– შევარდნაძის სახელისუფლებო ბლოკმა 2003 წელს 22% მიიღო. ე.ი. 30%-იც ვერ აიღეს. ასე იქნება ახლაც. სანამ ოპოზიციაში სერიოზული ლიდერი და გამწევი ძალა არ ჩანდა, ბევრს შეიძლება ისევ ხელისუფლებისთვის მიეცა ხმა. ამ ვითარებაში ნაციონალები იმ 22%-საც ვერ დააგროვებენ. დაწერითაც ვერ დაიწერენ. ამის გარანტიას მე გაძლევთ.

***– დღეისათვის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ცენტრი ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. თქვენ როცა ამ პროცესს გარედან უყურებთ, როგორი შთაბეჭდილება გრჩებათ?***

– კარგი. კარგი შთაბეჭდილება დამრჩა იმიტომ, რომ ჯერჯერობით რასაც ვუყურებ, ბიძინა ივანიშვილს არც ერთი შეცდომა არ დაუშვია. მას შეცდომა არ დაუშვია არც პირველ განცხადებაში, არც მეორეში, არც ია ანთაძესთან ინტერვიუში და არც იმ ტაქტიკაში, რა ტაქტიკითაც იგი მოქმედებს. ეს კარგია, თუმცა, იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მის ბანაკში იქნება. ვიღაც ბიძინა ივანიშვილის ბანაკში იქნება, ვიღაც არ იქნება, მაგრამ იმაში, რომ ის მძლავრი, კონსოლიდირებული ოპოზიციის შექმნას და მის სათავეში დგომას შეძლებს, ეჭვი აღარ მეპარება.

***– როგორი ადამიანები არიან სანდო, ვინც თვითონ მიმართავს თუ ვისაც მიიწვევენ?***

– ვფიქრობ, ეს არ არის მთავარი. ბევრ პოლიტიკოსს ვიცნობდი და ვიცნობ, ბევრ პროცესში ვიყავი ჩართული და ჩახედული. არიან ადამიანები, რომლებიც თვითონ მოდიან, მაგრამ გულანთებულები და ერთგულები არიან. მოსულებშიც არიან მოღალატეები და ისეთები, რომლებიც შეიძლება არ გამოგადგეს. ეს კონკრეტულად პიროვნებებზეა დამოკიდებული. იმაზე არ არის დამოკიდებული, ვინც თვითონ მივა, ის არის უკეთესი თუ – ვისაც დაუძახებენ. ამ ყველაფერს ცხოვრება გამოაჩენს. თანაც – სულ მოკლე ხანში.

***– თქვენ ბრძანეთ, ბადრი პატარკაციშვილს მის გუნდში უღალატესო. ხომ არ შეეცდება ხელისუფლება, რომ ბიძინა ივანიშვილის ბანაკშიც შეუშვას თავისი ხალხი?***

– ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი არ არის ადვილად წამოსაკიდებელი ადამიანი. იმის გათვალისწინებით, რომ ბიძინა ივანიშვილის თვალწინ მოხდა ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევა, ის, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ფრთხილი იქნება. საერთოდ, არ ვფიქრობ, რომ ბატონი ბიძინა ბოლომდე ყველას ყველაფერს გაუმჟღავნებს. ალბათ თავისთვის რაღაც ექნება შენახული. ასე რომ, აქ პრეცედენტს აქვს მნიშვნელობა. რომ არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა ბადრის შემთხვევაში, შეიძლება სიფრთხილე მოედუნებინა ადამიანს. ბიძინა ივანიშვილი ჭკვიანი კაცია. მე რასაც ვკითხულობ მის განცხადებებს და გამოსვლებს ვუსმენ, ვხედავ, რომ ჭკვიანი კაცია და კარგად ითვალისწინებს უკვე მომხდარ მოვლენებს.

***– ქალბატონო ნანა, თქვენ კარგად ხართ ჩახედული საარჩევნო ტექნოლოგიებში. საარჩევნო კომისიის როლი როგორი იქნება? იმის გამო, რომ ხელისუფლებას თვითონ აქვს პრიორიტეტი საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებასა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში ეს ფაქტორი რა როლს ითამაშებს?***

– ყველა ადამიანი, ვინც მუშაობს სახელისუფლებო სტრუქტურებში, მათ შორის საარჩევნო კომისიებში – საუბნო, საოლქო და ცენტრალურ კომისიებში – პირველ რიგში არიან ცოცხალი ადამიანები და ამ ქვეყნის მოქალაქეები. სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ის ხალხი, რომელიც დღეს ხელისუფლებას თავისი ჰგონია, სულაც არ იმუშავებს მასზე, რადგან აქ მართლა ქვეყნის გადარჩენაზეა ლაპარაკი. არავინ თავის მომავალს წარმავალ ხელისუფლებას არ დაუკავშირებს. ეს სხვა დროსაც ყოფილა საქართველოში და ახლაც ასე იქნება. ხელისუფლება მაინცდამაინც ნუ იფიქრებს, რომ ძალიან მწყობრი რიგები აქვს და მათ არაფერი დაშლის. რღვევის პროცესი უკვე დაწყებულია. უბრალოდ, ჯერ თვალით არ ჩანს.

***– თქვენ რით შეამჩნიეთ ხელისუფლების რღვევის პროცესის დასაწყისი?***

– რღვევის პროცესი იმით შევამჩნიე, რომ ხელისუფლებიდან მეტისმეტად ბევრი ინფორმაცია გამოდის უკვე. ხელისუფლებიდან გაცილებით მეტი ინფორმაცია გამოდის, ვიდრე ერთი თვის წინ.

***– სახელისუფლებო კულუარებიდან ინფორმაცია რის შესახებ გამოდის?***

– შიდა სიტუაციების შესახებ, რეალური რეაგირებების შესახებ. წლობით ჩააგონებდნენ ადამიანებს, რომ ყველაზე ყველაფერი იციან და ყველა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კრემლმა აფხაზებსა და ოსებს დაფინანსება შეუმცირა

თეა მარხვაიძე


კრემლი

**რუსეთმა აფხაზებისა და ოსების დასაფინანსებლად ამ წლებში ფული არ დაინანა. სოხუმისა და ცხინვალის მიმართულებით თანხები ადრეც მიედინებოდა. აგვისტოს ომის შემდეგ კი მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.**

თუმცა, ეს დიდად არც აფხაზეთს და არც ცხინვალს არ ეტყობათ. ამ მხრივ განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონშია საქმე ცუდად. რუსული მედია აქტიურად წერს, რომ კოკოითიმ და მისმა გარემოცვამ ცხინვალის ასლადგენად გამოყოფილი თანხები ჯიბეში ჩაიდო. ამ საკითხის შესასწავლად ცხინვალს რამდენიმე კომისია ეწვია.

კომისია ჩავიდა აფხაზეთშიც. რუსებმა დარღვევები აღმოაჩინეს. თუმცა, ამაზე ხმამღლა არაფერს ამბობენ და არც არავისთვის მოუთხოვიათ პასუხი.

მაგრამ, როგორც ჩანს, რუსებსაც ყელში ამოუვიდათ ამათი შენახვა და გადაწყვიტეს, რომ მათ დაფინანსება შეუმცირონ.

რუსული მედიის ცნობით, 2012-2014 წლებში ფედერალური ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანახმად, ცხინვალისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ყოველწლიურად გადარიცხული იქნება 2,537 მილიარდი მანეთი, ხოლო სოხუმისათვის – 1,939 მილიარდი.

რუსეთის ფინანსურ ხარჯებში ედუარდ კოკოითის რეჟიმის „საბიუჯეტო ინვესტიციების ფინანსური დახმარების მიზნით“ 2012 წელს გათვალისწინებულია 2,9 მილიარდი მანეთი, 2013 წელს – 1,68 მილიარდი, 2014 წელს – არაფერი. ანალოგიური ხარჯებია გათვალისწინებული აფხაზეთის მიმართულებითაც 2012 წელს და განსაზღვრულია 4,863 მილიარდი მანეთით.

ძნელი სათქმელია, მიიღო თუ არა რუსეთმა ეს გადაწყვეტილება ოსური და აფხაზური ოპოზიციის განცხადებების გამო.

ოსური ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ალბერტ ჯუსოევი ამ განცხადებების გამო სასამართლოშია დაბარებული. აფხაზური ოპოზიციის ლიდერი იაკუბ ლაკობა კი სულაც ციხეში გამოკეტეს. მართალია, მან იქ სულ რამდენიმე დღე გაატარა, მაგრამ ამას დიდი ამბები მოჰყვა.

მიმდინარე წლის იანვარში რუსეთმა აფხაზეთში ჩატარებული შემოწმების ანგარიში გამოაქვეყნა.

დოკუმენტის თანახმად, არამიზნობრივი და არადოკუმენტირებული დანახარჯები 346 მლნ 759,8 რუბლს (დაახლოებით 11,5 მლნ აშშ დოლარი) შეადგენს.

ყველაზე საინტერესო რუსული მხარის რეაქცია იყო. მთავარმა მაკონტროლებელმა დანაკლისი სხვადასხვა ტექნიკური და ნორმატიული მიზეზებით ახსნა.

იაკუბ ლაკობა სხვა ოპოზიციონერებთან ერთად ამის გამო აღშფოთდა. მან საგანგებო წერილი დაწერა და ერთმანეთს ორი გარემოება დაუკავშირა. პირველი – თამარა სტეპაშინას თანამდებობა და აფხაზეთში ახლახან შემოსული ვითიბის საქმიანობა, რომელმაც უნდა დააფინანსოს ადგილობრივი რკინიგზის აღდგენითი სამუშაოები, რის შემდეგ ეს სექტორი ხანგრძლივი იჯარით ღია სააქციო საზოგადოება „რუსეთის რკინიგზის“ ხელში გადავა. მეორე გარემოება – აფხაზეთში მოსკოვის ინფრასტრუქტურული გეგმები, უფრო სწორად, ის ფინანსური საშუალებების მოცულობა, რომლებიც შესაძლებელია ამ პროექტის რეალიზაციისათვის იყოს გამოყოფილი. „სახალხო პარტიის“ ლიდერმა აღნიშნა, რომ სტეპაშინმა სოხუმში შემთხვევით როდი განაცხადა, რომ „მიღებული რესურსები საკმარისი როდია იმ საინვესტიციო მოცულობასთან, რომელიც აუცილებელია ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის სისტემის, კომუნალური ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო და ჯანდაცვის სისტემების აღდგენისათვის. ამ ამოცანების რეალიზაციისათვის 2-დან 7-10 მილიარდი დოლარია საჭირო“.

– შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ, თუ როგორი მოუთმენელი სულისკვეთებით ერთხმად და მეგობრულად ელოდებიან ჯერ კიდევ ჰიპოთეთიკურ, მაგრამ უკვე მილიარდი დოლარების ოდენობით რუსეთის ტრანშს, – წერდა ამასთან დაკავშირებით ლაკობა თავის სტატიაში.

სახალხო პარტიის ლიდერი შეეხო ადგილობრივ ფუნქციონერებს. „საკონტროლო ღონისძიებათა შედეგების ოქმის“ საბოლოო ვერსიიდან გამქრალ მონაცემებში არის ინფორმაცია ფირმა „აფხაზწყალკანალ-სერვისის“ დამფუძნებელთა შესახებ. ისინი, შეუკვეცავი ვერსიის თანახმად, აფხაზ მაღალჩინოსანთა შვილები არიან. საუბარია „პრეზიდენტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე ადლეიბასა და „პარლამენტის“ გავლენიან დეპუტატ რუსლან ქიშმარიაზე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა აფხაზურ ხელისუფლებას გალის რაიონში.

უმცროსი ადლეიბასა და ქიშმარიას ფირმა „ქალაქ გაგრის წყალმომარაგება და წყალგაყვანილობის განშტოებების 2009-2011 წწ მიზნობრივი პროგრამის“ ფარგლებში სამუშაოების შესრულებაზე გაგრის რაიონის ადმინისტრაციის კონტრაქტორი იყო, რომელსაც ბალაფშის ფავორიტი ასტამურ ქეცბა ხელმძღვანელობს. აქტიდან გამომდინარეობს, რომ ამ ფირმას „არ გააჩნია ლიცენზია პროექტირებასა და მშენებლობის განხორციელებაზე“ და უნდა იქნეს ლიკვიდირებული, ვინაიდან წესდება საერთოდ არ ითვალისწინებს საპროექტო სამუშაოების ჩატარებას. გარდა ამისა, საშტატო განრიგით „აფხაზწყალკანალსერვისში“ 13 ადამიანია, ტექნიკური დარგის სპეციალისტები კი მათ შორის არ არიან.

იმ წერილში ლაკობა სხვასაც ბევრს წერდა. ამის გამო ის საპატიმროშიც აღმოჩნდა, თუმცა, მხოლოდ 26 საათი გაატარა.

თანხების გაქრობაზე რაულ ხაჯიმბას გუნდიც ბევრს ჩიოდა. ამის შესახებ რამდენიმე აფხაზმა დეპუტატმაც გაინერვიულა თავი. საინტერესოა, შეისწავლის თუ არა ამ საქმეს ანქვაბი, რომელსაც სკანდალის დროს ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

# ნესტან კირთაძე: „ხელისუფლება რეპრესიების ახალ ტალღას იწყებს“

## რა ნაბიჯს გადადგამს რუსეთი სააკაშვილის გადასარჩენად

შორენა კოწოწაშვილი

### ინტერვიუ ნესტან კირთაძესთან

***– ქალბატონო ნესტან, რამ განაპირობა თქვენი პრინციპული გადაწყვეტილება და ლეიბორისტული პარტიიდან წამოსვლა?***

– მინდა იცოდეთ, დღეს მხოლოდ ნდობის ვოტუმი კი არ ამოწურა ამ ერთპარტიულმა რეჟიმმა და მისმა ზურგის გამმაგრებელმა პოლიტიკურმა პარტიებმა, არამედ ამოიწურა ვადა ამ ხელისუფლების არსებობისა. იწყება 2012 წელი და ვადაში მოხდება არჩევნები თუ ვადამდე, 2012 წელი უნდა იქცეს საქართველოსთვის ახალი ხელისუფლების, რეალური სიახლეების დასაწყისად და არა იმად, რასაც გვთავაზობს მიშა და მისი ერთპარტიული რეჟიმი. ისინი გვთავაზობენ, რომ ჩვენ ვიქნებით მუდმივად. ჩვენ უკვე შევქმენით კონსტიტუცია იმგვარი, რომ 2012 წლიდანაც ჩვენ გავაგრძელებთ ამ ხელისუფლების მართვას. ჩვენ ვიქნებით თქვენი „ხაზეინები“ ბოლომდე სხვა კონფიგურაციით და გავაგრძელებთ იმ ჯოჯოხეთს, რაც დავიწყეთ. ამიტომაც მე ვთხოვ ყველას, რეალურად შევაფასოთ დრო; დრო რომელიც უნდა იყოს ახლის დაწყებისათვის, ახალი ხელისუფლების მოსვლისა და რეალური მომავლისათვის. ეს უნდა გააკეთოს ქართველმა ხალხმა და არა პოლიტიკურმა ცენტრებმა უცხოეთში.

***– ანუ სააკაშვილის ხელისუფლების წამმზომი უკვე ჩაირთო?***

– ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ დროის რეალური ტაიმერი ჩაირთო. ამ დროს ჰქვია სიახლეების დაწყების დრო და ამ ერთპარტიული რეჟიმის ყოველგვარი ვადის ამოწურვის დრო. ამ დროში ყველა პატიოსანი პოლიტიკოსი უნდა დადგეს ხალხის გვერდით.

***– რამდენად სახიფათო ვითარება შექმნა ხელისუფლებისთვის ბიძინა ივანიშვილმა და პროცესების როგორ განვითარებას უნდა ველოდეთ?***

– ვითარება არის უაღრესად სარისკო და ეს შეიმჩნევა ყველგან: პოლიტიკაში, საზოგადოებაში, ემიგრაციაში. უფრო სწორად, შეიმჩნევა სტაგნაციური და დაჭაობებული ხელჩაქნეული ვითარებიდან აფუსფუსებული ვითარებით. ადამიანები უკვე გაბედულად გამოთქვამენ თავიანთ აზრებს. 26 მაისის ცნობილი სისხლიანი მოვლენების შემდეგომ, როდესაც ასობით ადამიანი დააპატიმრეს, როდესაც დღეების მანძილზე პოულობდნენ გვამებს, როდესაც საბოლოოდ ხელი ჩაიქნია ხალხმა და გაჩნდა კლიშე შეკითხვა – არის კი ოპოზიცია საქართველოში? ერთ მშვენიერ დღეს ერთი კონკრეტული განცხადებით გაჩნდა რეალური ფაქტორი ქვეყანაში. მე არა ვარ მესიანისტი და არა ვარ მესიანისტური თეორიების არც მომხრე, არც შემქმნელი და არც მონაწილე. მე ვარ ამ ქვეყნის შვილი და, თუ სხვაზე მეტად მაქვს უნარი, კარგად შევიგრძნო დრო, ეს განსხვავება არის იმიტომ, რომ გამოცდილება, უახლესი წარსული, პროფესიონალიზმი და კიდევ ერთი, პასუხისმგებლობა დროისა და ქვეყნის წინაშე, ხალხის წინაშე. ეს ყველაფერი პოლიტიკოსს აძლევს დროის განსაკუთრებული შეგრძნების და გადაწყვეტილების მიღების უნარს. მე ვახსენე აგრეთვე იაგუარის ნახტომი. მართლაც იაგუარის ნახტომის გაკეთება მომიწია. საქმე ასე მარტივად არ არის, რომ ნესტან კირთაძემ რაღაც დატოვა. ეს რაღაც და ლეიბორისტული პარტია მისი შრომით, თავდადებით, პირადი პოპულარობითაც მოტანილი რეალობაც არის.

***– თქვენ ხაზი გაუსვით პასუხისმგებლობას. ლეიბორისტული პარტიის პოზიციებიდან პასუხისმგებლობიანი ნაბიჯების გადადგმა შეუძლებელი იყო?***

– არა, მე საკითხი ასე არ დამიყენებია. პარტიიდან კი არ მიმაჩნდა, არამედ ერთ დღეს მე მოვისმინე პარტიის თავმჯდომარის განცხადება და თან პარტიის სახელით. ეს არ იყო პოლიტიკური განცხადება. ეს იყო ჩემთვის მიუღებელი აქცენტები, ერთი კონკრეტული ადამიანის ემოცია, რომელიც გაკეთდა პარტიის სახელით, რომელიც გაკეთდა თუნდაც იმ დაუცველი ხალხის სახელით, ვინც მთელი ამ წლების განმავლობაში არის პარტიის ერთგული და არის მოლოდინის რეჟიმში. ამ ლოდინს ჰქვია უკეთესი ხვალინდელი დღე. თუ ჩვენ რეალურად არ შევქმენით უკეთესი ხვალინდელი დღის პერსპექტივა, ჩვენი გადაწყვეტილებები, ჩვენი ბრძოლით, დროის ყველაზე მკაფიო გაგებით და პასუხისმგებლობის მკაფიო განცდით, მაშინ, რასაკვირველია, საკითხი ასე დგება: ვინც ამ დროს ხედავს, ვინც ამ პასუხისმგებლობას გრძნობს, ვინც ამ კონკრეტულ ტვირთს იტვირთებს თავისი მანდატით, მაშინ ის იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას. მე ეს ძალიან მტკივნეული და პრინციპული გადაწყვეტილება მივიღე. რაც ყველაზე მთავარია: იგი არ უკავშირდება ნესტან კირთაძის ინტერესს. იგი უკავშირდება სწორედ დროისა და პასუხისმგებლობის საკითხს.

***– ნათელაშვილმა პარტიის სახელით პარტიასთან შეუთანხმებელი განცხადება გააკეთაო. პირველი შემთხვევა იყო ნათელაშვილის მხრიდან მსგავსი საქციელი? თუ არ ვცდები, თავის დროზე ელჩებთან მიმართებით დაფიქსირებულ პოზიციას ლეიბორისტების ნაწილი არ ეთანხმებოდა. თქვენი მხრიდან პირველი უკმაყოფილება იყო?***

– არა, ეს არ არის უკმაყოფილება. ეს არ არის მყისიერი ემოცია გამოცდილი და პროფესიონალი პოლიტიკოსისა. ეს არის პასუხისმგებლობის და დროის განცდა. მე ამ ორ ფაქტორს ძალიან ხშირად ხაზს ვუსვამ. როდესაც ვამბობთ დროის განცდას, მაშინ ზუსტად ვთქვათ, რა არის ეს დრო. პირდაპირ გეტყვით, ეს არის სწორედ პოლიტიკური დრო და ეს არის მართლაც ის პოლიტიკური გზაჯვარედინი, საიდანაც უკან დახევა კვლავ წარსულში უკვე აღარ არსებობს.

***– ეს დრო ვერ გათვალა შალვა ნათელაშვილმა?***

– მე არ ვლაპარაკობ ნათელაშვილის პოზიციაზე. მე ვლაპარაკობ ჩემს პოზიციაზე, ხალხის პოზიციაზე. მე ვლაპარაკობ შანსებზე და მომავალზე. ნათელაშვილის პოზიცია ნათელაშვილმა დააფიქსირა. მე არა ვარ ნათელაშვილის კომენტატორი, უკაცრავად. მე ჩემი პოზიციის სიმტკიცესა და დროის ზუსტად განცდაზე ვლაპარაკობ. როდესაც უახლოეს დღეებში ყველასთვის სრულიად მოულოდნელად შემოვიდა კინკრეტული გვარ-სახელის ადამიანი, რომელსაც ადრე იცნობდნენ, როგორც ქველმოქმედს, იცნობდნენ სხვადასხვა მიმართულებით, მან გააკეთა პოლიტიკური განცხადება, პოლიტიკური განცხადება მიმართული საქართველოში რეალური ცვლილებების დასაწყებად. ეს იყო სრულიად გამაოგნებელი ერთი მხრივ, მეორე მხრივ, რეალური ფაქტორი იმისათვის, რომ მიშასაგან კარგად დავარცხნილი პოლიტიკური სიტუაცია არეულიყო; არეულიყო ემოციურად და პოლიტიკურად. მიშასაგან კარგად შეხმატკბილებული პოლიტიკური სპექტრი უცებ მოძრაობაში მოეყვანა და, რაც ყველაზე მთავარია: ხალხი ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, რომელიც სრულ უიმედობაში იმყოფებოდა, მომენტალურად ახალი რეალობის წინაშე დადგა. პარტიამაც და ლიდერმაც ხალხს უნდა დაუჭიროს მხარი და მის მომავალს უნდა მისცეს გზა და გეზი აბსოლუტურად სწორად. ესმის ასე ნათელაშვილს, რომ მხოლოდ ძველი პოლიტიკური რეპერტუარით ყოველწლიურად ერთი და იგივე ილაპარაკოს ან ასეთი ტიპის განცხადებებით კვებოს მისი მხარდამჭერები, ღმერთმა ხელი მოუმართოს. ეს უკვე მისი და მისი ამომრჩევლის პრობლემაა. მაგრამ ესმის ასე ნესტან კირთაძეს, რომ რეალობაა ურთულესი, მე ვიტყოდი, უმძიმესი, როდესაც ძველი ანუ მიშას ერთპარტიული რეჟიმისაგან ქვეყანა უნდა გათავისუფლდეს და ეს არის ქართველი ხალხის ნება და აუცილებლობა. შესაბამისად, ის დგება ხალხის გვერდით და აკეთებს სწორ არჩევანს.

***– რადგან აღნიშნეთ, ახალი რეალობის წინაშე დავდგებითო, მრავალი ოპოზიციონერი თვლის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სააკაშვილის ხელისუფლების გადასარჩენად არაერთი ნაბიჯი გადადგა. ამ ეტაპზე სააკაშვილის შენარჩუნება მათ ინტერესებში აღარ იქნება?***


ნესტან კირთაძე

– სანამ საუბარს დავიწყებდით, კიდევ ახალი სიგნალები გაჩნდა რუსეთის ფედერაციისაგან, მათ შორის საგარეო უწყების და სხვა მაღალი რანგის ხელმძღვანელებისაგან, რომ რუსეთში არასოდეს მიიწვევენ სააკაშვილს არც ერთი სტატუსით. რუსეთმას შესანიშნავად იცის, რას აკეთებს ის თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. ეს მისი უფლებაა. მაგრამ ჩვენ არ უნდა მივებათ მხოლოდ იმ ემოციებს, რომ ვიღაცას რაღაცის უფლება და ნება აქვს. ჩვენ ჩვენი უფლება გვაქვს და ჩვენი ნება უნდა გამოვხატოთ. ეს ჩვენი თაობის ვალდებულებაა. აუცილებლად ალღო უნდა ავუღოთ თანამედროვე გეოპოლიტიკურ გამოწვევებს და უნდა ვთქვათ, რომ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას თუნდაც რუსეთის ფედერაციაში ჩვენი ახალი პოლიტიკური რეალობა შევაშველოთ და დაიწყოს ამ ახლიდან, ამ ვითარებიდან უკვე რუსეთთანაც ურთიერთობების მოგვარება და დალაგება; და კიდევ ბოლო ფაქტორი – ეს არის დასავლეთის ფაქტორი. იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილი იყო დასავლეთის ნებიერა პოლიტიკოსი, კონკრეტულად აშშ-ს და კონკრეტული პიარტექნოლოგიური წრეების ნებიერა, დღეს ყველა ხვდება, რომ ნებიერებს ისინი ვერ გადაჰყვებიან ვერც რამდენიმემილიარდიანი შემოსავლების ხარჯზე, პიარკომპანიები და პოლიტიკური ლიდერები მყავს მხედველობაში. გრძელდება ურთულესი დრო და შეხედეთ ვითარებას, რა ხდება ევროპაში. დროა ბევრად უფრო გლობალისტურად ვიაზროვნოთ ყველამ, რიგითებმაც და პოლიტიკოსებმაც. ნათქვამია, პური მანამ უნდა დააკრა, სანამ თონე ცხელიაო. ახლა პურის ჩაკვრის დროა. პატრიარქმა სამების ტაძრიდან თქვა, ახლა ქვების შეგროვების დროა და არა ქვების სროლისო. კარგად გაიგონონ ეს ქვების მსროლელმა პოლიტიკოსებმა.

***– როგორი შეიძლება იყოს ხელისუფლების ნაბიჯები ივანიშვილის მიმართ? გარკვეული რეპრესიები უკვე გამოიკვეთა.***

– წინააღმდეგობრივი. ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ეს არ არის რეპრესიები ზოგადად. ეს არის ტერორი. იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკურ ოპონენტებს ღია ტერორით და ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან, აქ მაშინ ძალიან სერიოზულად გვაქვს საქმე. აქ მაშინ ხელისუფლების აგონიური ხასიათი ჩანს, რომელიც თავისთავად არის საშიში. მაგრამ აქ მზადყოფნა უნდა გამოჩნდეს ქართველი ხალხისა, დაუშვებს ამ ტიპის ღია ტერორის გაგრძელებას ქვეყანაში და რეპრესიების ახალ ტალღას თუ არა. მე ვფიქრობ, რომ ქართველ ხალხში ისეთი ნება არსებობს ხვალინდელი დღის გათენებისა და არა ჭაობში ყურყუტისა, რომ მან ეს რეპრესიები და ღია ტერორი არ უნდა დაუშვას. იგი შეჩერდება ერთადერთი გზით, რომ ქართველი ხალხი თავისი ნების გამომხატველი იქნება ნებისმიერი ფორმით.

# ნანა დევდარიანი: „ხელისუფლების რღვევის პროცესი დაწყებულია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ფერს აკონტროლებენ. ახლა ერთმანეთის მიყოლებით იმდენი სულელური ნაბიჯი გადადგეს – ბიძინასა და მისი მეუღლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა, ინკასატორების მანქანის ჩამორთმევა და მოლარეებისა და ინკასატორების დაკავება, სადაც ერთი გრამი დანაშაული არ ყოფილა და საქმე უკვე გაიჭედა. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა, მაგალითად, ვიღაც სოფლიდან ჩამოსულ ადამიანს ნარკოტიკს ჩაუდებს, დაიჭერს და შეიძლება ვერ გაიგოს საზოგადოებამ. მაგრამ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ხელისუფლების ნამოქმედარს მთელი მსოფლიო იგებს. მთელ მსოფლიოში ხვდებიან, აქ რა ხდება. ამიტომ აქვს მნიშვნელობა ბიძინა ივანიშვილის პიროვნულ ფაქტორს – მასთან დაკავშირებული ამბები უსწრაფესად ვრცელდება. ახლა სოდის თანამშრომლები გაუგზავნია ჟურნალისტების მოწმობებით რუსეთსა და უკრაინაში, რომ იქნებ რაიმე კომპრომატი იშოვონ ივანიშვილზე. რაც მეტ ასეთ სულელურ ნაბიჯს გადადგამენ, მით უარესი ხელისუფლებისთვის. შეგახსენებთ, რა მოუვიდათ, უკრაინაში რომ დესანტი გადასხეს და კუდამოძუებული გამოუშვეს იქიდან. ასევე დამთავრდება მათი ყველა მცდელობა.

შედით საიტზე atb.ge „%!!

# შოთა მალაშხია: „დანამდვილებით ვიცი, ივანიშვილი რუსეთის დაკვეთას ასრულებს“

**რატომ ეძახის მმართველი გუნდი ივანიშვილს რუსეთის პროექტს, დაიწყო თუ არა რეპრესიები მილიარდერის წინააღმდეგ და ტოვებს თუ არა უგულავა-ბოკერიას გუნდი „ნაციონალურ მოძრაობას“? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელს შოთა მალაშხიას ესაუბრა.**

ქეთი ხომერიკი


შოთა მალაშხია

**შოთა მალაშხია:**

– ჩვენს გუნდში არანაირი დაპირისპირება არ არის, ამ ადამიანებზე, მით უმეტეს, არ არის საუბარი. და თუ ვინმეს ექნება ამის სურვილი, მაშინ ის უნდა გამოვიდეს პრინციპების წინააღმდეგ. პრინციპი კი არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ბევრი სამუშაო ადგილის შექმნა, ნატოში გაერთიანება და ა.შ. გუნდი არ ასოცირდება ერთ სახელ და გვართან, გუნდი არის, ამ პრინციპებზე დაყრდნობილი ერთიანობა ადამიანებისა, ამიტომ, როდესაც ადამიანები ამ პრინციპიდან სხვადასხვა მიზეზთა გამო გადიან, ზოგი რუსეთის დავალებით, ზოგიც სხვა რამის გამო, ისინი, უბრალოდ, ველარ იქნებიან ამ გუნდის წევრები. სხვათა შორის, შემდეგ, როდესაც შეხედავთ მათ პოტენციალს, როგორც გავლენის, ასევე ინტელექტუალური თვალსაზრისითაც, დაინახავთ, რომ საკმაოდ მწირია ხოლმე.

***– ალასანიამაც განაცხადა, ხელისუფლებაში მყოფი მეორე და მესამე ეშელონები ოპოზიციაში გადასაბარგებლად ემზადებიანო... გულწრფელად გვითხარით, „ნაციონალებში“ დაპირისპირება არ არის?***

– რა თქმა უნდა, არა, გუნდი არის ერთიანი, პრინციპები კი უკვე დიდი ხანია განსაზღვრულია. აი, ეს ეშელონები კიდევ საერთოდ გაუგებარია, რას ნიშნავს, არ ვიცი, რადგან, მაგალითად, მე ჩემს საკითხებში ვარ როგორც პირველი, ასევე მეორე, მესამე და კიდევ სხვა ეშელონი თუ არსებობს, ანუ ყველა ეშელონში ვარ ჩემი მიმართულებით, ისევე, როგორც სხვა. ახლა სასაცილოა ეს საუბრები, ისევე, როგორც ზოგადად საუბარი, რომ, აი, რუსეთთან უნდა გვქონდეს დიალოგი, უნდა მოგვარდეს ურთიერთობები, რადგან ეს ყველაფერი მხოლოდ ფრაზებია, ან ამას ამბობენ, უბრალოდ, პოპულიზმისთვის, ან ამბობენ, როგორც უცოდინრები, რადგან 200 წლის განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობა ვერავინ დაალაგა, საქართველოში ლიდერი არ მოიძებნა, რომელმაც რუსებთან ურთიერთობა დაალაგა.

***– რას იტყვით კუკავას მცდელობებზე? ვგულისხმობ რუსული ბაზრის დაბრუნებას...***

– დიახ, აი, კუკავა ამას შეძლებს, რა თქმა უნდა, შეძლებს. ჩვენ გვინდა, გვქონდეს ნორმალურ სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობა, მაგრამ ეს ვერ მოხდება დათმობების ხარჯზე პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით. იცით, მხოლოდ საქართველოზეც არ არის საუბარი, რუსეთის გარშემო კუკავა ან ნებისმიერი პოლიტიკოსი თუ დამისახელებს ერთ სახელმწიფოს მაინც, რომელთანაც რუსეთს ურთიერთობა დალაგებული აქვს, მაშინ, კი ბატონო, იმ სახელმწიფოს მოდელს გადმოვიღებთ და ვიტყვით, რომ, ასე უნდა დალაგდეს ურთიერთობა. ბალტიისპირელებთან აქვს დალაგებული ურთიერთობა, უკრაინასთან, ბელორუსიასთან თუ აზერბაიჯანთან? ყველგან დავობს ეს სახელმწიფო, ეს არის მისი მენტალური პრობლემა. ეს არის საბჭოთა სტრუქტურა, რომელიც ამ ეტაპზე, როგორც ფაშისტური და საბჭოთა მოდელი, შერწყმულად მოქმედებს. ამიტომ აქ გამოსავალი არის ერთი – ჩვენ საკითხები საერთაშორისო დონეზე უნდა გადავწყვიტოთ.

***– და ესეც რომ არ ჭრის, შედეგი არ იდება...***

– გაჭრის, სხვა გზა არ არსებობს. ჩვენ, მსოფლიო, ნიკარაგუისა და ნაურუს გარდა, ვამბობთ, რომ აქ მოხდა დანაშაული კაცობრიობის წინაშე, ასეთი სიტუაციის დროს კი მიდის საერთაშორისო სასამართლოები, საერთაშორისო ზეწოლა, ამიტომ უახლოეს ხანში, ცხადია, იქნება შემუშავებული ზოგადი პრინციპები. ამ განცხადებამდე ხომ მივედით, ახლა, უნდა დაიწყოს მოქმედებები და დაიწყება კიდეც. დარწმუნებული ვარ, გავა დრო და რუსეთს ისევე მოუწევს აქ ჩადენილი დანაშაულების გამო კომპენსაციის გადახდა, როგორც მოუწია გერმანიას ჰოლოკოსტის გამო.

***– ივანიშვილი რუსეთს გაუგონარ აგრესიაში ადანაშაულებს, თუმცა ქართულ მხარესაც ადანაშაულებს, როგორ აფასებთ მის განცხადებას და, საერთოდაც, ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას რას უკავშირებთ?***

– ბოლო 7 წლის განმავლობაში საერთაშორისო და ინფრასტრუქტურის გამოსწორების დონეზე, სახელმწიფოს მიმართ პატივისცემის გაჩენის დონეზე არის სერიოზული წინსვლა.

***– თუმცა, ასე არ თვლიან თქვენი ოპონენტები...***

– ეს ფაქტია, ეს არ არის ჩვენი პოზიცია, ეს საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია და კვლევის შედეგებია. და ბოლო მონაცემებიც, რომელიც გამოქვეყნდა, ამაზე მეტყველებს, ანუ ამაზე არავინ დავობს მსოფლიოში, ახლა, ვიღაც ყოველთვის იქნება საქართველოში, რომ ამას ვერ ან სხვანაირად დაინახავს. ყველა ქვეყანაში არის ეკონომიკური კრიზისი, ჩვენთან კი ეკონომიკური ზრდაა, ყველა ქვეყანაში ამცირებენ ხელფასებს და პენსიებს, ჩვენთან კი უმატებენ.

***– პენსიის 10 ლარით მომატება ბევრისთვის სასაცილოც კია...***

– გეთანხმებით, თუმცა არ ამცირებენ და ნულზეც არ ტოვებენ. ახლა, ცხადია, არასდროს იქნება ადამიანი კმაყოფილი, ის მუდმივად ისწრაფვის, რომ მეტი და მეტი ჰქონდეს, რაც ასეც უნდა იყოს და იქნება კიდეც. აი, ამ რეალობაში ყველაზე ცუდს რომ ამბობ, რომ დღეს ხდება, თან ძალიან კარგად იცი, რომ სინამდვილეში ასე არ არის, რადგან 2008 წელს იგივე ჯარები გვეყენა აქ და მათ სამშვიდობოები ერქვათ, დღეს ოკუპანტები ჰქვიათ, მთელი მსოფლიო ასე ეძახის მათ და შენ კიდევ დღეს იწყებ მოქმედებას ამ ხელისუფლების წინააღმდგეგ, ცხადია, ეს არის რუსეთიდან შეკვეთილი.

***– ივანიშვილი რუსეთის დაკვეთას ასრულებს?***

– აქ ორი აზრი არ არსებობს, ამაზე არც შეიძლება ვინმე კამათობდეს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამას აკეთებს ქართველი ბიზნესმენი. მისი განცხადებიდან გამოდის, რომ ოკუპაცია თურმე რუსეთმა სწორად განახორციელა, რადგან საქართველო მოიქცა ისე, რომ მის მიმართ ყოფილიყო განხორციელებული ოკუპაცია. თან როგორ არის იცით, საბჭოთა კავშირი 5 მილიონიან ფინეთს აბრალებდა, რომ ფინეთი დაესხა თავს საბჭოთა კავშირს და ის იძულებული იყო, ეპასუხა, ანუ ეს არის საბჭოთა მენტალიტეტი. იმავეს ამბობდა ჰიტლერი, რომ, ავიწროებენ ჩეხოსლოვაკიაში გერმანელებს და სუდეთში უნდა შესულიყო, რათა გაეთავისუფლებინა გერმანელები, ამას ყველაფერს ხსნიდნენ ასე. ამ შემთხვევაში ივანიშვილმა ან ეს ისტორია არ იცის და, თუ არ იცის, მით უმეტეს, არ უნდა მოდიოდეს პოლიტიკაში, თუ იცის და მაინც ამას აკეთებს, მაშინ, ცხადია, ეს არის რუსული დავალება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანს, რომელსაც პრეტენზია აქვს პატრიოტობაზე, არ უნდა ამბობდეს, საქართველომ დაიწყო ომიო.

***– ივანიშვილის წერილში ისიც კი არ არის ნათქვამი, რომ ბოკერია საომარი მოქმედებების დაწყებას 2008 წლამდე გეგმავდა, ამაზე რას იტყვით?***

– მაშინ ბოკერია იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო და იურიდული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის დონეზე გადაწყდებოდა ეს ამბავი? ის გადაწყვეტდა, დაიწყებდა საომარ მოქმედებებს თუ არა? და ივანიშვილმა დააწყნარა? ეს ხომ აბსურდია. ჯერ ერთი, საქართველოს არც მაშინ უნდოდა და არ დაუწყია ომი და არც 2008 წელს. ომი დაიწყო რუსეთმა, რუსეთი შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენ კი საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილ აგრესორს გავეცით პასუხი. ამ თემას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ერთი მამრაძე და მეორე ივანიშვილი.

***– ივანიშვილმა იცრუა?***

– ცალსახად, რადგან ეს საკითხები ასე არ წყდება და არც არავის ჰქონდა სურვილი ცხინვალის ძალით დაბრუნების. ამაზე განცხადებას აკეთებდა ოქრუაშვილი და დღევანდელ დღეს, როგორც ჩანს, აკეთებდა სწორედ რუსების დავალებით, რადგან დღეს ის არის რუსებთან. აი, ის განცხადებები, რომელიც მაშინ ჩვენ ხელს გვიშლიდა, ფეკალურ მასებს რომ უგზავნიდა რუსებს და ა.შ. აი, დღეს, ეს კაცი არის რუსების კაცი, ივანიშვილი კი მათი, ასე ვთქვათ, ბოლო შანსია, მაგრამ დღეს სახელმწიფო მყარად დგას ფეხზე.

***– და პოლიტიკურ პარტნიორებად რომ პროდასავლური ძალები აირჩია?***

– თქვენ შეგიძლიათ ნახოთ იგივე რესპუბლიკელების გამონათქვამები აფხაზეთთან დაკავშირებით და იქნებ ნახოთ მათი რეიტინგებიც, ანუ მან შეარჩია ის ადამიანები, რომლებიც „გაათეთრებენ“ იმ მდგომარეობას, რომელიც არის ამ ოკუპირებული ტერიტორიების, რადგან ჩვენი ბრალია, აი, ეს არის თემა, ამიტომ ეს ტერიტორიები უკვე დავკარგეთ. რუსეთს აქედან რომ ეუბნება ვიღაც პოლიტიკოსი, ნაძირალა ხარო, ეს არ მოქმედებს, მაგრამ ის მოქმედებს, საქართველოს ხელისუფლებამ ჩააბარა, დაესხა მძინარე ქალაქ ცხინვალსო და ა.შ. ანუ არის ასეთი პოლიტიკური სპექტრი, ოღონდ ამას პოლიტიკური სპექტრი კი არ ჰქვია, ესენი რუსეთის დავალების შემსრულებლები არიან.

***– ალასანია არ იყურება რუსეთისკენ და ისიც ივანიშვილის პარტნიორია. ამას როგორღა ხსნით?***

– ეს მისი გემოვნების საკითხია, თუმცა, რასაც ემსახურება ეს, სურათი ნათლად ვაჩვენეთ. ასევე არის კიდევ ერთი რამ – ამ პოლიტიკოსების რეიტინგები არის ცდომილების ფარგლებში და, ცხადია, ამ დროს გამოჩენილი ამხელა თანხები მათ საშუალებას მისცემს, მოხვდნენ პარლამენტში, ეს კი მათთვის უკვე სერიოზული რამ არის, რადგან ისინი პარლამენტს გარეთ რჩებოდნენ. ამიტომ ყოველთვის იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც გაიყიდებიან და მოხვდებიან პარლამენტში, მაგრამ ეს ადამიანები არ შეიცვლებიან, იგივე პოზიცია ექნებათ, ამ პოზიციას კი ხალხი ხმას არ აძლევს. მათი რეიტინგი არის 2 ან 3% და ახლა ამას თუ ფული დაემატება და გახდა 5%, არც ეს არის პრობლემა.

***– თუმცა, ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტში უმრავლესობით მოვა...***

– ჩვენ არაერთგზის მოგვისმენია საუბრები ხელისუფლების დამთავრების შესახებ, რიცხვები და თარიღებიც კი სახელდებოდა – 9, 7, 25, 33. ყველა ეს თარიღი გავიდა და ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, გვაქვს საკმაოდ მაღალი რეიტინგი და ამისთვის მადლობა უნდა ვუთხრათ ხალხს.

***– სხვათა შორის, ხალხი მმართველი გუნდით უკმაყოფილოა, მგზავრობა გააძვირეთ და ა.შ. აი, ისინი მადლობას ნამდვილად არ გეტყვიან.***

– გეთანხმებით, არის პრობლემები, ხალხი ამ პრობლემებზე უნდა ლაპარაკობდეს, სახელმწიფომ კი უნდა უსმინოს სწორედ მოსახლეობას, გადაუწყვიტოს ეს პრობლემები და გადაუწყვეტს კიდეც. ბოლო კვლევების თანახმად და არ არის ეს ჩვენი, არამედ სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებია, ჩვენ გვაქვს 50%-ზე მეტი რეიტინგი.

***– თვლით, რომ კვლავ უმრავლესობით მოხვალთ პარლამენტში? ივანიშვილს კონკურენტად არ აღიქვამთ?***

– არა, რადგან დაეყრდნო იმ ხალხს, რომლის რეიტინგიც ცნობილია და არ გამოირჩევიან პოლიტიკური მდგრადობით. პოლიტიკური აჯაფსანდალი გამოვა და ვერ გაარკვევს, ხალხი ვის აძლევს ხმას, იმას, ვისაც აფხაზეთისა და ცხინვალის გაჩუქება უნდა, იმას, ვისაც რუსებთან ურთიერთობა უნდა, თუ იმას, ვინც დაიკნავლებს, რომ ვითომ ევროპასთან უნდა, აი, ამ ამორფულ რაღაცაში მარტო ფული საკითხს ვერ გადაწყვეტს. კი სჭირდება ფული არჩევნებს, მაგრამ, არ შეიძლება, იმდენი ადამიანი იყიდო, რომ მოხვიდე სერიოზული ციფრით, უმრავლესობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მე მჯერა საქართველოს მოსახლეობის, რომ ის ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას ღებულობს.

***– თუმცა, ითქვა, რომ ივანიშვილს არათუ კონკურენტად აღიქვამთ, არამედ ნერვიულობისგან ღამეებიც კი არ გძინავთ.***

– გეთანხმებით, ღამეები ნამდვილად არ მძინავს, რადგან 25-ში გვაქვს პრეზენტაცია ფილმების ოკუპაციასთან დაკავშირებით და 7 ნოემბრიდან გავუშვებ ოცივე ფილმს, ამასთან ერთად, ვიწერ ეთნოწმენდის მასალებს, უკვე 700 ადამიანია ჩაწერილი, ამის გარდა, არის ჩვეულებრივი რუტინული საპარლამენტო ცხოვრება. ამ ფილმებს გავუშვებ პირველ არხზე, პარალელურად მიდის რუსული თარგმანი, დაიდება სხვადასხვა ინტერნეტ-გამოცემებში, ამისი ინგლისური თარგმანიც იქნება და ამას წავიღებთ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ეს იქნა გადაღებული. 7 ნოემბრის შემდეგ კი ვიწყებ მეორე პროექტს, რომელიც იქნება სულ სხვა მიმართულების, ასევე საინტერესო, რომელზეც ამ წამს არ ვისაუბრებ.

***– ივანიშვილმა მერაბიშვილს რჩევებიც კი მისცა, გაითვალისწინებს?***

– აი, ეს იყო ყველაზე ცუდი მხარე, როდესაც ადამიანი არც თავის თავს სცემს პატივს და არც სახელმწიფო მოხელეს აფასებს. ახლა, ჩემო ვანოთი და ჩემო შოთათი და შენ კარგი ბიჭი ხარ და ხვალ რომ დაიწეროს ჩემზე, იმდენს შრომობ, რომ არ გძინავს ღამეები, მაგრამ ვინ დაგიფასა და ა.შ. აი, ეს ძალიან ღიმილისმომგვრელია, რადგან ეს ხომ ვიღაცისთვის კონკრეტულად არ კეთდება, ეს არის ჩემი რწმენის შემადგენელი ნაწილი და ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ასე მჯერა. თუ არ ვიქნები ამაში დარწმუნებული არ გავაკეთებ, ხომ. ეს ძალიან პროვინციული განცხადება იყო, რადგან, რამდენიც არ უნდა მოეფერო ამ ადამიანს, ის ყოველთვის გადაწყვეტილებას ღებულობს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და ეს ინტერესები კარნახობს იმას, რომ არ იქნეს დაშვებული დესტაბილიზაცია, უკანონობა და, მით უმეტეს, რუსული ჩექმის ხელახალი ბოგინი საქართველოში.

***– მიანიჭებს პრეზიდენტი მოქალაქეობას ივანიშვილს? ბესელიამ ეს ფაქტი პოლიტიკურ ანგარიშსწორებად შეაფასა. თქვენ როგორ აფასებთ?***

– ვერ გეტყვით, ამაზე გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი. კანონში წერია, რომ თუ შენ ხარ მეორე ქვეყნის მოქალაქე, ავტომატურად გიწყდება საქართველოს მოქალაქეობა და ჩაიხედონ ამ კანონში, რა. მიანიჭა პრეზიდენტმა ერთხელ უკვე მოქალაქეობა და ამის შემდეგ გაირკვა, რომ კიდევ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. ჰოდა, ახლა სად ვსდიოთ ჩვენ მას, მერე კიდევ რომ მოუნდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება? ამიტომ აქ ამოქმედდა კანონი და ასეც უნდა იყოს.

***– ივანიშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები რეპრესიებად შეფასდა...***

– არ შეიძლება საქართველოში ვიღაც ამოძრავებდეს 2-3 მილიონს, რომელიც არის კანონგარეშე, ამისთვის არსებობს სპეციალური დებულებები, თუ ფული გადაადგილდება ა პუნქტიდან ბ პუნქტში, უნდა იყოს შეთანხმებული და ა.შ. როგორც ხდება, როგორც წესია, ანუ ეს წესი არ იყო დაცული და, ამასთან ერთად ალბათ, გაირკვევა ამ ფულის წარმომავლობის საკითხიც. ხომ არ შეიძლება, ვიღაცამ შემოიტანოს ფული და შემდეგ აქ მართოს სიტუაციები, როდესაც ამ ფულის წარმომავლობა უცნობია.

***– რესპუბლიკელების თქმით, საჩხერის რაიონში პედაგოგებს მოსთხოვეს, ყველა ტიპის შემოწირულობაზე, რომელსაც ივანიშვილი ახორციელებდა, უარის თქმა. ამაზე რაღას იტყვით, ეს არ არის რეპრესიები, ბატონო შოთა?***

– სისულელეა, ეს ინფორმაცია არ არის სიმართლე. ეს ადამიანი, სადაც არის ქველმოქმედი, დარჩეს ქველმოქმედად და, თუ ამ ქველმოქმედებაში რაიმე პრობლემები შეექმნა, მოვიდეს ჩვენთან პარლამენტში და გადავუწყვეტთ ამ საკითხს. ვიმეორებ, თუ პრობლემები აქვს ქველმოქმედებაში, მაგრამ, თუ უკანონოდ უნდა ფულის ბრუნვა და რაღაცები, ეს პროცესები, რა თქმა უნდა, გაჩერდება.

## ტრენინგი მოსამართლეებისთვის „ბავშვები მართლმსაჯულების სისტემაში“

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე დაბა კაჭრეთში მოსამართლეებისთვის სამდღიანი ტრენინგი გაიხსნა.

ტრენინგი UNICEF -ის მხარდაჭერითა და დაფინანსებით იმართება. ტრენინგს გახსნის გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელი აარონ გრინბერგი.

ტრენერებად მოწვეულები არიან ამერიკელი და ქართველი ექსპერტები.

მოსამართლეებისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემასთან დაკავშირებით ტრენინგები ბოლო სამი წელია აქტიურად იმართება, სასამართლო ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვთა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას და ამ სფეროში მოსამართლეებისთვის მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფას.

# ელიზბარ ჯაველიძე: „ბიძინა ივანიშვილთან რამდენიმე კითხვა მაქვს“

თეა მარხვაიძე

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას მიესალმება. მისი აზრით, პოლიტიკაში ძალების მოსვლის უფლება ყველას აქვს და ეს ზოგიერთი ნაციონალის გადასაწყვეტი არ არის.**

**რა სარგებლობას მოუტანს ივანიშვილს გაბაშვილ-მინაშვილ-წიკლაურის ლანძღვა, რისი ეშინია ჯაველიძეს და ვის აქვს პოლიტიკაში ყოფნის უფლება. ამის შესახებ ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

**ელიზბარ ჯაველიძე:**

– ვინ მოვა პოლიტიკაში, ეს ნაციონალების გადასაწყვეტი არ არის. თუ კაცს სამშობლო უყვარს, მას ამ ასპარეზზე გამოჩენის სრული უფლება მაქვს. მე პირადად პოლიტიკოსობის სურვილი არასდროს არ მქონია. არც ვარ პოლიტიკოსი.

***– პოლიტიკაში რატომ ხართ?***

– სამშობლო მიყვარს და მოვალე ვარ, ვდიო ერის ხმას. რაც შეეხება ივანიშვილს, მას სხვებზე მეტად აქვს უფლება, ჩაერთოს პოლიტიკაში.

***– რატომ?***

– ის გახლავთ ადამიანი, რომელზეც საქართველოში მითი შეიქმნა, მითი კარგ ყმაზე. ეს მითი იმის გამო არ შექმნილა, რომ მას ბევრი ფული ჰქონდა. არამედ იმიტომ, რომ ის სიკეთეს აკეთებდა. ამ სიკეთეს ძალიან ჩუმად აკეთებდა. კარგი ყმის სახელი დღემდე მითად არის ქცეული. ეს ძალიან კარგია. ხალხმა კარგად იცის, ვინაა ბიძინა ივანიშვილი. ეს არის კაცი, რომელმაც ააშენა სამების საკათედრო ტაძარი. ეს არის ადამიანი, რომელმაც დანგრევას გადაარჩინა რუსთაველის თეატრი. ის არის კაცი, რომელმაც ძალიან ბევრი ადამიანი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა. ეს სიკეთე მას თან ახლავს. ამის წაშლას ვერავინ ვერ შეძლებს. თუ თავად რამე არ შეეშალა.

***– როგორ ფიქრობთ, შეეშლება?***

– არა მგონია. აქამდე არაფერი შეშლია. იმედი მაქვს, რომ მომავალშიც ასე იქნება.

***– პოლიტიკაში მოსვლით შეცდომას ხომ არ უშვებს?***

– არა. მას უყვარს სამშობლო და უნდა, სამშობლოს კიდევ ბევრი რამ გაუკეთოს. რას იტყვიან ნაციონალები, ეს არავის აინტერესებს. რაც არ უნდა ილაპარაკონ, მის მიმართ ხალხის დამოკიდებულებას ვერ შეცვლიან. მათი ლანძღვა-გინება მასზე დადებითად იმოქმედებს. ეს ის ხალხია, რომელიც ამტკიცებს, რომ საქართველოს ისტორია დაიწყო 2003 წელს. თითქოს ქვეყანამ ყველა სფეროში წარმატებას მიაღწია. ტყუილების თქმა არის მათი მეთოდი. სინამდვილეში ასეთი დაქცეული საქართველო ისტორიას არ ახსოვს. ამათგან განსხვავებით საქართველოს ისტორიას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ჩვენი ერი ასეთი გამათხოვრებული არასდროს ყოფილა. მუხრანის არ იყოს, ასეთ დამხობილ ქვეყანას რომ ვუყურებ, როგორ არ ვიტირო. ივანიშვილიც წუხს იმის გამო, რაც ქვეყანაში ხდება და გადაწყვიტა, მოვიდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ნაციონალების გადასაწყვეტი არ არის, ვინ იქნება პოლიტიკაში და ვინ არა. მისი გამოჩენა მიხარია, მაგრამ ერთი რამის ძალიან მეშინია.

***– რისი გეშინიათ?***

– ის ქართველ ხალხს მოევლინა, როგორც სინათლე გვირაბის ბოლოს. იმის მეშინია, ეს იმედი არ ჩაუქროს ამ თახსირმა ხელისუფლებამ. ისინი ამისთვის ყველაფერს გააკეთებენ. ივანიშვილის გამო გადარეულები არიან.

***– რატომ არიან გადარეულები?***

– საამისოდ ბევრი მიზეზი აქვთ. ვერ მოუნელებიათ, როგორ გამოცოცხლა ქართველი ხალხი. მათ არ აწყობთ, რომ ქართველი ხალხი იმედით იყოს. ამიტომ, მეშინია, ეს იმედი არ გაუქარწყლონ ხალხს ამ ბნელეთის მოციქულებმა.

***– ხელისუფლება ივანიშვილის გამოჩენით აღშფოთებულია. თუმცა მის წინააღმდეგ მხოლოდ სამი ადამიანი აქტიურობს. ივანიშვილის ლანძღვა თავის თავზე გოკა გაბაშვილმა, აკი მინაშვილმა და ნუგზარ წიკლაურმა აიღეს. რატომ დუმან დანარჩენები?***

– ესენი არიან ის ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებთ ერი და სამშობლო. მხოლოდ საკუთარ მუცელზე ფიქრობენ. ყველაფერს კადრულობენ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ სავარძლები. ამ სავარძლებშიც შემთხვევით არიან მოკალათებული. ერთი რამ არ ესმით, რაც მეტად ლანძღავენ ივანიშვილს, მით უფრო მაღლდება მისი ავტორიტეტი ქართველ ხალხში. მადლობა ღმერთს, რომ ხალხის უმეტესობა ხვდება, რას ნიშნავს ამათი ლანძღვა. ისინი პანიკაში არიან. ეს ერთ რამეზე მიუთითებს, ისინი გრძნობენ, რომ დამარცხდებიან. ამის გამო ძალიან შეშინებული არიან.

***– ვითომ შეეშინდათ?***

– ძალიან შეეშინდათ. მართალია ყელყელაობენ, სინამდვილეში ძალიან დამფრთხლები არიან. და უკვე აღარ იციან, რას აკეთებენ. აზრზე რომ იყვნენ, მინაშვილს და გაბაშვილს არ ალაპარაკებდნენ. კარგად იციან ამ ბნელეთის მოციქულებმა, რომ საელჩოების წარმომადგენლები შემთხვევით არ მისულან ივანიშვილთან. ისინი მიესალმნენ მის გამოჩენას. თანაც ამ ადამიანმა თქვა, რომ რევოლუციაზე და ძალადობაზე უარს ამბობს. ესენი კი დამამხობლები არიან. ჯერ ერთი, ხელისუფლება დაამხეს, მერე მეორე, ივანიშვილს არ ვეთანხმები იმაში, რომ ის რევოლუციაზე უარს ამბობს.

***– თვენი აზრით, რევოლუციის გარდა გამოსავალი არ არის?***

– ეს ხელისუფლება არის საშინელი ბოროტი ძალა, რომელსაც თუ ძალა არ დაუპირისპირე, არაფერი გამოვა. სამწუხაროდ, სიყვარული მტრობაზე ყოველთვის ვერ იმარჯვებს.

***– ზემოთ ელჩების და ივანიშვილის შეხვედრა ახსენეთ. როგორც ამბობენ, აშშ-ს ელჩი მას ისე შეხვდა, როგორც პრეზიდენტს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ის ამერიკული პროექტია? ასეთი ვარაუდები უკვე აქტიურად გამოითქმება.***

– ამის სერიოზული ეჭვები არსებობს, მისი



ელიზბარ ჯაველიძე

წერილები გულდასმით წავიკითხე და რაღაცები აღმოვაჩინე. ამასთან, აღმოვაჩინე, რომ ამ ადამიანს ძალიან უყვარს თავისი სამშობლო და თავისი სოფელი. მასთან დაკავშირებით მეც გამიჩნდა კითხვები. ამ დღეებში ღია წერილს დავწერ და ამ კითხვებს დავუსვამ.

***– რა კითხვები გაგიჩნდათ?***

– ის არსად არ ამბობს, რომ დღეს არსებული სისტემა უნდა დაინგრეს. სისტემა თუ არ დაინგრა, ისე არაფერი არ გამოვა. მას ჰგონია, რომ მოიყვანს ერთგულ ძალებს. ამაში ძალიან ცდება. ბევრი მას შუა გზაზე მიატოვებს.

***– ნათელი ხდება, რომ ივანიშვილი ითანამშრომლებს ირაკლი ალასანიასთან. ამაზე რას ფიქრობთ, ეს ახალგაზრდა პოლიტიკოსი თქვენ ძალიან არ მოგწონთ.***

– მის მიმართ სულ კრიტიკულად ვარ განწყობილი. ამის მიუხედავად ხმამაღლა ვიტყვი, რომ ის ძალიან ბევრს სჯობია. ის არის ადამიანი, რომელსაც ხალხთან საუბარი შეუძლია. რაც მთავარია, ოჯახში გაზრდილი და ზრდილობიანი ახალგაზრდაა.

***– აბა, რაღას ერჩით, ბატონო ელიზბარ?***

– ალასანიას, როგორც პიროვნებას, არაფერს ვერჩი. უბრალოდ, ვშიშობ, რომ ის არის ამერიკის პროექტი. ამის გამო მქონდა მასთან დაკავშირებით კითხვები. ამერიკული პროექტი თუ განხორციელდა, სისტემა არ შეიცვლება. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ნგრევა გაგრძელდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ივანიშვილი ქვეყნის ნგრევას არ დაუშვებს. მას არავინ არ აიძულებდა, სიკეთე გაეკეთებინა. ამას დიდი ხანია აკეთებს, თან ჩუმად. ამიტომ მჯერა, რომ ქვეყანასაც ბევრ სიკეთეს მოუტანს. ადამიანი. ზემოთაც ვთქვი, რომ მის წერილებში დავინახე, როგორ უყვარს მას თავისი ქვეყანა და თავისი სოფელი. ჭორვილა მას პარიზსა და ნებისმიერ დიდ ქალაქს ურჩევნია.

***– ზოგიერთმა პოლიტიკოსმა მისი ჭორვილელობა სასაცილო თემად აქცია. კაციტაძემ თქვა, ეს კაცი ჭორაობს და ჭორვილის გავლენა ეტყობაო, ხათუნა ოჩიაურმა კი თქვა, ჭორვილადან საქართველო ეტყობა სხვანაირად მოჩანსო.***

– ერთმაც და მეორემაც მიხედონ თავიანთ პროვინციალიზმს. ხათუნა ოჩიაურმა მიხედოს თავის სოფელს და შეეცადოს აზროვნებით იმ სიმაღლეზე ავიდეს, რა სიმაღლეზეც ხევსურები არიან. მამუკა კაციტაძე კი კომკავშირის ცეკას მდივანი იყო. თავგამოდებით და შეუპოვრად იცავდა კომუნისტურ იდეებს. ამის გამო ჩვენს ახალგაზრდობას უპირისპირდებოდა. რა უფლება აქვს, ჭორვილაზე ილაპარაკოს. ივანიშვილის უპირატესობა ის არის, რომ ის მოდის სოფლიდან.

***– ეს რატომ არის უპირატესობა?***

– ქართულ სოფელს ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს სისუფთავე. ამ ქალაქმა ყველაფერი დაანგრია.

***– ამით რისი თქმა გინდათ, რომ პოლიტიკაში ქალაქელებს არფერი ესაქმებათ?***

– მაგის თქმა არ მინდა. მაგრამ იმასაც აღვნიშნავ, რომ ვინც თბილისელობას და ქალაქელობას იჩემებს, ქალაქელი არ არის. თბილისელობა არ ნიშნავს მარტო თბილისში დაბადებას. ეს არის აზროვნება. თბილისელობის მთავარი წესი ვაჟკაცობა და ურთიერთის გატანა იყო. ესენი კი რას აკეთებენ, ერთმანეთს ძირავენ. ახლობლებსაც არ ინდობენ, კვანტს უდებენ, ცდილობენ, წააქციონ და ზედ გადაიარონ. სანამ კაციტაძე ივანიშვილის სოფელს გააქილიკებს, თავის მემარჯვენეებს მიხედოს. ეგენი არ იყვნენ, რვიანი, რომ მიატოვეს?! ამით ხელისუფლებას გაურიგდნენ. მემარჯვენეები ყოველთვის ასე იქცეოდნენ. აბა, გავიხსენოთ, ვინ აშოვნინა დავით გამყრელიძეს მილიონები? მან ფული შევარდნაძის დროს იშოვა.

***– მოდით, ისევ ივანიშვილის თემას დავუბრუნდეთ, თქვენი აზრით, შეიცვლება რამე ქვეყანაში?***

– რაღაცები უკვე შეიცვალა. ნახევრად მიცვალებული და მძინარე ხალხი გამოფხიზლდა. გაჩნდა იმედი, იმედი იმისა, რომ ამათგან შეიძლება გავთავისუფლდეთ. ახლა იმის მეშინია, ივანიშვილს რამე არ მოუწყონ. პროვოკაციები იქნება. ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი. ეს ის ხალხია, რომლებმაც 26 მაისის ღამეს არნახული სისასტიკე ჩაიდინეს. რუსთაველი ქართველების სისხლით მორწყეს. და რამდენიმე საათში ამ სისხლიან ადგილზე აღლუმი ჩაატარეს. რითაც კიდევ ერთხელ გადაუარეს ქართველობას. ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. იმედია, არაფერი არ გამოუვათ. ივანიშვილის თემით მთელი მსოფლიო დაინტერესდა. როგორც უკვე ვთქვი, შემთხვევით არ იყო, მასთან ელჩები რომ მივიდნენ. ხელისუფლება შეშინებულია. იმ დონეზე არიან, რომ მინაშვილსა და გაბაშვილსლა ალაპარაკებენ.

# სააკაშვილი დემოკრატი არასდროს ყოფილა

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ ევროპელი დემოკრატების პოლიტიკურ მდივანთან ლევან გაბრიჩიძესთან

***– ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა შეიქმნა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით. თქვენ როგორ უყურებთ ამ ახალ რეალობას?***

– ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა ბიზნესმენი თავისი წარსულით, რომელსაც ძალიან დიდი ფინანსური საშუალებები აქვს. თავისთავად, ეს არ არის ცუდი, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავად გადაწყვიტა პოლიტიკაში მონაწილეობა, რაც ახალია საქართველოსთვის. რადგან როგორც წესი, ბიზნესმენები სხვა პოლიტიკურ პარტიებს აფინანსებენ, თუ სურვილი აქვთ. თავად არ მონაწილეობენ პოლიტიკურ სივრცეში, ეს მიღებული დემოკრატიული ნორმაა დასავლეთში. თითქმის არსად არ არის მსგავსი რამ, თუ არ ჩავთვლით იტალიას და სილვიო ბერლუსკონის, სადაც სერიოზული პრობლემა არის. საქართველოსნაირ ქვეყანაში ეს კიდევ უფრო სახიფათოა.

***– რატომ არის სახიფათო?***

– ივანიშვილის ფინანსური საშუალებები მთელი საქართველოს შიდა პროდუქტის ნახევარია. როდესაც



ლევან გაბრიჩიძე

ჩვენ მიხეილ სააკაშვილზე ვსაუბრობთ, რომ მას ადმინისტრაციული რესურსი აქვს, საკუთარი ფინანსური სიმდიდრე, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად ცნობილია, რომ დიდი ქონება არ აქვს. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას ის წინა პორობა, რომ კიდევ უფრო რთული გასაშვები გახდეს, რადგან მას გარდა ადმინისტრაციული რესურსისა, ხომ არ ვიცით, ის როგორ მოიქცევა ხელისუფლებაში.

***– თუმცა, მან თქვა, რომ ორ-სამ წელიწადში ხელისუფლებიდან წავა...***

– მე მხოლოდ ერთი კაცი ვიცი, ვინც ნებაყოფლობით წავიდა ხელისუფლებიდან – ეს იყო დიოკლიტიანე, რომელიც 20-წლიანი მმართველობის შემდეგ წავიდა. მეტი ნებაყოფლობით წასული ხელისუფლებიდან იშვიათია. არჩევნების წაგების შემდეგ მიდიან. საქართველოსნაირ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების არჩევნებით ცვლილება ტრადიციულად არ არის, მით უმეტეს, ამ ტიპის განცხადება ჩემთვის დაუჯერებლად ჟღერს. ივანიშვილმა ბევრი განცხადება გააკეთა, ზოგი მერე გადათქვა, მაგალითად, ჟურნალისტების, ტელევიზიების მიმართ გაკეთებული. არც მიხეილ სააკაშვილი იძლეოდა ცუდ დაპირებებს, რომ ამოვიღით ის დანაპირებები, რასაც მიხეილ სააკაშვილი 2003 წლიდან 2011 წლამდე დაგვპირდა ახლა სამოთხეში უნდა ვცხოვრობდეთ, მაგრამ რეალურად არ შესრულდა. პოლიტიკური რეალობა სხვა არის. არ უნდა ვიცხოვროთ იმ გათვლით, რომ კარგი ადამიანია ბიძინა ივანიშვილი თუ ცუდი, დადებულ პირობას შეასრულებს თუ არა. წავა თუ არა სამ წელიწადში. ჩვენ უნდა გავთვალოთ ის, რამ მოხდება მერე, რომ გადაწყვიტოს, რა მოხდება სამი წლის მერე, გადაწყვიტოს, დარჩეს ხელისუფლებაში. რამდენად დემოკრატიული სივრცე შეიქმნება, მით უმეტეს, თავის განცხადებაში ხალხი დაყოფილია. გაავლო ზღვარი, რომ მისთვის მთავარი ამოცანაა მიხეილ სააკაშვილის წასვლა. ფაქტია, რომ ის პირად დაპირისპირებაში გადადის და როდესაც არჩევნები დაინიშნება, ჩვენ ან ბიძინა ივანიშვილი უნდა ავირჩიოთ, ან მიხეილ სააკაშვილი. შუა არჩევანს აღარ ტოვებს, როგორც ამბობს, ახლა ამის დრო არ არისო. 2003 წელს დაახლოებით იგივეს ამბობდნენ რევოლუციონერები. რაც შეეხება განცხადებას, რომ დემოკრატიით გააოცებს ევროპას. დემოკრატიით ვინმეს გაოცება ძნელია, რადგან დემოკრატია ან არის, ან არა. მთავარი მაინც ის არის, რომ მას შეუძლია ნებისმიერი ტიპის რეალობის შექმნა თავისი ფინანსური რეზერვებიდან გამომდინარე. მაგალითად, პარლამენტში დეპუტატები იყიდოს. თუ იტალიაში ეს ბერლუსკონის შეუძლია, აქაც არ არის გამორიცხული. ვხედავთ, რა ხდება მის რეზიდენციასთან. თითქმის არ დარჩა პოლიტიკოსი, რომელიც იქ არ არის მისული. ვისაც დაუძახა ყველა მივიდა, ნაწილამა პარტიაც კი დატოვა. არ ვიცი, რა ინტერესებით მიდიან, მაგრამ მიდიან.

***– თქვენც რომ მიეწვიეთ, ალბათ თქვენც მიხვიდოდით...***

– რა თქმა უნდა. თუ ჩვენს პოლიტიკურ პარტიას მიმართავს, მივალ, რომ გავარკვიო, რა ხდება. სხვადასხვა პოლიტიკური ძალები სხვადასხვანაირად შეხვდნენ ამას. ზოგმა ტაშფანდური გამართა, ზოგმა თავშეკავებულად მიიღო, მაგალითად, თავისუფალმა დემოკრატებმა. გასაგებია რატომაც, ირაკლი ალასანია ასე Yთუ ისე, დამოუკიდებელი მოთამაშე არის უკვე. მას აქვს რეიტინგი და ეს დაამტკიცა 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, რომ წონადი ფიგურაა. დანარჩენი პარტიებისთვის ეს გასაგებია, რომ გადარჩენის მომენტია. ბიძინა ივანიშვილთან ერთად შეიძლება რეანიმაცია განიცადონ. მაგრამ მთავარი, რაც მაწუხებს, არის ის, რომ არჩევანი დღეს არ არის. მაგალითისთვის ვამბობ – არ მინდა ერთი მეორით შევცვალო, მაგრამ სხვა არჩევანი არ არის. მინდა დემოკრატიული სივრცე იყოს. დემოკრატიულია სივრცე, სადაც მთავარი გადამწყვეტი ფაქტორი ფული იქნება. რა მნიშვნელობა აქვს, დაგაშინებენ და ისე გააკეთებ არჩევანს, თუ მოგისყიდიან. ორივე შემთხვევაში თავისუფალ არჩევანს ვერ აკეთებ. რომელია უკეთესი, თუ სახარებისეულ მაგალითს ავიღებთ, პეტრეს შეეშინდა და სამჯერ უღალატა, მაგრამ მაინც შეეწირა ქრისტეს. იუდამ ფულზე გაყიდა და საბოლოოდ თავი ჩამოიხრჩო. ბევრად უფრო ტრაგიკული მომენტია. დიდი სიფრთხილით ვუყურებ ამ მომენტს.

***– ერთის მხრივ, როგორც გავიგე, ივანიშვილის ფინანსებია თქვენთვის მიუღებელი და მეორეს მხრივ, სადემარკაციო ხაზი, რომელიც მან გაავლო?***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

შედით საიტზე atb.ge



# ნოდარ ჯავახიშვილის საქმიანობა შესასწავლია

## ხელისუფლებას პოლიტიკურ მაქინაციებში ვერავინ შეედრება

შორენა კოწოწაშვილი


მამუკა გიორგაძე

### ინტერვიუ მამუკა გიორგაძესთან

***— ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებდით პროცესს, რომელიც ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წამოიწყო და, საერთოდ, რა აზრის ხართ ივანიშვილის პოლიტიკურ ამბიციებზე?***

— ქვეყანაში ასეთი ვითარებაა: ხელისუფლებაში წარმოდგენილია ძალა, რომელიც მიზანმიმართულად ანგრევს ქართულ სახელმწიფოებრიობას და არანაირ იმედს არ ტოვებს პერსპექტივისთვის; არა მარტო დღევანდელობას ანგრევს, არამედ ყველანაირ საფუძველს შლის ხვალინდელი დღისთვისაც. საზოგადოებაში არის უდიდესი მოლოდინი, რომ შეიცვალოს ეს რეჟიმი; შეიცვალოს ის პოლიტიკა, რომელსაც ამ ხელისუფლების წარმომადგენლები ახორციელებენ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ადამიანის თუ პოლიტიკური ჯგუფის გამოჩენა პოლიტიკურ სივრცეში, რომელსაც ექნება ამ რეჟიმის ხელისუფლებიდან ჩამოცილების რესურსი, ბუნებრივია, ქართველ საზოგადოებაში უდიდეს მოლოდინს იწვევს და იმედებს აღძრავს. ის გარემოება, რომ ივანიშვილს აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი რესურსი, შესაბამისად, ეს მოლოდინები არსებობს და, ბუნებრივია, საზოგადოებაში გარკვეულწილად არის განწყობა იმისა, რომ შესაძლებელია შეიცვალოს ის ყოველდღიურობა, რომელშიც ვიმყოფებით. საზოგადოებაში გაჩნდა იმის განცდა, რომ ხვალინდელი დღე და პოლიტიკური ცხოვრება უკეთესი იქნება. ჩვენ უნდა შევხედოთ ამ მოვლენას ორი კუთხით: პირველი — არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ქმედებათა რაკურსი და მეორე — ელემენტარულად, მომავალი საქართველოს ჩამოყალიბების იმ სტრატეგიის განსაზღვრაში, რომელშიც მონაწილეობა მთელმა ქართველმა ერმა უნდა მიიღოს. პირველ ნაწილში, ბუნებრივია, იმას, ვისაც ყველაზე კარგი რესურსი აქვს რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისა, ან გვერდში უნდა დაუდგეს ქართველი საზოგადოება, ან მინიმუმ ხელი მაინც არ უნდა შეუშალოს. აი, მეორე ნაწილში, პრაქტიკულად ყველამ ერთობლივად, ვისაც ამის ინტელექტუალური თუ პოტენციური შესაძლებლობები, გამოცდილება, ცოდნა გააჩნია, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ხვალინდელი დღე უფრო დინამიკურად განვითარდეს და ცხოვრება უფრო მშვიდი და გარანტირებული გახდეს. აი, ამ ორი მიმართულებით განვიხილავთ ჩვენ თითოეულ პოლიტიკურ პარტიას და, ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილსაც, რომელსაც საკმაოდ სერიოზული რესურსი გააჩნია ამ ყველაფერში მონაწილეობის მისაღებად.

***— რუსული ინტერესები იკვეთება ივანიშვილის გადაწყვეტილებაში? სააკაშვილის გუნდი „შავი პიარის" კუთხით იმას იყენებს, რომ ივანიშვილს არაფერი უთქვამს ნატოში გაწევრიანებაზე.***

— რაც დრო გავა, ალბათ ივანიშვილი თავის ხედვასაც ჩამოაყალიბებს ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ჯერჯერობით მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით მისი შეხედულება ჩვენთვისაც უცნობია. აქედან გამომდინარე, წინმსწრებად ვერანაირ დასკვნას ვერ გავაკეთებ. რაც შეეხება ხელისუფლების დამოკიდებულებას, ფაქტია, ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველო არ წასულიყო დასავლური ღირებულებების განვითარების მიმართულებით. ჩვენი დასავლეთთან ინტეგრირების გზაზე ყველაზე მეტი ხელისშემშლელი სწორედ საქართველოს ხელისუფლებაა. ამიტომ მისი მხრიდან ვინმეზე პრორუსულობის დაბრალება მინიმუმ სასაცილოა და მაქსიმუმ — ეს უკვე გონდაკარგული ადამიანის ბოდვებს ემსგავსება. ამიტომ, ეს არ არის სერიოზული. შესაბამისად, ხელისუფლებას აქვს სურვილი, რომ პოლიტიკური ბრძოლა პრინციპების და ღირებულებების ჭიდილში კი არ იყოს, არამედ პიროვნულ დაპირისპირებაში და ქაოსში გადაიყვანოს. გადაიყვანოს იმ კუთხით, რომ ჩემიანი და სხვისიანი. თუ სხვისიანია, უკვე მტერია. სააკაშვილს უნდა, ყველას ასეთი იარლიყები მიაკეროს. ერთი მხრივ, ეს მას სჭირდება იმისათვის, რომ თავისიანების მამობილიზებელ ფაქტორად გამოიყენოს მოწინააღმდეგე და, მეორე მხრივ — თვითონ ამ ქვეყანაში გული არ შესტკივა და მზად არის იმისათვის, რომ ოღონდ ხელისუფლება შეინარჩუნოს და ქვა ქვაზე ნუ დარჩება საქართველოში. ასე რომ, ეს არგუმენტი არასერიოზულია, მით უმეტეს — ხელისუფლების მხრიდან.

***— ივანიშვილის გამოჩენამ ხელისუფლება და მმართველი გუნდი სერიოზულად შეაშფოთა? ამის დასტურია ის, რაც „ქართუ ბანკთან" მიმართებით მოხდა?***

— ხელისუფლება რასაც არის მიჩვეული, იმას აკეთებს. მაქსიმალურად ცდილობს, საქმე ისე წარმოაჩინოს, რომ თითქოს არ ეშინია; თითქოს უმნიშვნელო პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ, ამავე დროს, თავისიანებს ათქმევინოს, ბაბაი მაგარია. ხედავთ, ბაბაიმ რა უქნა? — ეს გაუკეთა, ეს გაუკეთა. თუ სააკაშვილი ამ ღონისძიებებს არ გაატარებს და თავისიანებს არ მისცემს იმის საფიქრალს, რომ სააკაშვილი მყარად დგას ფეხზე, პირველი საფრთხე მას სწორედ მისივე ხელისუფლების წევრებისგან ემუქრება. სააკაშვილმა ხომ ძალიან კარგად იცის, როგორ განვითარდა მოვლენები 2003 წელს და როგორ ხდებოდა, რომ ერთმანეთის მოყოლებით შევარდნაძის ხელისუფლების ხალხი ტოვებდა თავიანთ სამსახურებს და გადმოდიოდა სააკაშვილის მხარეზე. სააკაშვილმა იცის, საკმარისია ერთი ე.წ. პერემეშჩიკი, საკმარისია ხელისუფლებიდან ერთი პირველი ნაბიჯი გამსვლელი, რომ ხუხულასავით დაინგრევა ის შენობა, რომელიც სააკაშვილმა შექმნა. ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს მონსტრი ქვიშაზეა აგებული და არანაირი რეალური სიძლიერე მას არ გააჩნია, გარდა ცხოველური ჟინისა, იყოს ხელისუფლებაში, ჰქონდეს ძალაუფლება, ფული და ა.შ. როგორც კი ვეღარ გახდება სააკაშვილი ამ კლანებისთვის კეთილდღეობის გარანტი, ხუხულასავით ჩამოიშლება ეს ხელისუფლება, ისევე, როგორც მისი წინამორბედი ხელისუფლებები ერთ დღეში ჩამოიშალნენ, იმიტომ რომ გარეგნულად ძლიერები ჩანდნენ, სინამდვილეში კი იყო მყიფე და ამორფული. სააკაშვილმა ეს ძალიან კარგად იცის და აქედან გამომდინარეა, რომ ცდილობს, ეს პროცესი გუნდის შიგნით არ დაუშვას. მას უნდა, საკითხი გადაიყვანოს არა საკითხების და ღირებულებების ჭიდილში, არამედ იმაზე, უნდა გააჩერონ თუ არა „ქართუ ბანკის" მანქანა; მისცემენ თუ არა ივანიშვილს და მის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობას და ა.შ. თუ ივანიშვილმა სწორად წარმართა პოლიტიკური პროცესები, სააკაშვილის ეს ქმედებები შეიძლება სასაცილოდ გამოჩნდეს.

***— სახელმწიფო რეკეტის მაგალითია ის, რაც „ქართუ ბანკთან" მიმართებით მოხდა?***

— ხელისუფლება არ არის გამოუცდელი პოლიტიკურ მაქინაციებში და ინტრიგებში. მან გამოიყენა და კიდევაც გამოიყენებს ყველა სუსტ წერტილს, რომელსაც მოწინააღმდეგეს უპოვის და, ბუნებრივია, შეეცდება, რაც შეიძლება ბევრი ასეთი მცირე, მაგრამ მრავალჯერადი ჩხვლეტა მიაყენოს მოწინააღმდეგეს. შესაბამისად, მას მხოლოდ-დამხოლოდ სჭირდება ვირტუალური საბაბი იმისათვის, რომ ეს ჩხვლეტები განახორციელოს. სადაც საბაბს იპოვის, ჩხვლეტასაც იქ განახორციელებს.

***— თქვენ თქვით, თუ ივანიშვილი სწორ ნაბიჯებს გადადგამს, შანსი აქვსო. ამ დროისთვის რამდენად სწორად მოქმედებს ივანიშვილი და სწორად შეარჩია თანამოაზრეები ოპოზიციაში? ფაქტია, მის გვერდით ის ხალხია, ვინც სააკაშვილი მოიყვანა და მის გვერდით იყო.***

— ჯერჯერობით რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ არის განხორციელებული. თვითონაც ამბობს, რომ გუნდი არ არის ჩამოყალიბებული. პროცესია და ამიტომ წინასწარ თქმა შეუძლებელია. რაც შეეხება პიროვნებებს, ბევრი ძალიან ღირსეული პიროვნებაა. მაგრამ ბევრი ადამიანის გულწრფელობა, ერთგულება საქართველოს მიმართ ან ბრძოლისუნარიანობა, ან მისი ინტელექტუალური თუ პოლიტიკური შესაძლებლობები, ბუნებრივია, ეჭვს იწვევს. ეს არაფერს შემატებს ივანიშვილის პიროვნებას. ალბათ პროცესი დაღვინდება და შემდეგ გამოჩნდება სწორედ ის გუნდი, რომელზეც შეგვიძლია ვისაუბროთ და ვილაპარაკოთ. მაგრამ თავისთავად ძალიან ცუდი პროცესია, როდესაც დღეს საზოგადოებაში ხდება დიფერენცირება არა პრინციპების და ქმედებების შეფასებასთან დაკავშირებით, არამედ ზოგადად ბანაკებში ყოფნასთან დაკავშირებით. რომ გარკვეულწილად ის ჯგუფები, რომლებსაც გარკვეული აქვთ ხელისუფლებასთან და იკვებებიან ხელისუფლების ნასუფრალით, ცალსახად, ყოველგვარი საღი აზრის გაუთვალისწინებლად გადადიან ლანძღვაზე, შეურაცხყოფაზე და ა.შ. ის ჯგუფები, რომლებიც ასევე პოლიტიკური პრინციპების გაუთვალისწინებლად ელოდებიან, რომ ვიღაცის მზის ქვეშ დაიკავებენ ადგილს, ისე, როგორც თავის დროზე თითოეული მათგანი ვიღაცას იყო აკიდებული, ბევრი დღესაც იმავე საქმიანობას აგრძელებს და ცდილობს, გაფეტიშებით, გაკერპების დონეზე მოიპოვოს ადგილი და თავისი კეთილდღეობა. დღეს საქართველომ რაც შეიძლება მაღალი პოლიტიკური კულტურა უნდა აჩვენოს. დღეს ჩვენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების წინაშე ვდგავართ, რომ წინა პლანზე აუცილებლად უნდა იყვნენ წამოსული თავისუფალი აზროვნების, პოლიტიკური ნების, მყარი პრინციპების მქონე ადამიანები, იმიტომ რომ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მოგვიწევს და მხოლოდ ასეთმა ადამიანებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები და არა იმ ხალხმა, რომელიც დამკვიდრებულია ქართულ პოლიტიკაში და ათასჯერ გვინახავს, რომ ერთი ორი კაპიკის გამო ნებისმიერს დაუჭერენ მხარს და ნებისმიერი პროექტის პიარში მიიღებენ მონაწილეობას.

***— გრძელი რიგი პოლიტიკოსების მხრიდან ივანიშვილის კართან ფულის გამო დადგა?***

— მე ყველას ერთნაირად ნამდვილად ვერ შევაფასებ. არიან ადამიანები, რომლებსაც პრინციპები გააჩნიათ და არიან სხვა კატეგორიის ადამიანებიც. ნებისმიერ დიდ საქმეს მოჰყვება პარაზიტთა გარკვეული წრე. ეს ბუნებრივი პროცესია. უბრალოდ, უნდა მოხდეს თითოეული ამ ჯგუფის შეფასება და მაქსიმალურად შეირჩეს ის ადამიანები, რომლებიც მოწოდებული არიან, სახელმწიფოებრივად გადაწყვიტონ საკითხები და იმ ამოცანების შესასრულებლად არიან მზად, რომელიც დღეს ქვეყნის წინაშე დგას.

***— ბატონო მამუკა, თქვენი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მიიღო ივანიშვილმა, როცა „ქართუ ჯგუფი" ნოდარ ჯავახიშვილს ჩააბარა? რამდენადაც მახსოვს, როცა თქვენ დეპუტატი იყავით, პარლამენტში ეკონომისტ მიშა ჯიბუტის მონაწილეობით ეროვნული ბანკის მაშინდელი ხელმძღვანელის, ჯავახიშვილის წინააღმდეგ სერიოზული დასკვნა დაიდო.***

— კომერციული სტრუქტურის ხელმძღვანელად დანიშვნასთან დაკავშირებით ჩვენ ვერ გვექნება მოსაზრება, იმიტომ რომ ეს ამ კომერციული სტრუქტურის მეპატრონისა და იმ ჯგუფის გადასაწყვეტია, რომელიც სამუშაოებს წარმართავს. ამიტომ აქ ჩვენ უფლებაც არა გვაქვს, რომ რაიმე ვთქვათ. რაც შეეხება შევარდნაძის პერიოდში ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ნოდარ ჯავახიშვილის საქმიანობას, აქ ჩვენ მაშინაც და დღესაც მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გვაქვს. პრაქტიკულად, ბევრი პრობლემა, რომელიც იმ დროისთვის შეიქმნა, შეიქმნა სწორედ ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკის შედეგად. შეიქმნა იმის შედეგად, რომ გარკვეული ინტერესთა ჯგუფები იყო მაშინ ეროვნულ ბანკში. გათვალისწინებული იყო სავალუტო ფონდის ის რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოს არ სჭირდებოდა და არ იყო გათვალისწინებული ის რეკომენდაციები, რომლებიც ბევრ პრობლემას აარიდებდა საქართველოს. მაშინდელი მოქალაქეთა კავშირის, დღევანდელი ნაცმოძრაობის მთელი გუნდი ნოდარ ჯავახიშვილს გვერდში ედგა, როგორმე გადაერჩინათ და დაეტოვებინათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად. კბილებით იბრძოლეს შევარდნაძემ და სხვებმა ჯავახიშვილის კანდიდატურაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე. მათ შორის იყვნენ სააკაშვილი, მაჭავარიანი, გოგორიშვილი.

## ილია II: „როცა ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის წინააღმდეგობა არსებობდა, ქვეყანა დაუძლურებული იყო"



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის განცხადებით, როცა ერი ეკლესიასთან ერთად იყო, მშვიდობა სუფევდა, — ამის შესახებ პატრიარქმა გუშინ, სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

უწმინდესის თქმით, როცა ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის წინააღმდეგობა არსებობდა, ქვეყანა დაუძლურებული იყო.

— როცა ერი ეკლესიასთან ერთად იყო, მუდამ ძლიერი იყო ერი, მუდამ მშვიდობა სუფევდა. როცა წინააღმდეგობა არსებობდა ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, მუდამ დაუძლურებული იყო ჩვენი ქვეყანა. ღმერთმა გააძლიეროს, დაამშვიდოს და გააერთიანოს საქართველო, — აღნიშნა ილია II-მ.

ინტერპრესნიუსი

## სააკაშვილი დემოკრატი არასდროს ყოფილა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

— არა, მიუღებელი არ არის.

***— აბა, საფრთხეს სად ხედავთ?***

— საფრთხე არის იმაში, პირობითად რომ ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელის არჩევნებში გაიმარჯვა და გახდა პრემიერ-მინისტრი. ის ამბობს, რომ სამ წელიწადში წავა, მაგრამ რომ არ წავიდეს და ყველა მეთოდით რომ შეეცადოს, როგორც მიხეილ სააკაშვილი, რომ დარჩეს ხელისუფლებაში, მასთან ბრძოლა ხომ უფრო რთული იქნება, ვიდრე მიხეილ სააკაშვილთან. მას ძალიან დიდი შესაძლებლობები და რესურსი აქვს. აქედან გამომდინარე, დემოკრატიული პროცესი ისევ დაირღვევა, აღარ გვექნება. დღეს ბიძინა ივანიშვილის პლუსი არის ის, რომ მას აქვს ბევრი ფული. ეს მოსწონს საზოგადოებას მასში. რაც შეეხება მის ქველმოქმედებას, ამას მე არ შევეხები. მსოფლიოს ნებისმიერი ადამიანი ქველმოქმედია. ეს გასაკვირი არ არის. ჩვენ გვიკვირს იმიტომ, რომ ღარიბი ქვეყანა გვაქვს და ეს მომხიბლავად ჩანს. მაგალითად, ბილ გეიცმა 26 მილიარდი დოლარი გადარიცხა ქველმოქმედებაში, თავისი ქონების ნახევარი. ეს ხომ არის ქველმოქმედება, ამერიკის პრეზიდენტად მას არ ირჩევენ. ქველმოქმედება და პოლიტიკა ერთმანეთისაგან უნდა გავყოთ. როდესაც მდიდარი ადამიანი ხარ, ქველმოქმედი ხარ, ეს ნორმაა. აქედან გამომდინარე, რომ ის ქველმოქმედია, მდიდარია და მხოლოდ ამიტომ გავიყვანოთ ნომერ პირველ პოლიტიკოსად, ცოტა რთულია. მახსოვს, ბასა ჯანიკაშვილმა თქვა, პირველი რომ მივედი, ვკითხე: ნამდვილი ხართო? როდესაც საერთოდ არ გაქვს ადამიანზე წარმოდგენა, ერთ-ორ საუბარში პირველი შთაბეჭდილება გექმნება, მაგრამ არა მგონია, ბოლომდე გაიგო. თან ისეთი წარმატებული ბიზნესმენი, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, მთლიანად არა მგონია, ასე ადვილად ვინმემ განჭვრიტოს. ასეთი ადვილი განსაჭვრეტი რომ იყოს, ასეთ ფინანსებს ვერ მოიპოვებდა. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რატომ ამბობენ ადამიანები, რომ ასეთი კარგი ადამიანი მეტი აღარ შეხვედრიათ. ეს ქმნის წინაპირობას, რომ ჩვენ აპრიორი ვამბობთ — ეს უნდა იყოს ჩვენი პრემიერ-მინისტრი. თუმცა ამ ადამიანზე პრაქტიკულად არაფერი ვიცით. რესპუბლიკურმა პარტიამ თქვა, რომ ივანიშვილს ყველაფერში ეთანხმებიან, რასაც „როიტერთან" ამბობს ინტერვიუში.

***— რესპუბლიკელებმა თქვეს, პოლიტიკური თანხვედრა გვაქვსო...***

— ბუნებრივია, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერი ისეთი არ უთქვამს, რაც აქამდე არ თქმულა. სასამართლოს დამოუკიდებლობა, თავისუფალი მედია, ეს ყველაფერი არის ის ჭეშმარიტება, რაც თითოეულმა ჩვენგანმა იცის, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის მომენტში ადამიანებს ეს ჭეშმარიტება ავიწყდებათ. ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით მერე ამას ადამიანები გვერდზე დებენ. მერე იწყებენ საუბარს, რომ პირობითად, ჯერ მთავარია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ამის გამო გადავდოთ სასამართლოს დამოუკიდებლობა, ან ეკონომიკა და ა.შ. მერე იწყება ეს თამაში. დღეს მაგალითად ევროპაში ქარიზმატულ ლიდერებსაც ერიდებიან, რადგან ძალიან სახიფათოა. როდესაც არა პოლიტიკური პროგრამით ხდება ლიდერის არჩევა, არამედ მხოლოდ პირადი სიმპათიებით ან არის ქარიზმატული, ან არის მდიდარი, ეს ხდება დემოკრატიის არარსებობის წინაპირობა საქართველოში. ჩვენ უნდა ვიფიქროთ როგორ ქვეყანას ვაშენებთ. ჩვენ დემოკრატიულ ლიდერზე უნდა ვიფიქროთ. დღეს პრობლემა არის, რომ ნაციონალურ მოძრაობას 15-20 მილიონი ლარი და სხვა პარტიებს 300-400 ათასი. ეს ხომ არადემოკრატიულია. ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში კი მის პარტიას ასობით მილიონი ლარი ექნება.

***— პოლიტიკაში სიტყვაზე ნდობა არ ვიცი, რამდენად შეიძლება არგუმენტი იყოს, მაგრამ ის ამბობს, რომ პირიქით, დემოკრატიის შესაქმნელად მოდის.***

— ის ქართულ პოლიტიკაში ირიბად 10 წელია, რაც მოღვაწეობს, ნაციონალურ მოძრაობას აფინანსებდა მაშინ, როდესაც ჩვენ ვიბრძოდით. ის ფაქტიურად ჩვენ გვძირავდა თავისი ფულით და ნაციონლურ მოძრაობას ეხმარებოდა. 2006 წელს მას უკვე უნდა ცოდნოდა, რომ მიხეილ სააკაშვილი დემოკრატი არ არის. ის, დემოკრატიის აშენების სურვილის შემთხვევაში მისთვის საურველ ოპოზიციურ პარტიას დააფინანსებდა. არა მგონია, რესპუბლიკელები ან ალასანია გუშინ მოსწონებოდა. ამ ადამიანზე არც ცუდის თქმა მინდა და არც კარგის. ეს არის ანალიზი.

# ამერიკელი ექსპერტის რჩევები შეშინებულ სააკაშვილს

## „საქართველოს მთავრობა უფრო ჭკვიანი რომ ყოფილიყო, ივანიშვილთან ურთიერთობის გზებს მოძებნიდა“

შალვა ჯოხაძე

საქართველო დღეს რომ გამადიდებელი შუშის ქვეშაა, ამაზე აშშ-ის ელჩის, ჯონ ბასის განცხადებაც მეტყველებს.

„ბიძინა ივანიშვილი შედარებით ახალი ფიგურაა პოლიტიკაში. მან ჩვენთან შეხვედრისას საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა იმ ბრალდებების შესახებ, რომელსაც მას უყენებენ. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ ყველაფერს თვალს და თუ საჭირო იქნება, ამ საკითხებს საქართველოს მთავრობასთანაც განვიხილავთ“, – აღნიშნავს ბასი.

ელჩი იმეორებს სახელმწიფო მდივნის მოადგილის, უილიამ ბერნსის საქართველოში ვიზიტისას გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც, შეერთებული შტატები დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაში მხარს არა რომელიმე ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ან პირს უჭერს, არამედ – მთლიანად საქართველოს მოსახლეობას.

საინტერესოა, მაინც რა მოსაზრებები აქვთ იმავე აშშ-ში, რამდენად დადებითად აფასებენ მატებას ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, რომელშიც ბიძინა ივანიშვილი მოულოდნელად შეიჭრა და უკვე დამკვიდრდა კიდეც. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ნეტგაზეთი“ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორს, ექსპერტს საქართველოს საკითხებში ლინკოლნ მიტჩელს (მიტჩელი, ასევე, გახლავთ აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენელი საქართველოში 2002-2004 წლებში, ავტორი წიგნისა „არასტაბილური დემოკრატია: შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და ვარდების რევოლუცია საქართველოში“) ესაუბრა. მიტჩელის თქმით, საქართველოს მთავრობას ივანიშვილის მართლაც ეშინია.

**ლინკოლნ მიტჩელი:**

– ამჟამად ამერიკელი პოლიტიკოსების უმრავლესობა იმას ცდილობს, რომ გაიგოს, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი და მეტი შეიტყოს მის შესახებ; ის გასული ათწლეულის განმავლობაში კარჩაკეტილი ფიგურა იყო და არც მედიას ეკონტაქტებოდა, განსხვავებით მრავალი სხვა პოლიტიკოსისგან. ამიტომაც არ ვიცით მისი ვინაობის შესახებ. ამერიკაში მიესალმებიან იმ ფაქტს, რომ საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზზე ერთით მეტი მოთამაშე გამოჩნდა; აქ ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობამ საკმაოდ ავტორიტარული ნაბიჯები გადადგა ამ ადამიანის მიმართ. იმ ზომამდე მივიდნენ, რომ მოქალაქეობაც კი ჩამოართვეს. პოლიტიკური მოვლენების განვითარების საწყის ეტაპზე ეს ექსტრემალურ ნაბიჯად მიგვაჩნია. ამერიკელი ექსპერტები მზად არიან, მეტი შეიტყონ ივანიშვილის შესახებ. მან

**საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით უკვე სრულად არიან ინფორმირებული ის ფიგურები, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკაში ამინდს ქმნიან. ასე რომ, ჩვენს ქვეყანაში გაჩენილი შიში, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტებს დაიჭერს, გააძევებს ან სულაც დახოცავს, უსაფუძვლოა. ასეთი საქციელი არა მხოლოდ პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნება, არამედ რეალური სუიციდიც.**

თავი ახლა უნდა გააცნოს ფართო საზოგადოებას, მათ შორის – დასავლეთსაც და ამაში სიფრთხილე სჭირდება – ზოგი რამ მის სასარგებლოდ მეტყველებს, ზოგი – არა.

აშშ-ის პოზიცია იყო, არის და იქნება ის, რომ ქართველმა ხალხმა თავად უნდა გააკეთოს საკუთარი ლიდერის არჩევანი, მათ ყველა შემთხვევაში უნდა მიეცეთ იმის შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტონ, ვინ იქნება მათთვის კარგი ხელმძღვანელი. შეერთებული შტატების ელჩისა და უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლობის საქმეა, გაეცნონ ყველა მთავარ ფიგურას, ვინც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდება. შეერთებული შტატები ელჩისაგან მიიღებს საჭირო ინფორმაციას.

როგორც ხედავთ, ამერიკელი ექსპერტი განსაკუთრებულ ყურადღებას ივანიშვილისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტზე აკეთებს. ის კიდევ უფრო აკონკრეტებს, რას ნიშნავდა საქართველოს ხელისუფლების ეს ნაბიჯი.

**ლინკოლნ მიტჩელი:**

– ეს საქართველოს მთავრობის ძალიან უცნაური გადაწყვეტილება იყო. რეალურად, სწორედ ამ ნაბიჯმა გვიჩვენა, რომ საქართველოს მთავრობას ივანიშვილის მართლაც ეშინია. საქართველოში და მის გარეთაც ეს უკვე ცნობილია. მისი პოლიტიკური სისტემიდან დაუყოვნებლივ გაყვანის მცდელობა სწორედ ასე თუ შეფასდება. უფრო ჭკვიანი რომ ყოფილიყო საქართველოს მთავრობა, აუცილებლად მოძებნიდა მასთან ურთიერთობის გზებს, მისი ეშინიათ და ეს გასაკვირიც არაა, რადგან მან თავად მოახერხა საკუთარი ბიზნესის წარმართვა და ფინანსურ წარმატებას მიაღწია. ივანიშვილს ფინანსურად იგივე შეუძლია გააკეთოს, რასაც მთავრობა აკეთებს. შეუძლია სატელევიზიო სადგური გააკეთოს და მედიაში არსებული სიტუაცია შეცვალოს. მთავრობისთვის ეს მუქარის ტოლფასია. მე ასე მესმის, რომ თავისუფალ საზოგადოებაში ასე უცებ ვერავის წაართმევ მოქალაქეობას. იცით, მოქალაქეობის ჩამორთმევამ ორაზროვნებაც კი გამოიწვია: საქართველოში არის ვინმე, ვინც თვლის, რომ ის ქართველი არაა?



მიხეილ სააკაშვილი

საერთოდ, საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ ყველა, ვინც მას არ ეთანხმება, პრორუსული ძალაა. ასე თუ ვიმსჯელებთ, მეც პრორუსულ ძალად შეუძლიათ გამომაცხადონ. ჩემმა წინაპრებმა რუსეთი ერთი საუკუნის წინათ დატოვეს და ამერიკაში გადასახლდნენ და უკან აღარც მოუხედავთ; ვხედავ, რომ თუ რუსი ამერიკელი აიმაღლებს ხმას საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, ის პრორუსია, ჩინელი ამერიკელი გამოთქვამს კრიტიკას და ისიც პრორუსია, ხომ გესმით. ეს მშიშარას პოზიციაა. ასეთ უსაფუძვლო ბრალდებებს ვერავინ მიიღებს სერიოზულად. შეერთებული შტატები სერიოზულად იღებს რუსულ საფრთხეს საქართველოსადმი, მაგრამ გამუდმებით და განურჩევლად ყველას პრორუსი ეძახო ვინც არ გეთანხმება, ეს არასერიოზულია.

მიტჩელის განცხადებით, სააკაშვილის მრჩეველი რომ იყოს, მას აუცილებლად ეტყოდა, რომ ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა მისცეს.

– აუცილებლად ვეტყოდი, რომ კონკურენტუნარიანი არჩევნები საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა და ნება მიეცა ივანიშვილისთვის, მიეღო არჩევნებში მონაწილეობა. ვიცი, არჩევნების შესახებ რასაც ვამბობ, საქართველოს მთავრობას სასტიკად არ მოსწონს, მაგრამ ამასვე ვეტყოდი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. დემოკრატია მაშინ იქნება საქართველოში, მეორე პარტიასაც რომ მისცენ არჩევნებში მონაწილეობის შანსი. ვიცი, მეორე პარტიას რომ შანსი მისცეს, მისთვის კატასტროფული იქნება. მე რომ სააკაშვილის მრჩეველი ვიყო, დაბეჯითებით ვურჩევდი, ურთიერთობა მოეგვარებინა ივანიშვილთან, თან რაც შეიძლება მალე. ვურჩევდი, რომ გვერდით დაეყენებინა და არ ეცადა ასპარეზიდან მისი გაგდება. იცით, რა შეუძლია ივანიშვილს, თქვას? ფულიც მაქვს და საცხოვრებელიც პარიზშიო და გზას გაუდგეს, მაგრამ ისიც შეუძლია გადაწყვიტოს, რომ დარჩეს. ამ ყველაფერმა ის გვიჩვენა, რომ საქართველო დემოკრატიისგან შორსაა, ეს იყო კიდევ ერთი მაგალითი, რომ კანდიდატს, რომელიც შესაძლოა, უკეთესი აღმოჩნდეს პოსტზე, ვიდრე დღევანდელი პრეზიდენტი, ბოროტ ხმებს უვრცელებენ. ისევე, როგორც ყველას, ვინც მათ არ მოსწონთ. ზოგი თითქოს რუსეთის ჯაშუშია, ზოგიც რუსული პროექტია, ეს მოქალაქე არ არის და ასე შემდეგ. ეს ნაგატივი კი იმას გვიამბობს, რომ საქართველო არის ქვეყანა, სადაც დემოკრატია არაა, სადაც სულთნური რეჟიმია. ეს იმიჯი კი სულაც არ სჭირდება საქართველოს, – აცხადებს ექსპერტი.

„ნეტგაზეთი“ მიტჩელის პროგნოზითაც დაინტერესედა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში ივანიშვილთან დაკავშირებით.

– ეს ვინ იცის? არ ვიცით, ეს ადამიანი რას აპირებს. პოტენციურად მას შეუძლია საქართველოში არსებული სიტუაციის შეცვლა, თუ უფრო პოპულარულ კანდიდატებთან ალიანსს შექმნის, ან – პოტენციურად პოპულარულ კანდიდატებთან. იქნებ რამე მოიმოქმედოს, მაგალითად, მედიაში არსებული კლიმატი შეცვალოს, ეს კი შეცვლიდა პოლიტიკას საქართველოში, ეს აიძულებდა საქართველოს მთავრობას, თავი დაენებებინა მძიმე ხელით მმართველობისთვის, – აცხადებს მიტჩელი.

ექსპერტი ივანიშვილის გარშემო პოლიტიკოსების ალიანსის ჩამოყალიბების პერსპექტივას ხედავს.

– ისეთი ხალხი, როგორიცაა ალასანია, არაპოპულარულად აქციეს. ამას აკეთებს მთავრობის მიერ კონტროლირებული მედია. ახლა ერთ-ერთი კარგი რამ, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, რომ წინ წამოიწევიან ისეთი პოლიტიკური აქტივისტები, ვინც დღეს არ ჩანან, ეს მათი შანსი იქნება. ალასანიას მსგავს პოლიტიკოსებს ბრძოლა ნამდვილად შეუძლიათ. შეცვლილ მედიაკლიმატს კი ალასანიას წარმოჩენა ობიექტურად შეეძლება. ივანიშვილს შეუძლია დაალაგოს ურთიერთობები დასავლეთთან. საქართველოში მედია არ არის თავისუფალი და ხალხი საკუთარ აზრს ვერ გამოთქვამს თავისუფალ კონტექსტში, არაა თავისუფალი არჩევანის საშუალება, ეს შეიძლება შეცვალონ ალასანიას მსგავსმა პოლიტიკოსებმა...

მე არ ვიცნობ ივანიშვილს, არ შემიძლია მასზე ვიმსჯელო, კარგი ან ცუდი ვთქვა მასზე. რაზეც აქამდე ვისაუბრე, ეს პროცესია, ხოლო პოლიტიკური გარემო ამის შემდეგ შეიქმნება და ამ ადამიანზე მსჯელობაც პოლიტიკურ კონტექსტში ამის მერე იქნება შესაძლებელი. ჯერჯერობით, ისმის ბრალდებები მის მიმართ; პოტენციურად არსებობს შესაძლებლობა, რომ ივანიშვილი რაღაცას შეცვლის. საქართველოს მთავრობა უეჭველად დამნაშავეა იმაში, რომ დიდი მოლოდინი აქვს და შემდეგ ეს მოლოდინი არ გაამართლა, დღეს კი დრამატულად ამწვავებს სიტუაციას. ეს ვერანაირად ვერ დაეხმარება მათ. ყველა ის ადამიანი, ვინც დღეს პოლიტიკაშია, უნდა მოერიდოს მაღალი ალბათობით რაიმეს მტკიცებას. ევროპულ დემოკრატიასთან გატოლების პერსპექტივაზე ივანიშვილის განცხადებაც ვერ იქნება მთლად რეალისტური და დამაჯერებელი. ნაკლებ სერიოზულად წარმოაჩენს მას. მას რომ ეთქვა, ჩვენ ვაპირებთ მთელი ძალისხმევით ვიმუშაოთ და თანდათანობით გავაუმჯობესოთ დემოკრატიის ხარისხიო, ეს უფრო სერიოზული განაცხადი იქნებოდა და დამაჯერებელიც. მან უნდა დახვეწოს განცხადებები. ბიზნესმენისთვის პოლიტიკაში მოსვლა იოლი არ გახლავთ, მაგრამ პოტენციურად შესაძლებელია. შეიძლება შეგვედარებინა მაიკლ ბლუმბერგის მსგავს პრეცედენტთან. საქართველოს მიმართ ინტერესი არსებობს ამერიკაში, ჩვენ ისეთი ინსტიტუციების განვითარებას ველოდებით, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიას. რეალურად სწორედ ეს საკითხია ჩვენთვის საინტერესო. არა კონკრეტულად რომელიმე ფიგურა, ვთქვათ, იგივე ივანიშვილი. ეს საქართველოს მომავალს ეხება და იმას, რაც ვერ გააკეთა სააკაშვილმა. ეს შეერთებული შტატების აზრია და უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რას ფიქრობს ლინკოლნ მიტჩელი ივანიშვილზე, – დასძენს ექსპერტი.

# რამდენი ქართველი „კანონიერი ქურდია“ რუსულ კოლონიებში

შალვა ჯოხაძე

მართალია, „კანონიერი ქურდები“ საქართველოდან გააძევეს, მაგრამ ისინი ახლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აგრძელებენ „საქმიანობას“ და, რასაკვირველია, ყველაზე მეტნი რუსეთში არიან. დღე არ გავა, ქართველი „კანონიერი ქურდების“ ახალ-ახალი ისტორიები არ გავრცელდეს. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ მოსკოვში ქართველი „კანონიერი ქურდი“, 45 წლის გელა ჯოჯუა დააკავეს. ჯოჯუა კრიმინალურ სამყაროში მეტსახელ „გელა თბილისელით“ არის ცნობილი. პირადი ჩხრეკის დროს დაკავებულს 4,1 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. გელა ჯოჯუას მიმართ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა.



„გელა თბილისელი“ წარსულში არაერთხელაა ნასამართლევი. ბოლო სასჯელიც მან ნარკოდანაშაულის ჩადენის გამო მოიხადა.

ის ნარკოტიკებით ხელში რუსმა სამართალდამცავებმა 2006 წელსაც დააკავეს. მართალია, მაშინ ჯოჯუას გაცილებით დიდი რაოდენობით ნარკოტიკი აღმოაჩნდა, თუმცა, ამის მიუხედავად, მას მხოლოდ ერთწლიანი სასჯელი აკმარეს. საერთო რეჟიმის საპყრობილეში ერთი წლის გატარების შემდეგ ჯოჯუა ისევ დააკავეს. ის ამჯერად ვოლგოგრადისკენ მიმავალ ტრასაზე დაიჭირეს. მას კვლავ ნარკოტიკები, კონკრეტულად ოპიუმი აღმოაჩნდა. თუმცა, „კანონიერ ქურდს“ კვლავ გაუმართლა. რუსული მედიის ცნობით, ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა ჯოჯუა ეკლესიურ პერსონად მიიჩნიეს, განსაკუთრებული ყურადღება მისმა წვერმა მიიპყრო, რომელსაც ის სწორედ ეკლესიური მოსაზრებებებიდან გამომდინარე არ იპარსავს. მოკლედ, გელა ჯოჯუას თითიც არ დააკარეს, თუმცა, მისმა ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა. როგორც აღვნიშნეთ, ის კვლავ ციხეში აღმოჩნდა.

კიდევ რამდენიმე „კანონიერი ქურდის“ შესახებ ვრცელდება ინფორმაცია. როგორც ირკვევა, რუსეთში არსებული პრიგორსკის კოლონია „კანონიერი ქურდის“ ზედამხედველობის გარეშე იყო დარჩენილი, თუმცა, იქიდან რამდენიმე თვის წინ გათავისუფლებული ქართველი „კანონიერი ქურდის“, სულიკო შარიქაძის ადგილი ასევე ქართველმა, 27 წლის გურამ ჩიხლაძემ დაიკავა. ცნობისათვის, ეს ახალგაზრდა კრიმინალურ სამყაროში მეტსახელებით უფროა ცნობილი. მას „კვეჟოევიჩით“ ან „გურამ ქუთაისელით“ მოიხსენიებენ ხოლმე. გურამ ჩიხლაძე შთამომავლობით გახლავთ „კანონიერი ქურდი“, რომელსაც 29 ივლისს მოსკოვის ერთ-ერთმა სასამართლომ ნარკოდანაშაულის ჩადენის გამო განაჩენი გამოუტანა. მას 2 წელი და 6 თვე მიუსაჯეს. ერთი თვის მერე, ღამით ბუტირკის ციხეში, რომელშიც ის ჩასვეს, ინციდენტი მოხდა. „კვეჟოვიჩი“ ყოფილ „კანონიერ ქურდ“ კახა ფიფიასთან ერთად ნარკოტიკების მოხმარებაში იყო შემჩნეული და ეს ორი ადამიანი ბუტირკის ციხეში დაწყებული მასობრივი არეულობის მოთავედ იქცა. ამბობენ, რომ ფიფია „კაიფში“ იყო, როდესაც თავი კვლავ ძველ ამპლუაში წარმოიდგინა და იმის დამტკიცება სცადა, რომ ციხეში სიტყვა კვლავ ეთქმოდა. როდესაც ფიფია კარცერში გადაიყვანეს, მისი ბრძანებით, პროტესტის ნიშნად, მთელ საპყრობილეში პატიმრები პლედებს წვავდნენ.



ეს ინციდენტი იქცა უთანხმოების მიზეზად გურამ ჩიხლაძისა და ბუტირკის ციხეში მყოფ კიდევ ერთ „კანონიერ ქურდ“, ბადრი კოლუაშვილს შორის. თურმე, კოლუაშვილს სათანადო გამოცდილება არ აღმოაჩნდა და გადამწყვეტ მომენტში საჭირო რეაგირება ვერ მოახდინა, პატიმრების დაოკება ვერ შეძლო. არასასურველი შედეგები თავიდან რომ აეცილებინათ, ბუნტის შემდეგ ორივე ქუთაისელის იზოლირება მოახდინეს, ციხე „მატროსსკი ტიშინის“ სპეციალურ კორპუსში გადაიყვანეს.

ნიჟეგოროდის ოლქში კი 57 წლის კანონიერი ქურდის ეტაპირება განხორციელდა. ეს პატიმარი სტეპან გევორქიანია, რომელიც ცნობილია, როგორც „სტიოპა თბილისელი“. ისიც ჰეროინზე დაიჭირეს. მას 5 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა. დაკავებულს მოსკოვის სასამართლომ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

# ქართულ თეატრში ეპოქა დასრულდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შეეძლო კიდევ ერთხელ ენახა ის როლები, რომლებიც ხელოვანმა თეატრსა თუ კინოში განასახიერა. მთელს თეატრში კი რამაზ ჩხიკვაძის ფოტოსურათები და ის კოსტიუმები იყო გამოფენილი, რომლებიც მსახიობს წლების განმვლობაში რუსთაველის თეატრში შესრულებული როლების დროს ეცვა.

რამაზ ჩხიკვაძის ოჯახს პირადად მიუსამძიმრა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. მან ამ ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებით, წერილობითი განცხადებაც გაავრცელა.

— დიდ მწუხარებას გამოვთქვამ გენიალური ქართველი მსახიობის, შემოქმედის რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალების გამო. ბატონი რამაზი ქართული კინოსა და თეატრის გამორჩეული, დიდი ვარსკვლავი და მთელი ეპოქის შემქმნელი იყო. მისი განუმეორებელი ნიჭით, თვითმყოფადობით აღბეჭდილი კულტურული მემკვიდრეობა, რომელზეც თაობები აღიზარდა, მუდამ დარჩება მაყურებლის მეხსიერებაში. თანაგრძნობას ვუცხადებ რამაზ ჩხიკვაძის ოჯახსა და ახლობლებს და სრულიად საქართველოსთან ერთად ვიზიარებ მისი გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილსა და მწუხარებას. რამაზ ჩხიკვაძის მიერ შექმნილი სცენიური სახეები არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებას, არამედ მთელ მსოფლიოს ემახსოვრება. ის იყო მართლაც ძლიერი მსახიობი, ქართულ სცენაზე მსგავსი მასშტაბის სახეებიდან, ალბათ ხორავას, ვასაძეს, ზაქარიაძეს თუ გავიხსენებთ, მაგრამ მე მათ არ მოვსწრებივარ. იმ ადამიანების მეხსიერებაში კი, ვინც ჩემი ასაკის ან უფრო ახალგაზრდაა, ბატონი რამაზი იყო ყველაზე დიდი და ნამდვილად გენიალური მსახიობი და ასეც დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. რამაზ ჩხიკვაძე ასევე ძალიან მოკრძალებული ადამიანი იყო. მახსოვს 2-3 წლის წინ დაველაპარაკეთ მას და ვკითხეთ როგორ დავხმარებოდით მატერიალურად და ძალიან მოკრძალებით გვიპასუხა, რომ ჩემზე გაჭირვებული ადამიანები არსებობენ, პრინციპში მე არაფერი არ მჭირდება და ვინც უფრო გაჭირვებულია, ჩვენ გარშემო მათ დაეხმარეთო. ძნელია, როცა ასეთი განსაკუთრებული სიცოცხლე წყდება, საუბარი ბედნიერებაზე, მაგრამ ამ ბოლო დღეებში ჩემთვის ხშირად მიფიქრია, რომ რამაზ ჩხიკვაძე ძალიან ბედნიერი იყო და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა, რადგან მას მთელი სიცოცხლის მანძილზე, თან ახლდა ხალხის სიყვარული. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ თავად ჩვენ ვიყავით ბედნიერები, ისინი ვისაც ბატონი რამაზი უნახავს, არა მხოლოდ სცენაზე, არამედ ცხოვრებაში, ურთიერთობაში. ვისაც ახსოვს მისი გაბრწყინებული თვალები, მისი წარმოუდგენელი სიცოცხლის სიყვარული, ოპტიმიზმი და იუმორი. ასეთი ქართველები მართლაც საუკუნეში ერთხელ იბადებიან....რა თქმა უნდა, მთელი საქართველოსთვის ეს არის დიდი დანაკარგი, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

რუსთაველის თეატრში მსახიობისთვის უკანასკნელი პატვისი მისაგებად ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი, მისი მეუღლე ეკა ხვედელიძე და ვაჟიშვილი, ცნობილი მომღერალი ბერაც მივიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობის გამოსვენება დღის ორ საათზე იყო დაგეგმილი, ხალხის უწყვეტი ნაკადის გამო, მისი გამოსვენება ერთი საათით დაგვიანდა. გენიალური ხელოვანისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ რუსთაველის გამზირი გადაიკეტა.

სამოქალაქო პანაშვიდის დასასრულს, რამაზ ჩხიკვაძის კოლეგებმა სამძიმრის დეპეშები წაიკითხეს, რომლებიც რუსთაველის თეატრმა და ჩხიკვაძეების ოჯახმა ბოლო დღეების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიიღო.

რამაზ ჩხიკვაძის ნეშტი რუსთაველის თეატრიდან მისმა კოლეგებმა გურამ საღარაძემ, კახი კავსაძემ, ჯემალ ღაღანიძემ, ზაზა პაპუაშვილმა და სხვა მსახიობებმა გამოასვენეს. თეატრის დიდ დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ მსახიობს უკანასკნელად დაუკრა ტაში და აპლოდისმენტებისა და ბრავოს შეძახილებით გააცილა უკანასკნელ გზაზე. რუსთაველის გამზირზე მყოფი ათასობით ადამიანი სამგლოვიარო პროცესიას ტაშით შეხვდა.

სამგლოვიარო ცერემონიამ საყვარელი მსახიობი დიდუბის პანთეონამდე ფეხით გააცილა. რამაზ ჩხიკვაძე მეუღლის, ნატაშა ჩხიკვაძის გვერდით დაკრძალეს. მსახიობი ძველი ქალაქური ჰანგების ფონზე დაკრძალეს, რომელიც „ქსოვრელებმა“ შეასრულეს.

რამაზ ჩხიკვაძე 83 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 17 ოქტომბერს საკუთარ სახლში გარდაიცვალა. უკანასკნელ დაბადების დღეზე კი შვილიშვილმა, მისმა მოსახელემ — რამაზ ჩხიკვაძემ ბაბუას ოსკარის ასლი უსახსოვრა, რომელსაც ამშვენებს წარწერა — რამაზ ჩხიკვაძე — საუკეთესო მსახიობი და საუკეთესო ბაბუა.

თეატრალური უნივერსიტეტის დასრულებისთანავე მსახიობი რუსთაველის თეატრში მივიდა და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა, სადაც არაერთი დაუვიწყარი სახე შექმნა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ხელოვანმა ბოლოს 2006 წელს ითამაშა რუსთაველის თეატრის სცენაზე რობერტ სტურუას სპექტაკლში „კავკასიური ცარცის წრე“. ეს სპექტაკლი მსახიობის 78 წლის იუბილესა და მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნასთან დაკავშირებით გათამაშდა. ამის შემდეგ ეს გენიალური სპექტაკლი აღარ დადგმულა. აზდაკის როლი რამაზ ჩხიკვაძემ 650-ჯერ ითამაშა და ყოველ ჯერზე მისი გმირი ერთმანეთისგან რადიკალურდ განსხვავებული იყო.

გენიალური მსახიობის პირველი კინოროლი იყო ფილმში „ჭრიჭინა“, ხოლო უკანასკნელად კამერის წინ გადასაღებ მოედანზე რეჟისორ ნანა ჯორჯაძესთან დადგა, სადაც ფილმში „მეტეოიდიოტი“ ბაბუა გიროგის როლში საკუთარი სიკვდილი განასახიერა. ამ პერიოდში მსახიობი უკვე იმდენად ცუდად იყო, რომ გადაღებების დროს სასწრაფო დახმარების ბრიგადები მორიგეობდნენ. როდესაც ფილმის გერმანელმა პროდიუსერმა ბატონი რამაზის გარდაცვალების შესახებ შეიტყო, მიუხედავად იმისა, რომ ფილმის პრემიერა ჯერ არ გამართულა, ქართველ საზოგადოებას ფილმის ასლი გამოუგზავნა და მისი ტელე-პრემიერაც მაყურებელმა უკვე ნახა.

რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალების გამო, რეჟისორმა რობერტ სტურუამ პირობა დადო, რომ თავის გამორჩეულად საყვარელი მსახიობის ხსოვნას სპექტაკლს მიუძღვნის. სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ პირად გვერდზე მაესტრომ განაცხადა:

— გარდაიცვალა უდიდესი ქართველი მსახიობი, რუსთაველის თეატრის მშვენება და ბურჯი, ჩემი უსაყვარლესი ხელოვანი და ადამიანი რამაზ ჩხიკვაძე. თუ არა რამაზი, არც ერთი ჩემი სპექტაკლი ასეთ წარმატებას და მსოფლიო აღიარებას ვერ მიაღწევდა. რამაზის ნიჭი ყველგან იფრქვეოდა, ყველას გადაწვდა მისი ბრწყინვალე კაცობა და ადამიანობა. ჭეშმარიტი ქართველი კიდევ დიდხანს იცოცხლებს ჩვენს დაობლებულ, გაცრუებულ გულებში, როგორც ნუგეში და იმედი, რომ ადრე თუ გვიან ჩვენ ქვეყანას ბედნიერება მაინც ეღირსება. ასეთი ქართველები გაამრავლოს ღმერთმა. ამას ვევედრები უფალს. მშვიდობით, ჩემო რამაზ, ჩამოვალ და ერთ კარგ სპექტაკლს დაგიდგამ — საუკეთესო მსახიობები მიცდიან, — ნათქვამია რობერტ სტურუას მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ჟანრი ლოლაშვილი, მსახიობი:**

— რამაზ ჩხიკვაძე იყო მსახიობი, რომელმაც მაღლა აწია ჩვენი ქართული ხელოვნების ნიშნულები. ის არის ადმიანი, რომელთანაც ურთიერთობა იყო დიდი სკოლა. მას გასაოცარი უნარი ჰქონდა — არაფრისგან შეეძლო რაღაც არაჩვეულებრივის გაკეთება. რამაზი იყო ღირსშესანიშნავი ადამიანი, არაჩვეულებრივი მოვლენა არა მარტო ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მას მაყურებლის გაოცება შეეძლო. დღეს თითოეული ჩვენგანისათვის საშინელი დღეა.

**გურამ საღარაძე, მსახიობი:**

— რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალება ყველასთვის დიდი ტკივილია, მაგრამ ეს ორმაგად დიდი ტკივილია ჩემთვის, რადგან მე და რამაზის 70 წლიანი მეგობრობა გვაკავშირებდა. მე დავკარგე უახლოესი მეგობარი, რომელთანაც მრავალი ათეული წელი გავატარე — ბავშვობიდან დაწყებული დღემდე. ის იყო ბრწყინვალე ქართველი მსახიობი. სანამ არსებობს ქართული თეატრალური ხელოვნება, მას არავინ დაივიწყებს.

**გია ყანჩელი, კომპოზიტორი:**

— რამაზ ჩხიკვაძე გარდაიცვალა! ჩვენ არა მარტო უდიდესი ხელოვანი და მსახიობი დავკარგეთ, არამედ ჩვენ დავკარგეთ უდიდესი მუსიკოსი. იშვიათად შემხვედრია მსახიობი, რომელიც ჯერ ალბათ მუსიკოსად დაიბადა და მერე გახდა მსახიობი. ასეთი იყო რამაზ ჩხიკვაძე და მისი გენიალურობა ამის ნათელი დასტურია.

**ზაალ ჩიქობავა, რუსთაველის თეატრის მმართველი:**

— დასანანი ის არის, რომ ბატონ რამაზის ქართულ სცენაზე ვეღარ იხილავს მომავალი თაობა. დაგვრჩა მხოლოდ ფირი, თუმცა ამავე დროს დაგვრჩა უდიდესი სიყვარული და უდიდესი პატივისცემა ქართული სცენის ჯადოქრისა — ბატონ რამაზ ჩხიკვაძის მიმართ. როცა ამ კედლებში შემოვედით, ყველაზე მძაფრად შევიგრძენით რა დაგვაკლდა ჩვენ, მაგრამ დრო ალბათ თავისას იზამს და კიდევ უფრო და უფრო მძიმე იქნება ეს დანაკლისი. მართლაც რომ დიდი ფენომენი დააკლდა ქართულ თეატრს და ეს საოცრად გულდასაწყვეტია.

**კახი კავსაძე, მსახიობი:**

— არც კი ვიცი რა ვთქვა. რამაზი მარტო ქართველ საზოგადოებას კი არ დააკლდა, ჩვენ, მის მეგობრებს და კოლეგებსაც დაგვაკლდა. მასთან საქმიანი ურთიერთობების გარდა, ოჯახური მეგობრობაც გვაკავშირებდა. ჩვენ წლების განმავლობაში ერთ საქმეს ვემსახურებოდით, ერთ თეატრში ვმუშაობდით, ამიტომ თითოეული წუთი და წამი მასთან გატარებული, ჩემთვის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასია. რამაზის გარდაცვალებით, ქართულ თეატრში ეპოქა დასრულდა.

**მურმან ჯინორია, მსახიობი:**

— ბატონი რამაზი იყო ის, რაც აღარასოდეს განმეორდება. ეს იყო უდიდესი მსახიობი, რომელმაც თავისი ხელწერა შექმნა ქართულ სამსახიობო ხელოვნებაში. მასთან პარტნიორობის ბედნიერება მხვდა წილად და ეს იყო დღესასწაული. სულ უნდოდა სცენაზე ზეიმი და აღმაფრენა ყოფილიყო. ისე ემზადებოდა სპექტაკლისთვის, მოდუნების საშუალებას არ მოგცემდა. საწყენია, რომ ასეთი ადამიანები მიდიან ამქვეყნიდან და თითოეულ ჩვენგანს გულში დიდ ტკივილს გვიტოვებენ.

**ავთანდილ ვარსიმაშვილი, რეჟისორი:**

— რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალებით ქართულმა თეატრმა დაკარგა უკანასკნელი მოჰიკანი გენიალური არტისტებისა. რამაზ ჩხიკვაძე, ჩემი აზრით, იყო ყველაზე დიდი ქართველი მსახიობი, ვინც კი პირადად მინახავს ქართული თეატრის სცენაზე. მის მიერ შესრულებული როლები ჩემთვის დაუვიწყარია და ბედნიერი ვარ, რომ იგი სცენაზე ცოცხლად მყავს ნანახი.

**გივი ბერიკაშვილი, მსახიობი:**

— რამაზ ჩხიკვაძე იყო საოცარი კაცი, ჯანსაღი და ჯანმრთელი სულით, გულით კაცობით. არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ. არც კი ვიცი, რა გავაკეთო — ვიტირო, ვიყვირო, ვიდარდო. სიცოცხლის ბოლო დღეებში ვერ ვნახე. ის, რომ გარდაიცვალა, მეც ავად ვიყავი, ლოგინიდან სულ რამოდენიმე ხნის ამდგარი ვიყავი. ექიმები არ მიშვებდნენ, მაგრამ მაინც წავედი. პანაშვიდზე რომ მივედი, ცუდად გავხდი. დღეს ჩემთვის განსაკუთრებით მძიმე დღეა. რამაზი ნამდვილად საოცრება იყო და ამ სიტყვებში იოტისოდენაც არაფერია გადაჭარბებული.

**ჯემალ ღაღანიძე, მსახიობი:**

— 55 წელი რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად ვიყავი რუსთაველის თეატრში და სწორედ ამდენი წელი ვიყავით პარტნიორები. ეს მთელი ცხოვრებაა. არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო. მეცოდება ის ხალხი, ვისაც რამაზთან ურთიერთობა არ ჰქონია. ეს იყო ადამიანი — დღესასწაული, სიკეთე, ბედნიერება, მოქეიფე, მხიარული, საინტერესო. მასთან ერთად ცხოვრება გიხაროდა. როგორც მსახიობი, უნიკალური იყო. მართალია რამაზმა სახელი „კავკასიური ცარცის წრით“ გაითქვა და მისი სავიზიტო ბარათი აზდაკი იყო, მაგრამ ინგლისში ის რიჩარდ მესამით შეიყვარეს. მას ინგლისში კავკასიელი ოლივია შეარქვეს. სიკვდილის არ მეშინიაო, ამბობდა. უკურნებელმა სენმა დატანჯა და მოინელა. ერთხელ ჰკითხეს, ნატვრისთვალი რომ გქონდეს, რას ინატრებდიო და რამაზმა უპასუხა, ჩემს გარდაცვლილ მეგობრებს გავაცოცხლებდიო. ღმერთმა გაანათლოს მისი სული და ნათელი დაუმკვიდროს.

**რეზო ჩხეიძე, რეჟისორი:**

— რამაზ ჩხიკვაძე იყო მოვლენა ქართულ თეატრალურ და კინოსამყაროში. ბედნიერები ვართ ქართველები, რომ ასეთი დიდი მსახიობი გვყავდა. ვისაც რამაზი ერთხელ მაინც უნახავს თეატრის სცენაზე, ის არასოდეს დაავიწყდება. ასე მგონია, რუსთაველის თეატრი დაბეჩავდება რამაზის გარეშე. ქართულ კულტურას ეს გენიოსი უზომოდ დააკლდება. რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად, გარდაიცვალა მსახიობის მიერ შესრულებული როლები, რომლებიც მომავალ თაობას ვიდეოჩანაწერების სახით დარჩება.

ელდარ შენგელაია, რეჟისორი:

— ჩვენგან წავიდა უდიდესი მსახიობი. მან მთელი ეპოქა შექმნა, ამ ეპოქაში კი თავისი სტილი და მიდგომა შექმნა. ამბობენ, რუსთაველის თეატრი რობერტ სტურუას თეატრიაო, მე კი ვიტყოდი, რომ იმ პერიოდში, როდესაც ავადმყოფობამდე რამაზ ჩხიკვაძე თამაშობდა, ეს რობორტ სტურუას და რამაზ ჩხიკვაძის თეატრი იყო. მან ხომ უამრავი სიხარული და ბედნიერი წუთი აჩუქა ამ თეატრის ერთგულ მაყურებელს, ამიტომ რამაზის გარდაცვალება სრულიად საქართველოსთვის დიდი ტრაგედიაა.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

- ავერლოკი ტოიოტა, უხმარი, ოთხძაფიანი, ფასი: 539 ლარი. საკერავი მანქანა, გერმანული, უხმარი, 21 ოპერაცია, ფასი: 419 ლარი. ტელ: 790-75-45-78. 571-75-45-77. 557-59-97-54. ზურა.
- ვყიდი მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრ კარკასს, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.
- იყიდება მაღალ ბელეტაჟზე ფინურად დახურული სახლი, 2000 კვ.მ. ნაკვ., ეზოში არის ორი დიდი კაკლის ხე. ფასი - 3500 დოლარი. ხარაგაული, სოფ. სარგვეთში. ტელ.: 790-56-48-75.
- იყიდება ან იცვლება სააგარაკე მიწის ნაკვეთი სახლის პროექტით, პატარა შენობით, 700კვ.მ. ნაკვ., თბილისის ძველ ბინაზე ან სახლზე, თანხის დამატებით. ტელ.: 8790-56-48-75. ბორჯომი.
- ვყიდი ძალიან პერსპექტიულ 4-ოთახიან, ჩეხური პროექტის ბინას პირველ სართულზე, ნაკვეთით, ავტოფარეხით და დიდი სარდაფით. ტელ.: 593-40-84-32.

## განცხადებები

- სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწ ვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ძვლებში მეტასტაზების მკურნალობა სწრაფად და შედეგიანად. სისხლის დაცვა და აღდგენა ქიმიო და რადიოთერაპიისას. ტელ: 295-23-98.

# დინამოში კრიზისია, ზესტაფონი გაიქცა

### ვიტ ჯორჯია – ტორპედო 0:1

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

*0:1 გოცირიძე (77)*

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, ადამაძე, კასრაძე, ხურცილავა, ლანიაშვილი, ვასაძე (სიხარულიძე 79), ჯანელიძე, ზაქრაძე (გიორგი გურეშიძე75), კორიფაძე, გურამ გურეშიძე, ჩიმაკაძე

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ს.თოდუა, გამეზარდაშვილი, ფოფხაძე, გურული, დიღმელაშვილი (კუხიანიძე 86), გ.დათუნაიშვილი, დ.ბოლქვაძე (საბანაძე 66), დოლიძე (იოსელიანი 57), თარხნიშვილი, გოცირიძე

ქუთაისური გუნდისთვის ვეტერინარები უხერხულ მეტოქედ ითვლებიან და როგორც იქნა, „ტორპედომ“ მეტოქის დამარცხება მოახერხა. ისიც აღსანიშნავია, რომ „ტორპედოში“ გია გეგუჩაძის მისვლის შემდეგ, გუნდმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო.

მართალია, მატჩი სანახაობრივი არ გამოდგა, მაგრამ საინტერესო და დაძაბული იყო. ობიექტურობა მოითხოვს, თამაში სხვა შედეგითაც რომ დასრულებულიყო, თამამად შეიძლებოდა.

დასაწყისში ბურთს მასპინძლები აკონტროლებდნენ, თუმცა პირველი ხიფათი მათ კართან შეიქმნა – მე-19 წუთზე მარცხენა ფლანგიდან გიორგი გურულის ჩაწოდების შემდეგ, რევაზ გოცირიძემ ნახტომში თავით სახიფათოდ დაარტყა და ძაძამიამ ბურთი კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია, რომელსაც დავით დიღმელაშვილის არაზუსტი დარტყმა მოჰყვა.

23-ე წუთზე, კორიფაძის პასის შემდეგ თავით არაზუსტად უკვე ბესიკ ჩიმაკაძემ დაარტყა, მიზანს ვერც დავით ბოლქვაძის ჯარიმამ უწია.

ნახევარმომენტი შეიქმნა ტაიმის მიწურულს, როდესაც გრიგოლ დოლიძის პასის შემდეგ ბოლქვაძე კარგ პოზიციაში დარჩა, მაგრამ გურამ ადამაძემ თავგანწირვით ითამაშა და „ტორპედოს“ ნახევარმცველს არ დაარტყმევინა.

ანალოგიურად წარიმართა მეორე ტაიმიც – დასაწყისში ვეტერინარები უტევდნენ და ჯერ კორიფაძემ სცადა შორიდან გატანა, შემდეგ გიორგი ვასაძემ – ორივე შემთხვევაში ომარ მოგინეიშვილს ბურთის ხელში დაჭერა არ გასჭირვებია.

ამასობაში დრო იწურებოდა და თითქოს გუნდებიც უგოლოდ უნდა გაყრილიყვნენ, თუმცა 77-ე წუთზე, გივი იოსელიანმა მარცხენა ფლანგიდან კუთხური შეასრულა და გოცირიძემ ანგარიში გახსნა.

მატჩის ბოლო ათ წუთში „ვიტ ჯორჯიას“ ქულის გადარჩენა შეეძლო, მაგრამ ორივე შემთხვევაში ირაკლი სიხარულიძეს დამამთავრებელ ფაზაში ცოტა დააკლდა. 84-ე წუთზე მისი დარტყმის შემდეგ, ბურთი ქუთაისელი მცველის ფეხიდან სტუმართა კარს ოდნავ ასცდა და კუთხურზე გადავიდა, რის შემდეგ სიხარულიძემ უკვე თავით დაარტყა და დიღმელაშვილმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

### მატჩის შემდეგ:

**ზურა ბერიძე, ვიტ ჯორჯიას მწვრთნელი:**

– კარგად ვითამაშეთ და წაგებას არ ვიმსახურებდით. უაზრო გოლი გავუშვით, რის გამო გულნატკენი ვარ. არ გაგვიმართლა. შევეცდებით, შემდეგ თამაშებში წარმატებას მივაღწიოთ.

**გია გეგუჩაძე, ტორპედოს მწვრთნელი:**

– ვერ ვიტყვი, რომ ან ერთ ან მეორე მხარეს ბევრი საგოლე მომენტი შეექმნა. მეორე ნომრად თამაში ვამჯობინეთ და ერთ ეპიზოდში გოლიც გავიტანეთ. ძალიან რთული თამაში იყო.

### სპარტაკი – ზესტაფონი 1:5

**თბილისი. მიხეილ მესხი**

*0:1 გელაშვილი (26), 0:2 დვალი (37), 0:3 გრიგალაშვილი (45), 1:3 შონია (60), 1:4, 1:5 დვალი (72პ, 81)*

**სპარტაკი:** ძაგანია, თიბილაშვილი, ლომაია, ბოიომო, ხუბუა, შალამბერიძე (რუხაძე 82), თ.შონია, ვ.კილასონია (ნ.მაისურაძე 52), მამუჩიშვილი, შარაშენიძე (ჯიქია 74), მეტრეველი

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე (მამალაძე 67), ბენაშვილი, გ.ონიანი, საჯაია, ელიავა, ძარია, გორგიაშვილი (ფიფია 66), შ.გრიგალაშვილი, აფციაური, ნ.გელაშვილი (წინამძღვრიშვილი 71), დვალი



შეხვედრის საწყისს წუთებში ცხინვალელებმა იაქტიურეს და სცადეს თამაშის სტუმართა ნახევარზე გადატანა. ზესტაფონელები შიდაქართლელთა სასტარტო აქტიურობას მშვიდად შეეგებნენ და მალევე ბურთიცა და ტერიტორიაც თავად დაისაკუთრეს, რასაც ტაიმის შუაწელს გატანილი გოლიც მოჰყვა – 26-ე წუთზე იმერლებმა მრავალსვლიანი შეტევა გაითამაშეს, რომელიც ბოლოს თორნიკე აფციაურის პასის შემდეგ, ნიკოლოზ გელაშვილის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

დაწინაურების შემდეგაც სტუმრები თავის აქტიური თამაშით ცხინვალელებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ და ტაიმის მიწურულს ამ აქტიურობისათვის მასპინძელთა კარში გატანილი კიდევ ორი გოლი მოჰყვა – 37-ე წუთზე შეტევის მარჯვენა ფლანგიდან ზესტაფონელთა მიერ წამოწყებული შეტევა ირაკლი ძარიას საგოლე პასითა და ჯაბა დვალის გოლით დასრულდა; 45-ე წუთზე კი გრიგალაშვილი-გელაშვილი-გრიგალაშვილის სწრაფ აქციას ამ უკანასკნელის მიერ ცხინვალელთა კარის მესამედ აღება მოჰყვა.

პირველის მსგავსად, მეორე ტაიმიც ზესტაფონელთა კარნახით მიმდინარეობდა, თუმცა თავიდან სტუმრებმა თავს მცირედი მოდუნების უფლება მისცეს, რამაც ცხინვალელთა მიერ გატანილი პრესტიჟის გოლი დიდწილად განაპირობა – გოლი 60-ე წუთზე თეიმურაზ შონიამ გაიტანა.

ამის შემდეგ თამაში საბოლოოდ გაიხსნა და კარგი საყურებელიც გახდა. ორივე გუნდი ბევრს აქტიურობდა, თუმცა გოლები ისევ უფრო „კლასიანს“ გაჰქონდა. 72-ე წუთზე ჯაბა დვალმა გოლად გიორგი ონიანის წაქცევისათვის დანიშნული 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა აქცია, მანვე 81-ე წუთზე ჰეთ-თრიქიც გაიფორმა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა – 5-1 .

### ბაია – დინამო 2:1

**ზუგდიდი. გულია თუთბერიძე**

*1:0 მგელაძე (8), 1:1 ჩისკო (45), 2:1 პაჭკორია (90)*

**ბაია:** სომხიშვილი, ტყემალაძე, გუგუჩია, სიხარულია (პაჭკორია 84), რიგვავა, ქობალია, ეხვაია (შ.ლომია 76), წურწუმია (გ.სამუშია 89), აფაქიძე, მგელაძე, აკობია

**დინამო:** ლორია, ოდიკაძე, თომაშვილი, ჰომოლა, გ.ზ.რეხვიაშვილი, კოშკაძე, ალვარო, კოტო (იაგუე 83), კახელიშვილი (რობერტინიო 77), ჩისკო, კაკუბავა (ჯიღაური 38)

ტურის ცენტრალურმა მატჩმა მოლოდინი გაამართლა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მარტო სახელი და უცხოეთიდან მოწვეული ლეგიონერები არაფერს წყვეტენ.

თბილისური კლუბის ვებგვერდის ცნობით, მოგება ორივე გუნდს შეეძლო. მასპინძლები ანგარიშში ნიკა მგელაძემ დასაწყისშივე დააწინაურა – 1:0. გამთანაბრებელი გოლი ტაიმის ბოლოს დინამოელთა ყველაზე სახელიანმა ჩისკომ გაიტანა, თუმცა მანამდე სტუმრებს არაერთი საგოლე შანსი მიეცათ, მაგრამ ვერ იხეირეს.

მეორე ტაიმში აქტიურობდა შეცვლაზე შესული ჯაბა ჯიღაური, რომლის დარტყმულებს გამოცდილი სომხიშვილი ეუფლებოდა. თავის გამოჩენა შეეძლო კახელიშვილს, კოტოსა და კოშკაძეს, მაგრამ გოლი „ბაიამ“გაიტანა და ისეთ დროს, როცა მეტოქეს გათანაბრების დრო პრაქტიკულად აღარ ჰქონდა – მატჩის ბოლო წუთზე გიორგი პაჭკორიამ მატჩს წერტილი დაუსვა – 2:1.

### გაგრა – დილა 2:1

**თბილისი. მერანი**

*1:0 ხუციძე (15), 1:1 ბერაია (72), 2:1 შარიქაძე (88)*

**გაგრა:** სეფიაშვილი, ტყეშელაშვილი, ხუციძე, სიჭინავა, კვანტალიანი, ნაკონეჩნი, ჯიშკარიანი, შარიქაძე, კალანდაძე, ჯერემაია (მაგაჯი 55, გაბედავა 70), ყურულაშვილი (ზ.ჩხეტიანი 78)

**დილა:** მერლანი, ბაქრაძე, ქარქუზაშვილი, ლომიძე, ვ.ხორგუაშვილი, ნემსაძე, ჯოჯუა (ნ.ნოზაძე 60), პ.ხორგუაშვილი, ახალკაცი (ი.ბერაია 67), ჩაგელიშვილი (თოდუა 56), რაჟამაშვილი

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, იმარჯვა „გაგრამ“, რომელიც გორის „დილას“ მასპინძლობდა. აქ ანგარიში მასპინძელმა ირაკლი ხუციძემ მე-15 წუთზე გახსნა, რომელიც 68-ე წუთზე ირაკლი ბერაიამ გაათანაბრა. თუმცა, მატჩის ბოლოსწინა წუთზე, ლევან შარიქაძემ თავის გუნდს ექვსმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ მოაგებინა.

### მეტალურგი – მერანი 2:1

**რუსთავი. ფოლადი**

*0:1 ჟვანია (10), 1:1, 2:1 ტატანაშვილი (43პ, 54)*

*მეათე წუთზე გიგა ჟვანიამ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)*

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# არმიამ და ტულუშმა მოგებით დაიწყეს

### სოხუმი – თსსუ 88:70

**(23: 16, 14: 23, 25: 20, 26: 11)**

**სოხუმი:** ფარღალავა (31), ჩლაიძე (9), ფაცაცია (26ქ.11მ.), გაი (6), ათუაშვილი (9); კანკია (5), გაფრინდაშვილი, ქადარია (5)

**თსსუ:** აბაიშვილი (4), ტომარაძე (4), ჩიკვილაძე (16), ბექაური (21), ილიჩი (14); კვეტენაძე, ყველაშვილი, პირველაშვილი (6), შვანგირაძე, ჭოჭუა (5)

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ერთმანეთს „სოხუმი“ და თსსუ დაუპირისპირდნენ, თუმცა უკვე მეორედ მოხდა, რომ სხვა მატჩი უფრო საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა, ვიდრე ცენტრალურად მიჩნეული.

ამ მატჩში საინტერესო მხოლოდ პირველი ტაიმი იყო, რომელმაც გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა და სტუდენტებმა ორი ქულის სხვაობით მოიგეს – 39:37.

მეორე ტაიმიდან კი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრ ლაშა ფარღალავასა და ნაკრების წევრობის კანდიდატ ლევან ფაცაციას კარგი თამაშის შემდეგ, ზღვისპირელებმა მეორე ტაიმში შეძლეს უპირატესობის მოპოვება და საბოლოოდ, 18 ქულის სხვაობით იმარჯვეს – 88:70.

ყველაზე შედეგიანი და გამორჩეულიც სწორედ ზემოთ ნახსენები კალათბურთელები იყვნენ – ფარღალავამ 31 ქულა დააგროვა, ხოლო ფაცაციას ანგარიშზე 26 ქულა და 11 მოხსნაა.

სტუდენტების მხრიდან საუკეთესო იყო მძიმე ფორვარდი ბექა ბექაური, რომელმაც 21 ქულა მიითვალა და ორმაგ დუბლამდე ორი მოხსნა დააკლდა.

### არმია – დინამო 90:53

**(24: 14, 19: 10, 29: 12, 18: 17)**

**არმია:** გეინსი (6), ბოისა (3), რიჩარდსონი (7), ბაბიაშვილი (8), შელბომი (16ქ.8მ.); მინაშვილი (5), კვიმსაძე (6), ტომასი (14), მოსეშვილი, ათანელიშვილი (4), დიაზი (14), საყვარელიძე (7)

**დინამო:** ბაქრაძე (5), მარხვაშვილი (1), სანაძე (19), კეიდია (5), სუხიშვილი (4); ი.ლეჟავა (12), ლომიძე, ალხანაიძე, მეხრიშვილი (3), ჯანგველაძე (4)

ეს არმიელთა პირველი მატჩი იყო მიმდინარე ჩემპიონატში, რადგან პირველ ტურში დასვენება მოუწია. ასევე პირველი ოფიციალური მატჩი იყო მწვრთნელის რანგში კოტე ტულუშისთვისაც, რომელმაც დებიუტი გამარჯვებით აღნიშნა – 90:53 არმიელთა სასარგებლოდ.

ძალოვნები შეხვედრის პირველივე წუთიდან დაეუფლნენ უპირატესობას და ბოლომდე შეინარჩუნეს. მატჩში ყველაზე მეტი, 19 ქულა „დინამოს“ ახალგაზრდა ფორვარდმა დუდა სანაძემ დააგროვა. არმიელთაგან კი ქულები თითქმის ყველა კალათბურთელმა გადაინაწილა, საუკეთესო კი შვედი ლეგიონერი, ცენტრალური თავდამსხმელი იოაკიმ შელბომი იყო, რომლის ანგარიშზეც 16 ქულაა.

### შსს-სტუ 94:88

**(31: 18, 28: 18, 13: 26, 22: 26)**

**შსს:** წივწივაძე (17), კრეპსი (27), თენიეშვილი (13), დვალიშვილი (11), იმნაძე (8); ლაფანაშვილი (9), ნიკოლაძე (3), ლონდარიძე (2), ტუჯანიტალბა (2), ბოქოლიშვილი (2)

**სტუ:** ტეტელაშვილი (4), ვ.ბერუაშვილი (17), ანთაძე (3), ჩაჩიბაია (19), კობიძე (11); თევზა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-სუონსი ........ 2:2
ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი ...... 1:2
ბოლტონი-სანდერლენდი ........ 0:2
ნიუკასლი-უიგანი ........ 1:0
ლივერპული-ნორვიჩი ........ 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

პიტერბრო-ლიდსი ........ 2:3
ბლექპული-ნოტინგემი ........ 1:2
იფსვიჩი-კრ.პალასი ........ 0:1
კარდიფი-ბარნსლი ........ 5:3
ქოვენთრი-ბარნლი ........ 1:2
ლესტერი-მილუოლი ........ 0:3
მიდლსბრო-დერბი ........ 2:0
პორთსმუთი-დონკასტერი ........ 3:1
ჰალი-უოტფორდი ........ 3:2
რედინგი-საუთჰემპტონი ........ 1:1

**ესპანეთი. პრემიერ დივიზიონი**

რასინგი-ესპანიოლი ........ 0:1
ხიხონი-გრანადა ........ 2:0
მალაგა-რეალი ........ 0:4
ბარსელონა-სევილია ........ 0:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ნუმანსია ........ 2:1
ალკორკონი-უელვა ........ 2:1
ალკოიანო-ბარსელონა ბ ........ 1:4
ხირონა-კარტახენა ........ 0:2
კორდობა-დეპორტივო ........ 0:2
მურსია-ვილიარეალი ბ ........ 3:1
სელტა-უესკა ........ 4:0
ხიმნასტიკი-ერკულესი ........ 0:1

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-კატანია ........ 2:2
იუვენტუსი-ჯენოა ........ 2:2

**იტალია. სერია ბ**

ალბინოლეფე-კროტონე ........ 1:3
გროსეტო-ბრეშა ........ 2:0
მოდენა-ლივორნო ........ 1:0
პადოვა-ვიჩენცა ........ 2:1
პესკარა-ასკოლი ........ 4:1
რეჯინა-ვარეზე ........ 3:2
სამპდორია-ჩიტადელა ........ 0:0
ემპოლი-სასუოლო ........ 1:1
იუვე სტაბია-ბარი ........ 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-კიოლნი ........ 5:0
ჰერტა-მაინცი ........ 0:0
კაიზერი-ფრაიბურგი ........ 1:0
ნიურნბერგი-შტუტგარტი ........ 2:2
ჰოფენჰაიმი-გლადბახი ........ 1:0
ჰამბურგი-ვოლფსბურგი ........ 1:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კოტბუსი-ფიურტი ........ 0:2
ბრაუნშვაიგი-დინამო ........ 0:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-ბრესტი ........ 1:1
კაენი-მონპელიე ........ 1:3
მარსელი-აიაჩი ........ 2:0
ნანსი-ნიცა ........ 1:0
სენტ ეტიენი-ვალანსიენი ........ 1:0
სოშო-ევიანი ........ 1:1
ლორიენი-ტულუზა ........ 0:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ისტრი-კლერმონი ........ 2:2

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ვენლო-ვალვაიკი ........ 4:1
დენ ჰააგი-ნაიმეგენი ........ 1:0
ექსელსიორი-ერაკლესი ........ 0:2
უტრეხტი-ჰერენვენი ........ 1:4

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

ემენი-ალმერე ........ 2:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

ოლჰანენსე-გიმარაეში ........ 1:0
ბეირა მარი-ბენფიკა ........ 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ვოლგა-კრასნოდარი ........ 0:2
ტერეკი-ამკარი ........ 1:0
ყუბანი-კრ.სოვეტოვი ........ 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-კილმარნოკი ........ 0:0
დანდი-სტ.ჯონსონი ........ 0:0
ინვერნესი-დანფერმლაინი ........ 1:1
სტ.მირენი-ჰიბერნიანი ........ 2:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-მატერსბურგი ........ 2:0
ადმირა-ინსბრუკი ........ 3:2
ნოიშტადი-კაფენბერგი ........ 2:0
გენტი-ლოკერენი ........ 3:1
გენკი-მონსი ........ 2:0
ბეერსხოტი-მეხელენი ........ 2:2
ლიერსი-სტ.ტრუიდენი ........ 0:2
სერკლე-ევერლე ........ 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-თუნი ........ 1:0
ლუცერნი-ქსამაქსი ........ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ქსანთი ........ 1:1
ატრომიტოსი-იანინა ........ 1:0
პანათინაიკოსი-ერგოტელისი ..... 4:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ერჩიესი-მანისა ........ 0:2
ბურსა-ტრაბზონი ........ 1:1
ქარაბუქი-ისტამბული ........ 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პრჟიბრჟამი-სიგმა ........ 4:1
დუკლა-იაბლონეცი ........ 1:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

იაგელოანი-ბელხატოვი ........ 1:0
შლიონსკი-პოდბესკიჟიე ........ 1:0
ლეჩნა-ლეხი ........ 0:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ილიჩევეცი-ობოლონი ........ 2:1
კრივბასი-კარპატი ........ 1:1
დნიპრო-მეტალურგი(დ) ........ 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-ორხუსი ........ 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ჰონკა ........ 0:1
კუუპიო-როვანიემი ........ 1:0
ჰაკა-ტპს ........ 0:1
ჰიკი-მიუპა ........ 4:1
იარო-ჯჯკ ........ 2:3
მარიეჰამნი-ინტერი ........ 1:0

**აშშ. მლს**

ვანკუვერი-კოლორადო ........ 1:2
ვაშინგტონი-კანზასი ........ 0:1
ჩიკაგო-კოლამბუსი ........ 3:2
სოლტ ლეიკი-პორტლენდი ........ 1:1
ჩივასი-სიეტლი ........ 1:3
სან ხოსე-დალასი ........ 4:2

**ბრაზილია. სერია ა**

ავაი-ბოტაფოგო ........ 3:2
ამერიკა-გრემიო ........ 2:2
პალმეირასი-ფიგუირენსე ........ 1:2
ფლუმინენსე-ატლეტიკო(მ) ........ 0:2

### ხელბურთი

**ეჩ-2012. შესარჩევი ეტაპი**

**ქალები**

პოლონეთი-ჩერნოგორია ........ 27:31
დ.ბრიტანეთი-რუსეთი ........ 16:24
საბერძნეთი-რუმინეთი ........ 18:38
ჩეხეთი-შვედეთი ........ 21:30
სლოვაკეთი-ხორვატია ........ 23:24

### რაგბი

**მსოფლიო თასი. ფინალი**

ახ.ზელანდია-საფრანგეთი ........ 8:7

### ჩოგბურთი

**ატპ. მოსკოვი. ჰარდი**

ტროიცკი-ჩარდი ........ 6:4;6:4
ტიპსარევიჩი-დავიდენკო ...... 6:2;7:5

**ატპ. სტოკჰოლმი. ჰარდი**

ბლეიკი-ნიემინენი ........ 6:7;7:5;2;6
მონფილსი-რაონიცი ........ 6:7;6:4;6:3

**ვტა. ლუქსემბურგი. ჰარდი**

ნიკულესკუ-კეტავონგი .... 7:5;4;6;6:3
აზარენკო-გერგესი ........ 6:3;6:3

**ვტა. მოსკოვი. ჰარდი**

ციბულკოვა-ვესნინა ........ 6:0;6:2
კანეპი-შაფარჟოვა ........ 6:7;6:4;6:3

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ბოსტონი-სან ხოსე ........ 2:4
ვაშინგტონი-დეტროიტი ........ 7:1
ვინიპეგი-კაროლინა ........ 5:3
მონრეალი-ტორონტო ........ 4:5(ოტ)
ოტავა-კოლამბუსი ........ 4:3
პიტსბურგი-ნიუ ჯერსი ........ 4:1
ტამპა ბეი-ბუფალო ........ 3:0
ფილადელფია-სენტ ლუისი ........ 2:4
ფლორიდა-აილენდერსი ........ 4:2
ჩიკაგო-კოლორადო ........ 4:4(0:1ბ)
ედმონტონი-რეინჯერსი ........ 2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# როგორი იყო კადაფის უკანასკნელი წუთები

ლიბიის ყოფილი ლიდერის, მოამარ კადაფის ცხოვრების უკანასკნელი წუთების შესახებ ლიბიის ოპოზიციის ერთ-ერთმა სამხედრო მეთაურმა ილაპარაკა, რომელმაც განაცხადა, რომ უშედეგოდ ცდილობდა დაჭრილი კადაფის გადარჩენას.

ომან ოვეიბის თქმით, დაჭრილი კადაფი ქალაქ სირტში, სადრენაჟე მილიდან გამოათრიეს, სადაც იგი იმალებოდა და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ უსულოდ დაეცა მიწაზე.

ოვეიბის თქმით, კადაფის მიმართულებით ყველა მხრიდან ისროდნენ და ძნელი გამოსარკვევია, თუ ვინ ისროლა საბედისწერო ტყვია.

კვლავინდებურად უცნობი რჩება, აპირებენ თუ არა ლიბიელი ხელისუფლები პოლკოვნიკ კადაფის ცხედრის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას.

ყოფილი დიქტატორის და მისი ვაჟის, მუტასიმის გვამებს მისრატში ხორცის საწყობში ინახავენ.

ლიბიის გარდამავალი საბჭოს წარმომადგენელმა საერთაშორისო საკითხებში აჰმედ ჯებრეელმა განაცხადა, რომ პოლკოვნიკის ცხედარი შაბათს გაკვეთეს.

იმავდროულად, მისმა კოლეგამ, ჯანდაცვის საკითხებში საბჭოს წარმომადგენელმა ნაგი ბარაქათმა განაცხადა, რომ გაკვეთის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან გარდაცვალების მიზეზი გარკვევით ჩანს პათოლოგოანატომის დასკვნიდან, რომელმაც მისი სხეული დაათვალიერა.

ბიბისის ინტერვიუში ომარ ოვეიბმა განაცხადა, რომ ლიბიის ყოფილი ლიდერის სიკვდილის პასუხისმგებლობა მთლიანად მას ეკისრება.




მისი თქმით, არ დაუნახავს, თუ ვინ ესროლა კადაფის. ოვეიბმა განაცხადა, რომ მისი მებრძოლებიდან რამდენიმეს პოლკოვნიკის მოკვლა სურდა და მან სცადა, ეს არ დაეშვა.

მოამარ კადაფის სიკვდილი კვლავინდებურად მრავალრიცხოვან შეკითხვებს ბადებს. საინფორმაციო საშუალებებში მოხვედრილი ზოგიერთი ვიდეოჩანაწერის თანახმად, პოლკოვნიკ კადაფის ქალაქის ქუჩებში მიათრევდნენ. სხვა ჩანაწერებზე ჩანს, თუ როგორ აყენებდნენ გასისხლიანებულ კადაფის შეურაცხყოფას და როგორ აწვენდნენ მას მანქანის კაპოტზე.

აშშ-ის ხელისუფლებმა ლიბიის დროებითი საბჭოსაგან პოლკოვნიკ კადაფის სიკვდილის გარემოებების შესახებ ამომწურავი ანგარიშის წარმოდგენა მოსთხოვეს. აშშ-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გამოძიება გამჭვირვალე და ღია უნდა ყოფილიყო.

ლიბიის ყოფილი ლიდერის სიკვდილის გამოძიების მოწოდებით გამოვიდნენ აგრეთვე გაერო, საერთაშორისო ორგანიზაცია „ემნესტი ინტერნეიშნლის“ წარმომადგენლები, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი, აგრეთვე კადაფის ახლობლები.

ლიბიის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, მაჰმუდ ჯიბრილის თქმით, იგი ნანობს, რომ კადაფიმ სასამართლომდე ვერ მიატანა. ჯებრეელმა განაცხადა, რომ პროცესზე ბრალმდებლის სახით გამოსვლას ისურვებდა.

ჯებრეელმა ასევე განაცხადა, რომ სრულიად მისაღებად მიაჩნია საერთაშორისო მეთვალყურეობით გამოძიების ჩატარება ისლამში მიღებული დაკრძალვის წესების დაცვით.

მიმომხილველების თქმით, კადაფის დაღუპვის გარემოებების გამოძიება ლიბიელთაგან ბევრს არ ანაღვლებს. მის სიკვდილს ლიბიაში ზეიმით აღნიშნავენ.

კადაფის დაკრძალვის საკითხი ასევე გაურკვეველია. დღემდე უცნობია, თუ სად დამარხავენ მას, მისრატში, მშობლიურ ქალაქ სირტში თუ სხვაგან.

ლიბიის დროებითმა ხელისუფლებმა ცოტა ხნის წინ განაცხადეს, რომ მის საფლავთან პილიგრიმობის თავიდან აცილების მიზნით კადაფის დაკრძალვის ადგილს არ გაამხელდნენ.

ნავთობის მრეწველობის მინისტრმა ალი ტარხუნიმ განაცხადა, რომ კადაფის ცხედარს უახლოეს მომავალში არ დაკრძალავენ.

იმავდროულად, ნატოს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ 31 ოქტომბრიდან სამხედრო კამპანიას წყვეტს. ალიანსის ხელმძღვანელობამ ასევე განაცხადა, რომ არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ ხუთშაბათს დაბომბილ ავტოკოლონაში მოამარ კადაფიც იმყოფებოდა.

ეს ავტომობილები სირტიდან დიდი სიჩქარით გამოვიდნენ და გზის გაკვლევას შეეცადნენ. მათ დიდი რაოდენობით იარაღი და საჭურველი გადაჰქონდათ, ამიტომ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის საფრთხის წყაროს წარმოადგენდნენ, ნათქვამია ნატოს განცხადებაში.

საფრანგეთის გამანადგურებლების რამდენიმე იერიშის შედეგად ათამდე მანქანა დაზიანდა ან განადგურდა.

ის, რომ ერთ-ერთ მანქანაში კადაფიც იმყოფებოდა, ნატოს ხელმძღვანელობამ მხოლოდ კადაფის დატყვევების შემდეგ შეიტყო.

ლიბიის დროებითმა პრემიერმა მაჰმუდ ჯებრეელმა იორდანიაში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლის დროს განაცხადა, რომ ყოფილი დიქტატორის, კადაფის დაღუპვის შემდეგ ლიბია მთლიანად გარდამავალი მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება და მას შეუძლია პოსტი დატოვოს, რადგან თავისი მისია შესრულებულად მიაჩნია.

დროებითი პრემიერის თქმით, ამიერიდან ყველაფერი ლიბიელი ხალხის ხელშია და კადაფის რეჟიმის დამხობის შემდგომი პირველი არჩევნები მომავალი წლის ივნისში უნდა გაიმართოს.

# ძირს თაღლითებისა და ქურდების პარტია!

შაბათს მოსკოვში და რუსეთის რამდენიმე ქალაქში „კმარა კავკასიის გამოკვება“ კამპანიის ფარგლებში რამდენიმე აქცია გაიმართა. კამპანიის დაწყების განცხადებით რუსეთის ნაციონალისტური მოძრაობის რამდენიმე ლიდერი გამოვიდა.




კამპანიის მონაწილეები რუსეთის ხელისუფლებისაგან ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების დოტაციის შეწყვეტას მოითხოვდნენ, რაც, მათი აზრით, არაპროპორციულად დიდია.

კამპანიის მონაწილეებმა კიდევ ერთი ლოზუნგი წამოაყენეს – „ძირს თაღლითებისა და ქურდების პარტია“. ოპოზიცია ამ ეპითეტებით მმართველ პარტიას „ედინაია რასიას“ ამკობს.

როგორც სააგენტო „არპ დოთ ნეტის“ რედაქტორმა კონსტანტინ კრილოვმა განაცხადა, აქციის მონაწილეებს გარკვეული პოლიტიკური მიზნები გააჩნიათ და ეს მიზნები ამ ლოზუნგებში ამომწურავად არის გადმოცემული. თუ ხელისუფლები ამ ლოზუნგებს ყურს არ მიუგდებენ, მათ სხვა კატეგორიის ახალგაზრდების მოსმენა მოუწევთ.

კრილოვი სკინჰედებს გულისხმობდა, რომლებიც როგორც უცხოელების, ასევე კავკასიური წარმოშობის რუსეთის მოქალაქეების მიმართ თანაბრად აგრესიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.

მოსკოვის ცენტრში გამართულ ნაციონალისტების მიტინგზე მოვიდა აგრეთვე ცნობილი ბლოგერის, ეპითეტ „თაღლითებისა და ქურდების პარტიის“ ავტორი ალექსეი ნავალნი, აგრეთვე სახალხო თავისუფლების პარტიის ყოფილი თანათავმჯდომარე ვლადიმირ მილოვი.

ნავალნიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იმ ტომთა ბელადების უფრო მოკრძალებული ცხოვრების ხილვას ისურვებდა, ვისაც რუსეთში ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელობას უწოდებენ.

აქციის მონაწილეების თქმით, ხალხის მასები ხედავენ, რომ რუსეთის ხელისუფლებს მოსწონთ ჩრდილოეთ კავკასიის კორუმპირებული, კრიმინალური რეჟიმები და ყველაფერს აკეთებენ, რათა მათ საზრდო და მზრუნველობა არ მოაკლდეთ.

აქციის მონაწილეთა ყველაზე დიდ უკმაყოფილებას იწვევდა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა ჩეჩნეთისა და მისი ლიდერის, რამზან კადიროვის მიმართ. მათი აზრით, ლოიალობის საფასურად მოსკოვი ჩეჩნეთში მილიარდობით რუბლს ტუმბავს და თვალს ხუჭავს იმაზე, რომ კადიროვი მის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიაზე რუსეთის კანონებსა და კონსტიტუციას ლახავს.

გარდა მოსკოვისა, გამოსვლები ლოზუნგებით „კმარა კავკასიის გამოკვება“ გაიმართა აგრეთვე სანკტ-პეტერბურგში, ნიჟნი ნოვგოროდში, ნოვოსიბირსკში, ტომსკში, ტულაში, სტავროპოლში და სხვა ქალაქებში.

# გერმანიაში ჯაშუშები დააკავეს

გერმანიის სპეცსამსახურებმა დააკავეს ცოლ-ქმარი, რომლებიც, სავარაუდოდ, რუსეთის საგარეო დაზვერვის სასარგებლოდ მოქმედებდნენ.

გერმანული მედია-ჰოლდინგების, დოიჩეველესა და ჟურნალ „შპიგელის“ ინფორმაციით, ეჭვმიტანილი ჯაშუშები სხვადასხვა ქალაქებში დააკავეს ერთი – ჰესენის მხარის ქალაქ მარბურგში, მეორე – ბადენ ვიურტემბერგის ქალაქ ბალინგენში.

როგორც ამბობენ, ქალი დაშიფრული რადიოგრამის მიღების მომენტში დააკავეს. არსებული მოსაზრების თანახმად, ცოლ-ქმარი გერმანიაში ჯაშუშურ საქმიანობას 20 წელია ეწეოდა.

პასპორტების თანახმად, დაკავებულები ავსტრიის მოქალაქეები არიან. სხვა დოკუმენტების თანახმად, მამაკაცი არგენტინიდანაა, ქალი – პერუდან.

თუმცა, დოიჩეველეს თანახმად, გერმანიის სპეცსამსახურებს აქვთ საფუძველი ივარაუდონ, რომ დაკავებულების დოკუმენტები ყალბია.

ჟურნალ „შპიგელის“ თანახმად, წყვილმა გერმანიის სპეცსამსახურების




ყურადღება გასულ წელს მიიპყრო, მას შემდეგ რაც აშშ-ის სპეცსამსახურებმა რუსეთის ჯაშუშური ქსელი გამოააშკარავეს.

ჟურნალ „შპიგელის“ მიერ ორშაბათს გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ეს შემთხვევა გერმანიის გაერთიანების შემდეგ ქვეყნის ტერიტორიაზე მომხდარი ამ სახის პირველი ინციდენტია.

ეჭვმიტანილები დასავლეთ გერმანიაში ჯერ კიდევ 1988 წელს ჩავიდნენ და გერმანელი გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ ცოლ-ქმარმა დანაშაულებრივი საქმიანობა ჯერ კიდევ სსრკ-ის არსებობის დროს დაიწყო.

ჟურნალის ვარაუდით, ეჭვმიტანილი ჯაშუშების დაკავებამ რუსეთ-გერმანიის ურთიერთობაზე უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რა ინფორმაციის საფუძველზე უკავშირებენ ერთმანეთს დაკავებულების საქმიანობას და რუსეთის დაზვერვას გერმანელი ხელისუფლები.

ბერლინში რუსეთის დიპლომატიური უწყების მორიგე დიპლომატმა გიორგი სტარიკოვიჩმა განაცხადა, რომ ეჭვმიტანილი რუსი ჯაშუშების დაკავებასთან დაკავშირებით რუსეთის საელჩოსათვის ჯერ არავის მიუმართავს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# კროსვორდი



1. ახალზელანდიური ფრინველი; 2. საფუტკრე; 3. ცინიკური ხუმრობა; 4. ქალაქი ქართლში; 5. ნაპოლეონის მარშალი; 6. ჩლიქზე დასაკრავი რკინის ფირფიტა; 7. გერმანული ავტომარკა; 8. მრგვალი, რბილი ქუდი; 9. აჩრდილი; 10. წილი ბიზნესში; 11. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 12. მაუგლის მეგობარი პითონი; 13. ეშმაკი; 14. დენის წინაღობის ერთეული; 15. ჰიგიენური საშუალება; 16. ქართული ჟურნალი; 17. კვიპაროსი; 18. სასტუმროს მსახური ბიჭი; 19. გზა ორ პუნქტს შორის; 20. ბიბლიური პერსონაჟი; 21. საბჭოური ოცკაპიკიანი; 22. ლანგარი; 23. ისრის წვერი; 24. მოწითალო ფენა რკინის ზედაპირზე; 25. აბრეშუმის ბრჭყვიალა ქსოვილი; 26. საქართველოს ისტორიული მხარე ამჟამინდელ აზერბაიჯანში; 27. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღოლი; 28. ეგვიპტელთა ნაყოფიერების ქალღმერთი; 29. მოცარტის ოპერა (ერთ სიტყვად); 30. ზურგჩანთა; 31. ფულადი ჯილდო; 32. გაჭირვების მტკიცედ ამტანი ადამიანი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რეკორდი; 2. ნიანგი; 3. ჩუქურთმა; 4. ლანდტაგი; 7. ბაბანეური; 8. მაშარაბი; 12. ბელფასტი; 14. საფერავი; 16. ენერგია; 17. კალმანი; 19. ბანა; 20. ქროუ.

**თარაზულად**: 5: რეციდივი; 6. აქუბარდია; 9. ეროზია; 10. გიშერი; 11. ეშერა; 13. გერმა; 15. კაკადუ; 18. შნეკი; 21. კანდელაკი; 22. გვირილა; 23. მანტისა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბრინჯაო; 2. ბოხოხი; 3. ჩაინტაური; 4. მუჯირი; 5. მელბურნი; 7. უშბა; 11. დესპოტი; 13. დეფექტი; 15. ერაყი; 16. ჰერტა; 18. რახტი; 19. ტუმბო.

**თარაზულად:** 6. რატუშა; 8. ბოზბაში; 9. ბაჯაღლო; 10. ჯომარდი; 12. სილვა; 14. წიქარა; 17. ნეფერტიტი; 20. დროსელი; 21. ჭყვიში; 22. ტაიბეი; 23. ფარავანი.

# არმია ფინალშია და მეტოქეს ელის

### ლელო – ლოკომოტივი 13:22

**ლელო:** ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, ანდღულაძე, ხუციშვილი, ხმალაძე, კაჭარავა; სანიკიძე, ჭყონია (კვერნაძე), სუჯაშვილი, ხიპაშვილი (კოლელიშვილი), ი. დაუშვილი (ჯვარშეიშვილი, ჭეიშვილი), მძინარიშვილი, დ. დაუშვილი, აზალაძე

**ლელო:** ანდღულაძე

**გარდასახვა:** ყიასაშვილი

**ჯარიმა:** ყიასაშვილი (2)

**ლოკომოტივი:** კავთიძე, ქავთარაძე, კობერიძე, ბერძენიშვილი, ჟამუტაშვილი (ჭურღულია), კვინიხიძე, ღვინჯილია; გასვიანი (კორკოტაძე), ზარიძე, ვეფხვაძე, გუნიავა, ნიშნიანიძე, გენებაშვილი, ჩიტიძე, ბერიშვილი

**ლელო:** ჭურღულია

**გარდასახვა:** კვინიხიძე

**ჯარიმა:** კვინიხიძე (5)

„ლოკომოტიველთა“ ჯანში უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა და ამ ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა, როდესაც „ლელო“ შერკინებაში დაჯარიმდა და ბობა კვინიხიძემ გუნდი 3 ქულით დააწინაურა. თუმცა, „ლელომ“ მალევე ლამაზი ლელოთი უპასუხა, რომელიც დიდებულ კომბინაციას მოჰყვა – ლელოელებმა სწრაფად გაითამაშეს ჯარიმა, გიორგი კაჭარავამ ლაშა ხმალაძეს ხაზი გააჭრევინა, მან მარცხნივ სანდრო თოდუა მოძებნა, რომელმაც ათიოდე მეტრით წინ წაიწია და ბოჭვისას არცთუ კარგი გადაცემა გააკეთა, მაგრამ სიტუაციაში კარგად გაერკვა ნონო ანდღულაძე, რომელმაც ბურთი აიტაცა და მეტოქის ჩათვლის მოედანში შეხტა. ირაკლი ყიასაშვილმა რეალიზაცია გამოიყენა და „ლელო“ 7:3 დაწინაურდა.

„ლოკომოტივმა“ ძალისმიერი იერიშები განაგრძო და მეტოქეს რაქში დაჯარიმება აიძულა, რაც მე-15 წუთზე კვინიხიძემ სამ ქულად გარდასახა და სხვაობა მინიმუმამდე დავიდა. საპასუხოდ ყიასაშვილმა 25-ე წუთზე 30 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა და ანგარიში 10:6 გახდა.

35-ე წუთზე „ლელო“ ისევ დაჯარიმდა. კვინიხიძემ ახლოდან გასატანი ჯარიმა გამოიყენა და ტაიმი 10:9 დასრულდა.

მეორე ტაიმში კვინიხიძეს თანაგუნდელების დაწინაურების შანსი მიეცა, მაგრამ 40 მეტრიდან დარტყმა გაუცუდდა. თუმცა, ეს შეცდომა 46-ე წუთზე დიმიტრი ჭურღულიამ ლელოთი გამოასწორა, კვინიხიძემ კი რეალიზაცია გამოიყენა და „ლოკომოტივი“ 16:10 დაწინაურდა.

დაწინაურებამ ლოკომოტიველები თავისუფლად აათამაშა და ძლაში უპირატესობა რომ იგრძნელს ჯარიმებს კარში აღარ ურტყამდნენ. თუმცა, ლელოს გატანას ვერ ახერხებდა და საბოლოოდ, კვინიხიძემ მისი დარტყმა მაინც გადაწყვიტა და 60-ე წუთზე „ლოკომოტივის“ უპირატესობა ცხრა ქულამდე გაიზარდა.

„ლელოს“ შანსი 72-ე წუთზე მიეცა, როდესაც ბურთი ფლანგზე გაშალა და იქ, ზურაბ ზაალიშვილმა ფეხით თამაში გადაწყვიტა. უბურთოდ დარჩენილ „ლელოელს“ მეტოქე ეუხეშა, ყიასაშვილმა გასატანი ჯარიმა გამოიყენა და დარჩენილ წუთებს ინტრიგა დაუბრუნა. მაგრამ ჯანმა თავისი გაიტანა, „ლოკომოტივმა“ მეტოქეს ჯარიმაც დასტყუა და კვინიხიძემ 78-ე წუთზე საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 22:13.

მთავარი მატჩი კი ქუთაისში გამართა, სადაც ფინალში გასასვლელად ერთმანეთს „აია“ და „არმია“ შეერკინენ.

პირველი ტაიმი სტუმრებმა 10:8 მოიგეს, შემდეგ ეს უპირატესობა შეინარჩუნეს და საბოლოოდ, 24:16 იმარჯვეს.

ამ მოგებით არმიელები ფინალში არიან, ხოლო ქუთაისლები 29 ოქტომბერს საკუთარ მოედანზე კიდევ ერთხელ შეეცდებიან ფინალში გასვლას, ამჯერად მათი მეტოქე „ლოკომოტივი“ იქნება.

## სამგლოვიარო განცხადებები

გულიკო, მიშა, ნათელა, პაატა ქავთარიები, ლულუ მენთეშაშვილი, ლალი მარუაშვილი, ქეთევან რამიშვილი, ეკა მელიქიძე, შალვა მშვილდაძე, ნელი გიგინეიშვილი, მირიან სახვაძე, ჯენეტო ჭანტურაია ოჯახებით იუწყებიან

**ლერი მუსხელაძის**

გარდაცვალებას.

მეუღლე ჟუჟუნა, შვილები მაია, მთვარისა, ხათუნა, სიძეები ნოდარი, სოსო, ლევანი, შვილიშვილები ზვიადი, ანა, ლექსო, გიორგი, ნინო იუწყებიან

**ლერი მუსხელაძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 23, 24 ოქტომბერს, 17 საათზე;

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპ. მე-3 კვარტ. XV კორპ.

დაკრძალვა: 25 ოქტომბერს, 14 საათზე, სოფ. ლავრისხევში.

გალის რესურსცენტრი თანაუგრძნობს დავით შონიას ძმის

**ამირან შონიას**

გარდაცვალების გამო.

ფონდი „ჰარმონია და მშვიდობა“ თანაუგრძნობს დავით შონიას ძმის

**ამირან შონიას**

გარდაცვალების გამო.

შვილები მამუკა და მაკა, რძალი ნათია დოლიძე, სიძე ზაზა ჯანჯღავა, შვილიშვილები ლუკა და ნიტა იუწყებიან

**რევაზ (ზაურ) გონგაძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 23, 24 ოქტომბერს, 17 საათზე;

გამოსვენება: 25 ოქტომბერს, 14 საათზე;

მის:. საბურთალოს ქ. №7, მე-4 სად. ბინა 77.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# არმიამ და ტულუშმა მოგებით დაიწყეს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ძე (2), მაჩალაძე (7), ხანიაშვილი (18), დეკანოიძე, ძიძიგური (7)



პირველი ტაიმის შემდეგ, ფავორიტად მიჩნეული შსს 23 ქულის სხვაობით, 59:36 დაწინაურდა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები წაგებას არ შეურიგდნენ და მეორე ტაიმში იმდენი იბრძოლეს, რომ ძირითადი დროის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე, ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე (85:89) შეამცირეს. სტუ-მ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლო და გამარჯვება მაინც შსს-ს დარჩა.

მატჩში საუკეთესო იყო შსს-ს ამერიკელი ლეგიონერი, უკანახაზელი რობო კრეპსი, რომლის ანგარიშზე 27 ქულაა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კალათბურთელი თითქმის ყველა ტურში გამორჩეულია. სტუდენტების მხრიდან საუკეთესო კალათბურთელის, ფორვარდ ტატო ჩაჩიბაიას ანგარიშზე კი 19 ქულაა.

### ბათუმი-რსუ – თსუ 68:77

(10: 27, 24: 19, 29: 10, 5: 21)

**ბათუმი-რსუ:** მიქელაძე (20), ივანე მაისურაძე (3), ნინუა (2), კეშელავა (20ქ.12მ.), ბოლქვაძე (6); რამიშვილი (5), ელიაშვილი (6), ელიაძე (6)

**თსუ:** ჩიტაშვილი (5), ფანჩულიძე (24), ზურა მაისურაძე (2), მარკოიშვილი (8), შერმადინი (6); დავით ბერიშვილი (6), კოხრეიძე (2), კორკოტაძე (6), ნინიაშვილი (14), ხიზანიშვილი (4)

მართალია, „ბათუმი-რსუ“ პირველ მეოთხედში 17 ქულის სხვაობით დამარცხდა – 10:27, მაგრამ შემდეგ თამაშის შემოტრიალება შეძლო და მესამე მეოთხედის შემდეგ, 7 ქულით – 63:56 დაწინაურდა.

მეოთხე მეოთხედში, 5 ჯარიმის გამო, მოედანი ბათუმელთა ორმა ტანმაღალმა კალათბურთელმა, ცენტრალურმა თავდამსხმელმა მამუკა ბოლქვაძემ და ფორვარდმა ავთანდილ ელიაშვილმა დატოვა, მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება გუნდმა ვეღარ შეძლო და სენსაციის მოხდენამდე ცოტა დააკლდა – სტუდენტებმა 77:68 შეძლეს მეტოქის დამარცხება.

ამ შეხვედრაში, ყველაზე მეტი,24 ქულა თსუ-ს უკანახაზელმა, გუნდის კაპიტანმა მიხეილ ფანჩულიძემ დააგროვა. მასპინძელთა შორის კი, ყველაზე კარგი შედეგი მძიმე ფორვარდმა ლაშა კეშელავამ (20 ქ. 12 მ.) და უკანახაზელმა ირაკლი მიქელაძემ (20 ქ.) აჩვენეს.

### რუსთავი – ქუთაისი 61:98

(12: 34, 17: 22, 21: 21, 11: 21)

**რუსთავი:** არწივიძე (6), მაჭავარიანი (9), ჩაჩანიძე (7), ხმელიძე (23ქ.9მ.), გუგავა (5); გ.ბერუაშვილი, თვარაძე (3), ბააკაშვილი (1), კოპალიანი (7)

**ქუთაისი:** ბაბუნაშვილი (17ქ.8მ.), ცეკვავა (6), დიდია (7), გ.ბარბაქაძე (16), მათიაშვილი (20); ფაშაევი (4), მესხი (2), ტუკვაძე (6), დ.ბარბაქაძე (6), ლომინაშვილი (8), კუჭავა (2), ქორიძე (4)

ქუთათურებმა პირველ ტაიმშივე გაინაღდეს გამარჯვება, რომელიც 27 ქულის სხვაობით – 56:29 მოიგეს, ხოლო საბოლოოდ 37 ქულის სხვაობით შეძლეს მეტოქის დამარცხება –98:61.

ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო მასპინძელთა ახალგაზრდა ფორვარდი ლევან ხმელიძე, რომელმაც ყველაზე მეტი, 23 ქულა დააგროვა და ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა. სტუმართა გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი ცენტრალურმა თავდამსხმელმა რიჩარდ მათიაშვილმა შეიტანა, რომლის ანგარიშზეც 20 ქულაა. 17 ქულითა და 8 მოხსნით კი მატჩი თემურ ბაბუნაშვილმა დააგროვა.

ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო კალათბურთელად „სოხუმის“ ფორვარდი ლევან ფაცაცია დაასახელეს, რომელმაც 26 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა. ამას გარდა, 6 პასი გააკეთა და შეცდომა საერთოდ არ დაუშვია.

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 2 | 2 | 0 | 206:134 | 4 |
| 2.სოხუმი | 2 | 2 | 0 | 196:132 | 4 |
| 3.შსს | 2 | 2 | 0 | 195:165 | 4 |
| 4.სტუ | 2 | 1 | 1 | 192:169 | 3 |
| 5.თსუ | 2 | 1 | 1 | 145:137 | 3 |
| 6.არმია | 1 | 1 | 0 | 90:53 | 2 |
| 7.ოლიმპი | 1 | 1 | 0 | 69:68 | 2 |
| 8.ბათუმი | 2 | 0 | 2 | 145:178 | 2 |
| 9.თსსუ | 2 | 0 | 2 | 145:192 | 2 |
| 10.დინამო | 2 | 0 | 2 | 126:198 | 2 |
| 11.რუსთავი | 2 | 0 | 2 | 123:206 | 2 |

# გიორგი შერმადინი: დებიუტამდე „კანტუში“ მხოლოდ ორჯერ ვივარჯიშე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ ის შეტევა წარმატებულად დავაგვირგვინეთ. სხვათა შორის, ახლაც მანუჩართან ვარ სტუმრად და იმ სიტუაციაზე მესაუბრება, რაც „კანტუშია“.

***– რა რეაქცია მოჰყვა თქვენს თამაშს?***

– მატჩის შემდეგ მწვრთნელმა ყველას ხელი ჩამოგვართვა, გარჯა შეგვიქო და გამარჯვება მოგვილოცა. გასახდელში იგი არ შემოსულა, ხოლო მეორე დღეს მხოლოდ ტრენაჟორებზე ვივარჯიშეთ და მწვრთნელი არ მინახავს. სატრენაჟოროში თანაგუნდელებმა წარმატებული დებიუტი მომილოცეს, ყველა გახარებული იყო და აღნიშნავდნენ, რომ ჩემი დამატებით გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

***– პრესა თუ დაინტერესდა თქვენი „კანტუში“ მისვლით?***

– გაზეთის წარმომადგენლებმა ინტერვიუ ჩამომართვეს. ერთ-ერთი კითხვა იყო, რომ „კანტუში“ გადასვლისას რამდენად დიდი იყო მანუჩარ მარკოიშვილის ფაქტორი. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო მეთქი, ასე ვუპასუხე.

***– ვინმესთან დაახლოვება თუ მოასწარით?***

– არა, მანუჩარი აქ დამხვდა და ჯერჯერობით სხვებთან დამეგობრება ვერ მოვასწარი. ისე კი მინდა აღვნიშნო, რომ „კანტუ“ ძალიან მეგობრული გუნდია. განსაკუთრებით მწვრთნელებს გამოვარჩევ, რომლებიც ისე ეპყრობიან მოთამაშეებს, როგორც საკუთარ შვილებს. ძალიან კარგი ატმოსფეროა და გახარებული ვარ, ამ გუნდში რომ მოვხვდი. დარწმუნებული ვარ, აქ არაერთ მეგობარს შევიძენ. ჩემი კონტრაქტი სეზონის ბოლომდეა და უკვე ისეთი განწყობა მაქვს, რომ აქ დარჩენაზე ვფიქრობ. მაქსიმალურად ვეცდები, რომ მარკოიშვილთან ერთად „კანტუს“ გამარჯვებების მიღწევაში დავეხმარო. ვიმედოვნებ, ევროლიგაში კარგად დაწყებულ საქმეს წარმატებულად გავაგრძელებთ და ისეთ შედეგს მივაღწევთ, ხელმძღვანელობას უკმაყოფილების საფუძველი რომ არ მივცეთ.

# დინამოში კრიზისია, ზესტაფონი გაიქცა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ჭედია (პავლიაშვილი 67), სეთურიძე, მიქაბერიძე (დობროვოლსკი 67), ქავთარაძე, ჯაფარიძე, ტატანაშვილი, ი.მაისურაძე, მოდებაძე (გავაშელიშვილი 83), მახვილაძე, გ.კვარაცხელია

**მერანი:** შეროზია, კაკუშაძე, ჟვანია, სუხიაშვილი, მემარნიშვილი, დიდავა, მანწკავა, ე.გრიგალაშვილი, ჩალაძე (ჭაფოძე 67), ამბროლაძე, ტაპე

რუსთავის „მეტალურგმა“ დიმიტრი ტატანაშვილის მორიგი დუბლის წყალობით მარტვილის „მერანს“ სძლია, თუმცა თავდაპირველად გიგა ჟვანიას გოლით სტუმრები დაწინაურდნენ.

### კოლხეთი – სიონი 2:1

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

***1:0 ციცხვაია (62), 1:1 ქუცურუა (89), 2:1 ინწკირველი (90)***

**კოლხეთი:** ბობლიაშვილი, გ.კილასონია, ინწკირველი, ცხვიტარია, შავგულიძე, ლომაშვილი (გოგონაია 46), ცხადაია (წიქარიშვილი 46), ქებაძე, პ.დათუნაიშვილი (გელაჭეიშვილი 78), ციცხვაია, მდივნიშვილი

**სიონი:** ზუხბაია, კობაური, გ.ოქროპირიძე, თარგამაძე, ლ.ჩხეტიანი, გაბრიჭიძე (ალავიძე 73), სვანიძე, ქუცურუა, ისიანი, უგულავა (გიორბელიძე 90), გ.ჯ.რეხვიაშვილი

აუტსაიდერთა ჯახში ძალიან ბევრი რამ ბოლოში გაირკვა. თავდაპირველად ფოტელები დაწინაურნენ დათა ციცხვაიას გოლით, მაგრამ კაცნაკლულმა „სიონმა“ მატჩის ბოლოსწინა წუთზე გაუთანაბრა. თუმცა, მასპინძლებმა ისევ შეძლეს კონცენტრირება და შეხვედრის ბოლო წუთზე, მეორედ და საბოლოოდ შეძლეს წინ გასვლა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 10 | 7 | 2 | 1 | 23:13 | 23 |
| 2.მეტალურგი | 10 | 6 | 2 | 2 | 14:8 | 20 |
| 3.დინამო | 10 | 6 | 1 | 3 | 20:12 | 19 |
| 4.ბაია | 10 | 6 | 1 | 3 | 15:7 | 19 |
| 5.ტორპედო | 10 | 6 | 1 | 3 | 10:6 | 19 |
| 6.მერანი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:12 | 14 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 2 | 4 | 10:12 | 14 |
| 8.გაგრა | 10 | 4 | 1 | 5 | 12:13 | 13 |
| 9.დილა | 10 | 3 | 1 | 6 | 14:16 | 10 |
| 10.კოლხეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:13 | 9 |
| 11.სპარტაკი | 10 | 1 | 4 | 5 | 6:15 | 7 |
| 12.სიონი | 10 | 0 | 2 | 8 | 4:20 | 2 |

**ბომბარდირები:** დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 8 ბურთი; ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 7; ჩისკო (დინამო) – 6.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## TV პროგრამა

**ორშაბათი 24 ოქტომბერი**

**1** 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.50 10 პლუს 10 15.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 17.00 ჩვენი ფერმა 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 ან. ფ."ადამიანი-ობობა" 19.05 სერ. **"მისამართი უცნობია"** 21.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 01.00 მოამბე 01.20 მხ. ფ. **"მშვიდობისმოყვარე"** (12) (ჯ. კლუნი) 03.25 სერ. **"ზიანი"** (12) 04.25 მხ. ფილმი **"იცხოვრე მტერთან"** (18)

**2** 08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი **"ჰერაკლე"** 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.30, 17.45, 23.30 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. **"ზიანი"** (12) 20.00 მხ. ფილმი **"წმინდანთა ცხოვრება"** 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 02.00 მხ. ფ. **"ფორესტ გამპი"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ილბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 19.45 სერ.**"სახლი მეზობლად"** 22.00 ჯეოსტარი 00.00 შუა დღე 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 1-ლი ს. 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ.**"დამალული სიმართლე"** 22.00 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 23.10 მუს. ლიგა (გან.) 00.20 ბიზნეს ლიდერი (გან.) 01.20 მხ. ფ. **"ცეცხლოვანი ველი"** (15) (შ. ტერონი) 03.30 მხ. ფილმი **"საქორწინო წვეულება"** (მ. დუგლასი) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"დაკარგული ქვეყანა 3"** 13.00 მხ. ფილმი 15.30 პულსი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ.**"მისი სულის მუსიკა"** 21.00 სერ.**"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"სოპრანოს კლანი"** 12.50, 19.35 სერ. **"ადვოკატი"** 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.10 მხ. ფილმი **"შერეკილები"** 13.25 კონცერტი – ე. ვირსალაძე და ნ. გუტმანი. 1-ლი ნ. 14.10 მოკლ. ფილმი **"მხოლოდ ერთხელ"** 15.25 სპექტაკლი **"ძველი ვალსი"** 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.25მოკლ. ფილმი **"სამი ამბავი ტელეფონით"** 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი **"მაცი ხვიტია"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სალვთისმეტყველო საუბრები 22.20 დოკ. ფილმი "გურამ დოჩანაშვილი" 22.35 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ხიდი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**24 ოქტომბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**ამინდის პროგნოზი 24 ოქტომბრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12–17, ღამით — 6–8

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 17–21, ღამით — 9–12

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12–13, ღამით — -2–7






# გაზეთ „ახალი თაობის“ 17 ოქტომბრის ნომერთან ერთად იყიდება „ქართული მწერლობის საუნჯის“ მესამე ტომი

# ვეფხისტყაოსანი



## ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!

# გიორგი შერმადინი: დებიუტამდე „კანტუში“ მხოლოდ ორჯერ ვივარჯიშე



გიორგი შერმადინმა იტალიურ „კანტუში“ ბრწყინვალე დებიუტი მოიწყო. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი გასულ ოთხშაბათს ევროლიგის პირველ ტურში „კანტუს“ ფრანგული „ნანსის“ დამარცხებაში დაეხმარა. 216 სანტიმეტრი სიმაღლის ქართველმა ცენტრმა 14 წუთში 8 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა და თავის გუნდში საუკეთესო მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა. შერმადინმა „კანტუსთან“ ახლახან გააფორმა კონტრაქტი, თუმცა გუნდში მისვლა მატჩის წინა დღემდე ვერ შეძლო. მისი ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

*— გილოცავთ წარმატებულ დებიუტს.*

— დიდი მადლობა. მიხარია, რომ ჩემს ახალ გუნდს გამარჯვებაში დავეხმარე.

*— იტალიაში ჩასვლა ცოტა დაგიგვიანდათ.*

— ვიზას ველოდებოდი და სანამ ავიღე, დრო გაიწელა. იტალიაში სამშაბათს, გამთენიისას, დილის 3 საათზე ჩავედი.

*— თამაში ოთხშაბათს გქონდათ და როგორ მოასწარით ან გუნდთან შეთამაშება, ან ძალების აღდგენა?*

— საიმისოდ, რომ გუნდის სათამაშო ტაქტიკაში გავრკვეულიყავი, მწვრთნელმა დილის 10 საათზე სპეციალური ვარჯიში დანიშნა, რომელშიც მანუჩარ მარკოიშვილი და კიდევ 3 მოთამაშე მონაწილეობდა. 9 საათამდე გამოძინება მოვასწარი და ვარჯიშზე მივედი, სადაც მწვრთნელმა სამ-ოთხი კალათბურთელი კომბინაციაში გვავარჯიშა. ეს არის ის ძირითადი კომბინაციები, რომლებსაც ვეყრდნობით და თუკი ხვალიდნელ მატჩში მოედანზე შეხვალ, მინდა, რომ ამათში გავარჯიშებული იყო. ვეცადე, კარგად გავრკვეულიყავი კომბინაციებში და ეს გამომივიდა კიდეც. საღამოს ვარჯიშზე უკვე მთელი გუნდი შეიკრიბა და იქ კიდევ უფრო დავიხვეწე კომბინაციების დეტალები.

*— ელოდებოდით, რომ მხოლოდ ორ ვარჯიშზე ნამყოფი მოედანზე გაგიყვანდნენ?*

— არ მეგონა, რადგან იტალიაში ჩამოსვლამდეც არ მივარჯიშია სათანადოდ. საბერძნეთში ყოფნისას „პანათინაიკოსთან“ არ მიწევდა ვარჯიში. მხოლოდ ინდივიდუალურად ვემზადებოდი. ჩემი მენეჯერის, ლევან მიქელაძის დახმარებით რამდენიმე სათამაშო კომპონენტში ვვარჯიშობდი, რათა ფორმა შემენარჩუნებინა. მიხარია, რომ მწვრთნელმა ნდობა გამომიცხადა და გუნდში ახალმისული ასეთ საპასუხისმგებლო მატჩში მოედანზე გამიყვანა.

*— თანაც საკმაოდ დაძაბულ ეპიზოდში — მატჩის ბოლო 12 წუთიდან 10 წუთი მოედანზე იყავით.*

— პირველად მოედანზე საწყის მეოთხედში გავედი და 4-5 წუთი ვითამაშე. ალბათ მწვრთნელმა ჩათვალა საჭიროდ, რომ გადამწყვეტ მომენტშიც მეთამაშა და მიხარია, რომ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

*— მანუჩარ მარკოიშვილის ფაქტორი ალბათ დიდია თქვენთვის.*

— რა თქმა უნდა. მანუჩარი ყველაფერში მეხმარებოდა. მოედანზე მასთან ერთადაც ვიმყოფებოდი და მის გარეშეც. ერთ ეპიზოდში ბურთი მეტოქის ფარის ქვევიდან გამოგვქონდა. ამ დროს ისევე როგორც ყველა გუნდს, „კანტუსაც“ ბურთის გამოტანის რაიმე კომბინაცია აქვს, რომელიც წინა დღის ვარჯიშზე არ უსწავლებიათ. მარკოიშვილმა ეს იცოდა და მოასწრო ორი სიტყვით აეხსნა ჩემი როლი ბურთის გამოტანისას,

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 24 ოქტომბრისთვის

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო, ისედაც შეგამჩნევენ. **სასწორი** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **მორიელი** — ახალი ნაცნობობა გაამართლებს. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ მაინც ნუ გაფლანგავთ. **მერწყული** — ბევრი საქმე გექნებათ, ეცადეთ, დრო გაანაწილოთ. **თევზები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 6. ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი; 7. ახალგაზრდა, ჭაბუკი; 8. გაზაფხულის თვე; 10. პირველი მამაკაცი; 11. პატიოსანი, ნამუსიანი; 13. ებრაელთა საკულტო სახლი; 16. დურგლის ხელსაწყო; 19. ქალაქი რუსეთში; 20. სამხედრო საავადმყოფო.

**შვეულად:** 1. საკურთხეველი; 2. მტაცებელი ფრინველი; 3. სახელმწიფოს საზღვაო ფლოტის უფროსი; 4. რჩეული ჯარი; 5. სარტყმელი საკრავი; 9. ინგლისელი მომღერალი; 12. ყვითელი ყვავილი (სანელებელი); 14. მცდარი აღქმა; 15. შიდა ორგანო; 17. ღვიძლის ავადმყოფობა; 18. წყლის ტრანსპორტი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ




# ქართულ თეატრში ეპოქა დასრულდა

ეკა ირემაშვილი

ქართველმა საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა ქართული თეატრისა და კინოს გენიალური მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე. სამოქალაქო პანაშვიდები მის საცხოვრებელ სახლში მიმდინარეობდა. დაკრძალვამდე ერთი დღით ადრე კი მსახიობი მშობლიურ რუსთაველის თეატრში გადაასვენეს, იმ თეატრში, სადაც ბატონმა რამაზმა ნახევარი საუკუნე გაატარა და დაუვიწყარი თეატრალური როლები შექმნა — ყვარყვარეთი



დაწყებული, რიჩარდ მესამითა და აზდაკით დამთავრებული.

რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რუსთაველის თეატრში ყველა სპექტაკლი გაუქმდა. მსახიობის დაკრძალვამდე რუსთაველის თეატრმა სპექტაკლების ჩვენება შეწყვიტა. 22 ოქტომბერს თეატრში რეჟისორ გიო მგელაძის „გაიღიმეთ ჩიტი გამოფრინდება“ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. რუსთაველის თეატრში განმარტეს, რომ რამაზ ჩხიკვაძის დაკრძალვის შემდეგ სპექტაკლების ჩვენება გაგრძელდება და თეატრი ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდება.

ლეგენდარული მსახიობის ხსოვნას პატივი მიაგეს მისმა კოლეგებმა, მთავრობის წევრებმა, ერთგულმა თაყვანისმცემლებმა. რამაზ ჩხიკვაძესთან გამოსამშვიდობებლად მაყურებელი საქართველოს რეგიონებიდანაც ჩამოვიდა.

რუსთაველის თეატრში მთელი დღის განმავლობაში რამაზ ჩხიკვაძის მიერ შესრულებული სიმღერები ჟღერდა. ვიდეოკოლაჟში კი სამძიმარზე მისულ მაყურებელს

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ხართ თუ არა ნაზი და აქიოლაღი?

ტესტი



**ტესტი ქალებისთვის**

**ტესტის შეკითხვებს დადებითი ან უარყოფითი პასუხი გაეცით**

1. ბავშვობისას თუ აძლევდით ბიძიებსა და დეიდებს მიალერსების უფლებას?
2. მშობლები ნაზად თუ გეპყრობოდნენ?
3. ბავშვობაში თუ გქონდათ რბილი სათამაშოები?
4. გიყვართ ცეკვა?
5. თქვენი აზრით, ხართ ქალური?
6. თუ ხართ წინააღმდეგი, როდესაც კაფეში ან რესტორანში მამაკაცები თვალს არ გაშორებენ?
7. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ადამიანი ეროტიკული მიზნების გარეშეც შეიძლება იყოს ნაზი?
8. მოგწონთ თუ არა ნაზი ადამიანები?
9. შეგიძლიათ თუ არა, უპრობლემოდ გამოხატოთ ლამაზი ბავშვებით, მოზრდილებით, ლამაზი ნივთებით აღტაცება?

### პასუხები

**0-3 ქულა:** არც ისე ნაზი ხართ, როგორც გგონიათ. თუმცა ისურვებდით, რომ თქვენ მიმართ სხვები ალერსიანი ყოფილიყვნენ. ამისათვის ზედმეტად ანგარიშიანი და ცივი ხართ.

**4-6 ქულა:** სინაზით აღსავსე ქალი ხართ, რომელსაც არ შეუძლია თავისი გრძნობების დამალვა. ყველას მოსწონხართ და უყვარხართ.

**7-9 ქულა:** იდეალური დედა იქნებით (თუ უკვე არ ხართ). ბედნიერია ის მამაკაცი, ვისთანაც თქვენ ცხოვრებას გაიზიარებთ (ან გაიზიარეთ).

გ.თ.